ლელო

№041 (12 111) 20 თებერვალი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

# კაპელო გადადგა...

## ესპანური რადიო: დონ ფაბიო ივნისიდან ინტერის სკამზე



ეს ინფორმაცია, ესპანურ რადიო "კადენა კოპეზე" დაყრდნობით, გუშინ სალამოს იტალიურმა წყაროებმა გაავრცელეს. ერთნი ამტკიცებდნენ, ფაბიო კაპელო უკვე წასულიაო, მეორენი კი - "ბაიერნთან" სამშაბათის მატჩში "რეალს" უკანასკნელად გაუძღვებაო...

სიტყვა-სიტყვით გთავაზობთ იტალიური "კვოტიდიანოს" სახელდახელო მასალას: "ფაბიო კაპელო თანამდებობიდან გადადგა. ორშაბათს ის შეხვდა "რეალის" პრეზიდენტ რამონ კალდერონს, რომელსაც პოსტიდან წასვლის განცხადება აახლა. არ არის გამორიცხული, "ბაიერნის" წინააღმდეგ გუნდი სწორედ მან გაიყვანოს და ამის შემდეგ ჩაალაგოს ჩემოდნები, თუმცა დიდია იმის შანსიც, რომ სამწვრთნელო მისია "რეალის" ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელს, სამეფო კლუბის ყოფილ ფორვარდ მიჩელს დაეკისროს. საგანგებო პრესკონფერენციაზე, მადრიდული გრანდის პრესსპიკერი მიგელ ანხელ აროიო კლუბის ოფიციალურ განცხადებას გააჟღერებს. ივნისიდან კაპელო "ინტერის" ჩაუდგება სათავეში".

ცხადია, ინფორმაცია მეხის გავარდნას ჰგავდა. როგორია, ზედ "ბაიერნთან" მატჩის წინ მთავარი მწვრთნელის გადადგომა? ისე, "ბეტისთან" მორიგი უფერული თამაშისა და ქომაგთა ობსტრუქციის შემდეგ, "რეალის" სკამზე ცვლილებებს ლამის ყოველ წუთს ელოდნენ. და მაინც, დაუჯერებელი ამბავი იყო ეს ყველაფერი...

ცოტა მოგვიანებით, "რეალის" პრესსამსახურმა მართლაც მოაწყო სპეციალური ბრიფინგი, რომელზეც სინიორ არიომ კაპელოსთან დაკავშირებულ უცაბედ ისტერიას "მონაჭორი" უწოდა და იქვე დაამატა - ამგვარი სპეკულაციები, და თან ესოდენ მნიშვნელოვანი თამაშის წინ, გუნდში ჯანსალი ატმოსფეროს შენარჩუნებას ხელს უშლისო (რომელ ჯანსაღ ატმოსფეროზეა საუბარი?). თუმცა ამავე განმარტებიდან ყურადღებას იქცევს აროიოს ერთი ფრაზა - კაპელო "რეალს" "ბაიერნთან" მატჩში უხელმძღვანელებს. და მერე? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ დღევანდელი დაპირისპირება დონ ფაბიოს უკანასკნელი შანსია? ან სულაც, უკანასკნელი მოვალეობა...

გუშინვე, ზემოთ ხსენებულმა "კვოტიდიანომ" დეტალურად აღწერა კაპელოსა და "რეალის" სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს შორის მცირე შეხლა-შემოხლის სცენაც:

კაპელო: - თუ პრობლემა ჩემშია, მაშინ მითხარით.

მიატოვიჩი: - ხვალ გუნდს სათამაშოდ გაიყვანთ, ოთხშაბათს კი კონტრაქტს გავწყვეტთ.

კაპელო: - მე კონტრაქტის გაწყვეტას არ ვაპირებ...

მაშ, დაველოდოთ ოთხშაბათს...

# ლიგაც მოსულა...

## კრიზისული ევროკლასიკა:

ჰიტცფელდმა იცის, როგორ მოუგოს რეალს, რეალმა იცის, როგორ გააგდოს ბაიერნი...

CHAMPIONS LEAGUE

წინათქმა 6



# გოგუა: ერთი წლით გოგში

ჰბრთსი? სცადონ...

3



# ანა ბადეშია

ანა ტატიშვილი WTA ტურის შვეიბრ "კოპა კოლსანიტას" ძირითად ბადეშია. გუშინ 17 წლის ჩოგბურთელმა საკვალიფიკაციო ტურნირის ფინალურ წრეში ბრაზილიელი ჯენიფერ ვიჯაია (206) დაამარცხა - 6:0, 3:6, 6:2. ტურნირის საპრიზო ფონდი 175 ათასი დოლარია. მხოლოდ ძირითად ბადეში გასვლისთვის ანა ტატიშვილს 8 სარეიტინგო ქულა დაერიცხება.

ნიკოლოზ ნეფარიძე



## ამერი უნდა გავიაროთ!

ინტერვიუ დავით დიდმლაშვილთან

2

## მთელი სანაკრებო შტაბი პირენეებზე

ვემზადებით ელიტრაუნდისთვის

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

19-წლამდელთა ნაკრები

# ტოპმიოლერებს პორტუგალიაში ელიან

## პირინეებზე პორტუგალიის, ბელგიისა და ირლანდიის წინააღმდეგ



ჰაინც ტოპმიოლერი

**ჰაინც ტოპმიოლერი** ორ ფრონტზე იბრძვის. რატომ და როგორ ორ ფრონტზე? ამასაც ახლავე აგიხსნით. 19-წლამდელთა (1988 წელს დაბადებულები) ნაკრებებს შორის ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ რაუნდში, შარშან რუმინეთში წარმატებული ასპარეზობით, ჰაინც ტოპმიოლერის გუნდმა ელიტრაუნდში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ელიტრაუნდის მატჩებს კი მაისის ბოლოს შოტლანდია უმასპინძლებს და სქოთთა გარდა ჯგუფის მეტოქეებად პორტუგალიისა და თურქეთის ნაკრებები გვყავს. ასე რომ ჰაინც ტოპმიოლერი გუნდს ელიტრაუნდისთვის ამზადებს. თუმცა, ამ ერთის გარდა, მწვრთნელს მეორე ფრონტზეც უწევს ბრძოლა. წლეულს შემოდგომაზე ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი მომავალი 19-წლამდელები ანუ ამ შემთხვევაში უკვე 1989 წელს დაბადებულები ჩაერთვებიან. მწვრთნელმა ამ ასაკში უკვე დაიწყო სელექცია და გუნდის გაფართოებული შემადგენლობაც აქვს. კვირის ბოლოსთვის კი საბოლოო შემადგენლობას დაასახელებს, რომელიც 26 თებერვალს პორტუგალიას გაემგზავრება და საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ამ ტურნირში მასპინძელთა გარდა ირლანდიისა და ბელგიის 19-წლამდელთა ნაკრებები იასპარეზებენ.

28 თებერვალს ჩვენი გუნდი ირლანდიელ ჭაბუკებს დაუპირისპირდება. 2 მარტს ქართველები პორტუგალიასთან, ხოლო 4 მარტს ბელგიასთან მოსინჯავენ ძალებს.

პორტუგალიაში ნაკრების გამოსვლას ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი **კლაუს ტოპმიოლერი** და 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცი **პეტარ სეგრტიც** დაესწრებიან.

ჰაინც ტოპმიოლერისა და მისი გუნდის შესახებ ერთსაც გაცნობებთ, ელიტრაუნდისთვის გუნდის მოსამზადებლად 19-29 მარტს გერმანიაში, ბიტბურგში, 10 დღიან მოსამზადებელ შეკრებას გაივლიან, სადაც სამ საკონტროლო მატჩს ჩაატარებენ გერმანიის ნაკრების, ლუქსემბურგის უმაღლესი ლიგის "ვიქტორია როსსპორტის" და ლუქსემბურგის 19 და 21-წლამდელთა გაერთიანებულ გუნდთან. 17-22 მაისსკი ჰაინც ტოპმიოლერის გუნდი ინგლისში, "ბლექბერნ როვერსის" საწვრთნელ ბაზაზე მოემზადება. ჩვენი გუნდი ბლექბერნიდან ავტობუსით გადავა შოტლანდიაში, სადაც 23 მაისს ელიტრაუნდის პირველი მატჩი ელის. მარტისა და მაისის გარდა, ჩვენი19-წლამდელები აპრილშიც გაივლიან მოსამზადებელ შეკრებას და ორ საკონტროლო მატჩს ჩაატარებენ. აპრილის თამაშების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არაა მიღებული, მაგრამ რამდენიმე წინადადება უკვე არის და მწვრთნელები მათგან საუკეთესოს მალე აირჩევენ.

**დავით ცაბაძე**

ახალგაზრდული ნაკრები. მეტოქე

# რუსებს მწვრთნელი დაუნიშნეს

ბოლო დღეებში მუდმივად **იგორ კოლივანოვზე** მიდიოდა საუბარი, რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის პოსტი **ბორის სტუკალოვს** კი ერგო. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეტოქეს ევრო 2009-ის შესარჩევ ტურნირში, სტუკალოვი ორი წლის მანძილზე უხელმძღვანელებს. *"ის ნამდვილი პროფესიონალია, რომელმაც იცის და უყვარს ახალგაზრდებთან მუშაობა"*, - ამგვარად დაახასიათა ახალი მწვრთნელი რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **ვიტალი მუტკომ**.

თავად სტუკალოვი მთავარ ამოცანად რაღა თქმა უნდა ევროპის ჩემპიონტზე თამაშს მიიჩნევს და ამაში მთავარ ხელისშემშლელად ესპანეთს და საქართველოს ასახელებს. თუმცა ის კი არ სცოდნია, რომ ქართველებს მინგე ალარ ავარჯიშებს. რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრესსამსახურთან საუბარში მან საქართველოს ნაკრები თავისი გერმანელი მწვრთნელით როგორც ერთ-ერთ ძლიერი ნაკრები, ისე დაახასიათა.

სტუკალოვი ბოლოს ვლადიკავკაზის "სპარტაკში" მუშაობდა მთავარ მწვრთნელად, შარშანწინ კი წარმატებით იმუშავა "ტომში". საგულისხმო კი ისაა, რომ მას **ვიქტორ პროკოპენკოს** მარჯვენა ხელს უწოდებენ და ამ მწვრთნელის მიერ მიღწეულ წარმატებაში სტუკალოვის დიდ როლზე საუბრობენ.

17-წლამდელთა ნაკრები

# ცანკერი ისევ კანდიდატების ძიებაშია

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცი **ჰერბერტ ცანკერი** თავისი გუნდის კანდიდატების ძიებაშია. ამ მიზნით, მან ქვეყნის ტერიტორიაზე კიდევ ერთი ვოიაჟი მოაწყო. გერმანელმა სპეციალისტმა დასავლეთი უკვე მოიარა, აღმოსავლეთში მუშაობას კი მალე დაასრულებს.

ცანკერი პრიორიტეტს იმ ფეხბურთელებს მიანიჭებს, რომლებსაც სხვებზე უკეთესი ტექნიკა, სისწრაფე, სათამაშო აზროვნება, გუნდური თამაშის კულტურა და დისციპლინა აღმოაჩნდებათ.

პროგრამის პირველი ეტაპის სამუშაოები დასავლეთ საქართველოში გასული წლის მიწურულს ჩატარდა. იმერეთის, სამეგრელოს, აჭარისა და გურიის ფეხბურთის ფედერაციებმა კანდიდატთა ორმხრივი თამაშები მოაწყვეს, რის შემდეგაც 17-წლამდელთა მთავარმა მწვრთნელმა რამდენიმე სასურველი მოთამაშის გვარი მონიშნა.

დასავლეთი საქართველოს პროგრამა იანვრის შუა რიცხვებში გაგრძელდა. ერთმანეთს ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი რეგიონების პირველი და მეორე 17-წლამდელთა ნაკრებები გაეჯიბრნენ. ცანკერთან ერთად, დასავლეთში გამართულ თამაშებს მისი ასისტენტები, **ლევან ხომერიკი** და **ასლან ბალაძე** დაესწრნენ, სფფ-დან კი - **გრიგოლ ცაავა, სერგო კოტრიკაძე, ირაკლი ოქროშიძე, გია ჩივაძე** და **ნუგზარ ბოკერია**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ დავით დილმელაშვილთან

# ამერი უნდა გავიაროთ

## დინამოს უფრო უკეთაც შეუძლია

**საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალებიდან ყველაზე გამორჩეულს, "ამერი"-"დინამოს" დაპირისპირებას ხმაურის გარეშე არ ჩაუვლია. "დინამო" ლევან კვარაცხელიაგან დაუნიშნავ პენალტებზე პასუხს ითხოვდა.**

**საინტერესოა, რას ფიქრობს "დინამოს" კაპიტანი დავით დილმელაშვილი განვლილ და მომავალ მატჩზე, საერთოდ გუნდსა და მის პოტენციალზე, მიზნებზე...**

- ორივე გუნდისთვის რთული თამაში გამოდგა. პირველი მატჩი იყო და გარკვეულწილად ამანაც იმოქმედა. სამწუხაროდ არ გაგვიმართლა, თორემ წაგებას კი არა, სულ მცირე ფრეს მაინც ვიმსახურებდით.

**- გაუმართლებლობაში რას გულისხმობთ?**

- ძალზედ დასანანი და კურიოზული გოლი გავუშვით. ეს გოლი რომ არა, ნახევარფინალში გასვლის მეტი შანსი გვექნებოდა.

**- შანსებს ახლა როგორ აფასებთ?**

- ორრაუნდიან დაპირისპირებაში პირველ რაუნდის შემდეგ, ანგარიში მეტოქის სასარგებლოდაა. საპასუხო შეხვედრაში მათ ფრეც აწყობთ. ასე რომ, რეალურად თუ ვიმსჯელებთ, მეტოქეს უკეთესი შანსი აქვს, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ საპასუხო მატჩში მასპინძლები ვართ. ამას გარდა ჩემპიონობასთან ერთად თასისთვისაც ვიბრძვით და "ამერი" აუცილებლად უნდა გავიაროთ.

**- იმ მატჩში "დინამო" დაუნიშნავ პენალტებს თამაშის შემდეგაც აპროტესტებდა. აქედან ერთ-ერთი საკამათო ეპიზოდში მონაწილეობას თქვენც იღებდით. იქნებ ის ეპიზოდი გაიხსენოთ...**

- თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ იმ ეპიზოდში პენალტს 100%-ით ვიმსახურებდით. ბურთი მარცხენათი გავისწორე, უნდა დამერტყა, როცა უკნიდა მეტოქე დამეჯახა და 5 მეტრზე გავსრიალდი. ვიდეოფირზეც კარგად ჩანს, რომ წესების დარღვევას ჰქონდა ადგილი. სხვა თუ არაფერი, 5 მეტრზე ნამდვილად ვერ გავსრიალდებოდი მეტოქეს თამაშის წესები რომ არ დაერღვია.

**- მეორე მომენტზე რას იტყოდით?**

- იაშვილის ეპიზოდიც კარგად ჩანს ვიდეოფირზე. სანდრო ნამდვილად საჯარიმოში წააქციეს. იმ მომენტში მისგან 5-7 მეტრში ვიდექი და ასპროცენტიან პენალტს ვიმსახურებდით.

**- მატჩის შემდეგ რა გითხრათ მწვრთნელმა?**

- დღეს შევიკრიბეთ ბაზაზე. "ამერთან" მატჩის განხილვა გვქონდა, ვიდეოფირის თანხლებით. დუშან უჰრინმა შეცდომებზე მიგვითითა. ერთი სიტყვით, კარგი გარჩევა იყო და ძალზე წაგვადგება სამომავლოდ.

**- პირველი მატჩი ყველასთვის რთულია. "ამერთან" შეხვედრაში "დინამომ" საკუთარი შესაძლებლობები რამდენად წარმოაჩინა?**

- უკვე რამდენიმე კვირაა, რაც "დინამოში" ვარ და კარგად ვიცი ჩვენი გუნდის რეალური ძალა. "დინამოს" უფრო კარგად, 30-40 პროცენტით უკეთ შეუძლია თამაში. მატჩიდან მატჩამდე გავაუმჯობესებთ თამაშს და ჩვენს რეალურ ძალასაც სათანადოდ წარმოვაჩენთ.

**- საკუთარი თამაშით რამდენად კმაყოფილი ხართ?**

- კმაყოფილი ნამდვილად არ ვარ. შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი შესაძლებლობები მხოლოდ ნახევრად წარმოვაჩინე.

**- "ამერთან" თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი 6 მარტს გაიმართება. მანამდე საკმაო პერიოდია საიმისოდ, რომ "დინამო" უკეთ ათამაშდეს. მეთანხმებით?**

- დიახ, აბსოლუტურად გეთანხმებით. მანამდე სამი კვირაა დარჩენილი. ჩემპიონატში ორი ტური გველის. ასე რომ, ეს თამაშები და დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

**- "დინამო" მთავარ ქცენტს ჩემპიონობაზე გააკეთებს თუ თასზე?**

- ჩვენ ორივე ფრონტზე ბოლომდე ვიბრძოლებთ. მართალია, სახარბიელო მდგომრეობაში არ ვართ, მაგრამ საკმაო მოტივაცია და პოტენციალი გაგვაჩნია და მჯერა, ვითარებას მალე გამოვასწორებთ.

**- დაბოლოს, ჩემპიონატს პარასკევს "ბორჯომთან" მატჩით განაახლებთ...**

- "ამერთან" წაგებამ, მართალი გითხრათ გაგვახელა. ასე რომ, ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ჩემპიონატი მოგებით განვაახლოთ. მჯერა, ბორჯომიდან 3 ქულას ჩამოვიტანთ.

**დავით ცაბაძე**



დავით დილმელაშვილი (ბურთით) ამერთან მატჩში

ნუგზარ სუარიძის ფოტო

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge


ლეგიონერები

# ერთი წლით ტომში


გოგიტა გოგუა

ტომსკის "ტომთან" ერთად ესპან-ეთში მყოფი **გოგიტა გოგუა**, რუსულ კლუბში ერთი წლით დარჩება. სწორედ ამ შეთანხმებამდე მივიდნენ კლუბის ხელმძღვანელობა და **ანდრეი ჩერვიჩენკო.** გოგუას "პატრონი" ქართველი ნახევამცველის ერთწლიანი იჯარით გაშვებას დათანხმდა.

"ტომში" სეზონის ბოლომდე იჯარა არ ნიშნავს, რომ შოტლანდიის "ჰართსის" ვარიანტი საბოლოოდ გამოირიცხა. თუკი შოტლანდიელები მოინდომებენ ქართველის გამოსყიდვას, რაც სავარაუდოა **ვალდას ივანაუსკის** სიტყვებიდან გამომდინარე, მათ ამის საშუალება მიეცემათ. "ჰართსის" მწვრთნელმა არაერთგზის განაცხადა, რომ გოგუას ედინბურგში გამოჩენის საქმეს ზაფხულში მიხედავს. სხვა საქმეა, რა გამოვა აქედან. შოტლანდიელებმა ერთხელ უკვე სცადეს გოგუას გადაბირება, მაგრამ დიდ პრობლემებს წააწყდნენ. იმედია, მეორე ცდაზე უფრო გაუმართლებთ და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველიც თავს დააღწევს ჩერვიჩენკოს კლანჭებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# მინგემ და სეგრტმა ქართველები ნახეს

საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბი გერმანიაშია და ნაკრები გუნდების ფეხბურთელებზე დაკვირვებას განაგრძობს. **კლაუს** და **ჰაინც ტოპმიოლერიებისა** და **რალფ მინგეს** გარდა, გერმანიაშია 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცი **პეტარ სეგრტიც.** გერმანიაშია ნაკრებების მენეჯერი **თამაზ ბოკერიაც.**

მწვრთნელები ნაკრების წევრი ფეხბურთელების მატჩებს დაესწრნენ. 14 თებერვალს მინგე და სეგრტი ლევერკუზენში უეფას თასზე "ბაიერისა" და "ბლექბერნის" მატჩს დაესწრნენ. **ზურაბ ხიზანიშვილს** თამაშში მონაწილეობა საზარდულის ტკივილის გამო არ მიუღია. შეხვედრის შემდეგ მწვრთნელები ინგლისური კლუბის თავკაცს, **მარკ ჰიუზს** გაესაუბრნენ, რომელსაც ქართველი მცველი დადებითად დაუხასიათებია.


რალფ მინგე

18 თებერვალს კი სეგრტი "მიუნხენისა" და "დუისბურგის" შეხვედრას დაესწრო **მათე ღვინიანიძის** სანახავად. ამ მატჩის შემდეგაც უსაუბრია ხორვატს კლუბის მწვრთნელ **ვალტერ შახნერთან** და გენერალურ მენეჯერ **შტეფან როიტერთან.**

**დავით ცაბაძე**

# გიგაური დარჩა, მელქაძემ გაიტანა

**ლევან მელქაძემ** ყარაგანდის "შახტიორის" შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა. ანთალიაში ყაზახების გუნდი ამხანაგურად რუსეთის ყოფილ ჩემპიონ ვლადიკავკაზის "ალანიას" შეხვდა და 3:4 წააგო. 27 წლის ფორვარდმა გოლიც გაიტანა და საგოლე გადაცემაც ჩაიწერა აქტივში.

მანამდე "შახტიორმა" 2:0 კრასნოიარსკის "მეტალურგს" მოუგო და ლევანი იქაც გამოირჩა კარგი თამაშით. სამწუხაროდ, რუსებმა ამ მატჩში "შახტიორის" კიდევ ერთი ქართველი **გიორგი გაბიდაური** დაამტვრიეს. ლევანმა სულ სამი საკონტროლო მატჩი ჩაატარა, რის შემდეგაც გუნდის პრეზიდენტი **გრიგოლ ლორია** კონტრაქტზე დაელაპარაკა.

კიდევ ერთი ყოფილი დინამოელის, **დავით გიგაურის** ბედი ამ დღეებში გაირკვევა. დათო ლატვიის ჩემპიონ "ვენტსპილსში" ისინჯება და უკვე მესამე საკონტროლო მატჩი ჩაატარა. მან პოლონეთის "არკასთან" (2:4) შეხვედრა შეცვლაზე ჩაატარა.


ლევან მელქაძე

ლატვიის ჩემპიონმა 2006 წლის საუკეთესო მოთამაშე, კამერუნელი **ჟან-პოლ ნდეკი** დაიბრუნა, რომელიც ცენტრალური მცველია. კამერუნელი ევროპაში გადასვლას იმედოვნებდა, მაგრამ ტრანსფერი ჩაეშალა და "ვენტსპილსში" გააგრძელებს კარიერას. გიგაურს სწორედ ნდეკის შემცვლელად მოიაზრებდნენ და წესით, გამოცდილი მცველის დაბრუნება, ქართველის გამობრუნების წინაპირობა უნდა გამხდარიყო. გიგაურს 17 თებერვალს თბილისში წამოსასვლელი ბილეთიც აღებული ჰქონდა, თუმცა "ვენტსპილსის" მწვრთნელმა **რომან გრიგორჩუკმა** მისი შეკრებაზე დატოვება გადაწყვიტა. გუშინ ის თავად ესაუბრა გიგაურს და უთხრა, რომ ჯერჯერობით მისით უკმაყოფილო არ არის.

**მერაბ მამულაშვილი**

# პრეზიდენტმა ლომაია შეაქო

გასულ უქმეებზე მეორე ბუნდესლიგაში ჩატარებული ტური აუტსაიდერ "კარლ ცაისისა" და ამ გუნდის ქართველებისთვის კვლავ წარმატებული აღმოჩნდა. განსაკუთრებით **გიორგი ლომაია** გამოირჩა, რომელმაც რამდენჯერმე იხსნა იენელები გოლისგან. კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა "პადერნბორნთან" თამაშის საუკეთესოთა გამოსავლენად მორიგი ინტერნეტგამოკითხვა მოაწყო. სასიხარულოა, რომ რესპონდენტთა ნახევარმა, ზუსტად 50 პროცენტმა გიორგი ლომაიას მისცა ხმა. რაც შეეხება **მიხეილ აშვეთიას**, მან თანაგუნდელ **მაილთან** ერთად ხმების 3.25 პროცენტი მიიღო და მეოთხე-მეხუთე ადგილები გაიყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ გიორგი ლომაიამ საიმედო თამაშით, გუნდის მთავარ მწვრთნელ **ჰაიკო ვებერის** შემდეგ, კლუბის პრეზიდენტ **რაინერ ციფპელის** ყურადღება მიიპყრო და მისგან კომპლიმენტებიც დაიმსახურა.

*"ჩვენი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. განსაკუთრებით დაცვისა და მეკარე ლომაიას გამოვყოფდი. თუკი ასეთივე წარმატებით გავაგრძელებთ ასპარეზობას, ლიგაში ადგილსაც შევინარჩუნებთ"*, - აღნიშნა ციპფელმა "ბერლინერ ცაიტუნგთან" საუბარში.

მომდევნო ტურში 23 თებერვალს, "კარლ ცაისი", **მათე ღვინიანიძის** "მიუნხენ 1860-ს" უმასპინძლებს. ასე რომ იენაში ქართული დერბი შედგება.

**დავით ცაბაძე**

# მუჯირი ვიცე-კაპიტანია

ავსტრიული "შტურმიდან" რუსულ "კრილიაში" გადასვლის შემდეგ, ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი **დავით მუჯირი** მალევე იქცა სამარელთა გუნდის საკვანძო ფიგურად. ამაზე მუჯირის თამაშის კარგი შეფასებები მეტყველებს. გასულ უქმეებზე რუსეთში ახალი სეზონი თასის მერვედფინალის პირველი მატჩით დაიწყო, რომელშიც მუჯირმაც ითამაშა. ჩვენებური მატჩის დასრულებამდე 12 წუთით ადრე ჩართო თამაშში. ამაზე წინა ნომერში უკვე გაცნობეთ და ამჯერად სხვა ამბავი უნდა გაუწყოთ.

რუსული წყაროების ცნობით, "კრილიას" ხელმძღვანელებმა და ფეხბურთელებმა ითათბირეს. სხვა საკითხებთან ერთად იქ გუნდის კაპიტანი და ვიცე-კაპიტნები აირჩიეს. კაპიტნად კვლავ **ანდრეი გუსინი** დარჩა, ვიცე-კაპიტნად კი ერთბაშად ოთხი ფეხბურთელი **ანტონ ბობერი, მეტიუ ბუტი, ალექსანდრ მაკაროვი** და დავით მუჯირი დაასახელეს.

## მხოლოდ კვირკველია

ანთალიაში მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა ზაპოროჟიეს "მეტალურგმა". უკრაინული კლუბის მეტოქე ლიტვური "ეკრანასი" იყო, "მეტალურგმა" 2:0 იმარჯვა. ქართველთაგან მატჩში მონაწილეობა მხოლოდ **დავით კვირკველიამ** მიიღო, მან 90 წუთი დაყო მოედანზე. რაც შეეხება ირაკლი მოდებაძეს, ფორვარდი გუნდთან ერთადაა, თუმცა გეგმის მიხედვით ჯერ მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობს. არ უთამაშია სინჯებზე მყოფ **გიორგი ციმაკურიძეს**, რომელიც ზამთრის შესვენებაზე გადავიდა „მეტალურგში" "სტალიდან".

# ჯაბა კანკავა გამოჯანმრთელდა

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა **ჯაბა კანკავამ** ზედმეტი დატვირთვებს ვერ გაუძლო და ლამის ორი კვირა დაისვენა. მან დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" შემადგენლობაში საკონტროლო მატჩების ნაწილი ვერ ჩაატარა და გამოტოვა ჩვენი ნაკრების მატჩიც თურქეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ.

როგორც ირკვევა, ჯაბამ მკურნალობა დაასრულა, მომჯობინდა და საკონტროლო მატჩიც ჩაატარა. "დნეპრი" ამჟამად ბოლო მოსამზადებელ ეტაპს თურქეთში ატარებს, სადაც სლოვაკურ "არტმედიას" ეთამაშა და 2:1 მოუგო. ჯაბა თამაში 62-ე წუთზე **შახოვის** ნაცვლად ჩაერთო,

თურქეთის შემდეგ "დნეპრი" ორი დღით საქართველოში "შემოირბენს" და ზესტაფონში ერთ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს. თუმცა მატჩის ზუსტი თარიღი დღემდე არ დაზუსტებულა.


ჯაბა კანკავა

**მერაბ მამულაშვილი**


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა ხაზლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ინ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ბოსმანი

# დემეტრაძეს პრეზიდენტი იცავს



გიორგი დემეტრაძე

"დემეტრაძის საქმემ" უკრაინაში ისეთი მასშტაბი შეიძინა, მალე პოლემიკაში ქვეყნის პრეზიდენტიც ჩაერთვება. უკრაინის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა **ოლეგ ბლოხინმა** ამასთან დაკავშირებით რამდენიმე ინტერვიუ ჩამოარიგა და ყველგან ქართველი ფორვარდის გაქილიკებას ეცადა.

"მის უკან დონეცკის "მეტალურგის" ვიცე-პრეზიდენტი დმიტრი სელიუკი რომ დგას, ორი აზრი არ არსებობს. ლეგიონერების საქმეც მისი წამოწყებულია."

უკრაინული "სპორტ-ექსპრესის" მკითხველისთვის საგანგებო ინტერნეტ-პრესკონფერენციაზე კი ბლოხინმა ასეთი რამ განაცხადა: *"უცხოელებს კონტრაქტში უკრაინულის სწავლა უნდა დავავალდებულოთ. ასე მე ბერძნული მასწავლეს, არაფერი საშიში ამაში არაა. და მეორე: უცხოელებმა საკუთარი პირობების დიქტატი დაიწყეს, რისი მოთმენაც შეუძლებელია. ასეთი არსად მინახავს. ბლოხინს საბერძნეთში საკუთარი პირობები რომ წამოეყენებინა, ჯოხით გალახავდნენ!"*

ამის გამგონე "მეტალურგის" ვიცე-პრეზიდენტი **დმიტრი სელიუკი** დემეტრაძეს მატროსოვივით გადაეფარა.

*"ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა სტოროჟენკომ დემეტრაძეს პირადი შეურაცხყოფა მიაყენა, მან თქვა, თუკი ქართველს თამაში დაავიწყდა, შეუძლია "კრეჩმატიკი" დაგავოსო. ჩვენს ფეხბურთში არაკორექტული გამონათქვამებისთვის მოთამაშეებს და მწვრთნელებს აჯარიმებენ. რა გამოდის? ამ შემთხვევაში ბატონი სტოროჟენკო თავს უფლებას აძლევს ჩვენი ფეხბურთელის ღირსება შელახოს. გიორგი თვლის, რომ ნებისმიერი სამუშაო საპატიოა და ქუჩის დაგვაც საჭიროა. რაც შეეხება ფეხბურთელის პროფესიონალიზმზე აგდებულ საუბარს, ეს სულ მცირე შეურაცხყოფაა და ასეთი გამონათქვამებისთვის უნდა დაისაჯონ. ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ეს საკითხი უნდა გაარჩიოს."*

სანამ უკრაინაში ამ საქმეზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობს, დონეცკის „მეტალურგი" ჰოლანდიაში გადის შეკრებას. გუშინ გუნდმა მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა ქვეყნის ჩემპიონთან მოყვარულებს შორის ნიუვიჰეინის "ჰეინოორდთან". მატჩში **კო ადრიაანსემ** ერთბაშად 24 ფეხბურთელი გამოცადა, და მაინც, უკრაინელებმა 6:0 მოიგეს. ქართველი ფორვარდი **გიორგი დემეტრაძე** პირველ ტაიმში თამაშობდა, მას გოლი არ გაუტანია, თუმცა დემეტრაძის თანაგუნდელებმა 3 გოლი გაიტანეს. დღეს "მეტალურგი" ბელგიის დედაქალაქს ესტუმრება და ადგილობრივ "ბრიუსელს" გაეჯიბრება.

**მერაბ მამულაშვილი**

უცნობი ქართველები

# ვალენსიას ქართველი მცველი გაუზრდია

გუშინ ლატვიურმა საინფორმაციო სააგენტოებმა ინფორმაცია გაავრცელეს, რომლის თანახმადაც მეოთხეადგილოსანმა "დინაბურგმა" კონტრაქტი ორ ქართველ ფეხბურთელს გაუფორმა: 18 წლის **ბექა გიორგაძე** საფეხბურთო აკადემია "ოლიმპის" გაზრდილია, მეორე ქართველი კი 20 წლის **როლანდ სვანიძეა**.

ამ უკანასკნელმა ჩვენში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, რადგან ესპანეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბის, "ვალენსიის" აღზრდილი ყოფილა. "დინაბურგის" ორივე ახალწვეული მცველია.

კიდევ ერთი უცნობი ქართველი ფეხბურთელი ლატვიის ჩემპიონ "ვენტსპილსში" გამოჩნდა. იგი ნახევარმცველი **ლევან ჯორკავაა**. გუნდის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ლევანი თანამეგობრობის ტურნირის დაწყებამდე შეიყვანეს გუნდის განაცხადში, მაგრამ მოსკოვში მოედანზე არ გამოჩენილა. ახლა ის გუნდთან ერთად ემზადება მომავალი სეზონისთვის.

რუსეთის პრემიერლიგური "როსტოვი" არაბთა გაერთიანებულ საემიროებში ემზადება. გუნდმა რამდენიმე საკონტროლო მატჩი ჩაატარა: ხარკოვის "მეტალისტთან" 0:1 დამარცხდა, შვეიცარიის "ციურიხთან" კი ფრედ 1:1 ითამაშა.

დონისპირელთა გუნდით ჩვენი დაინტერესება გუნდში ქართველის გამოჩენამ განაპირობა. ორივე შეხვედრაში შეცვლაზე ვინმე **გია გრიგოლავა** გამოჩნდა. "მეტალისტთან" მთელი ტაიმი ჩაატარა, "ციურიხთან" კი 27 წუთი დაყო მოედანზე.

იგი რუსეთის მოქალაქე აღმოჩნდა. მთელი ორი სეზონი "როსტოვის" დუბლებში გამოდიოდა. ეს ბიჭი წელს მხოლოდ 18 წლის ხდება ანუ 16 წლისა ჩარიცხეს გუნდში. გრიგოლავა ცენტრალური მცველია და საკმაოდ ტანმაღალიც - 188 სმ.

მოსკოვის "დინამოსთან" ერთად თურქეთში ემზადება თავდამსხმელი **გიორგი ლურწკაია**. დინამოელებმა სამი საკონტროლო მატჩი ჩაატარეს და გიორგიმ ორი ბურთი გაიტანა. რუსებმა ბაქოს "ინტერთან" 2:1 სწორედ ლურწკაიას დუბლით გაიმარჯვეს.

ეს ბიჭი ოჩამჩირელია და 11 წლისა რუსეთში ოჯახთან ერთად აღმოჩნდა და რუსეთის 19-წლამდელთა ნაკრებში თამაშიც მოასწრო. მოსკოვის „დინამოში" **ოლეგ რომანცევმა** გუნდში მისვლისთანავე ტრანსფერზე დააყენა. ჩვენთვის უცნობია, მას შემდეგ ლურწკაია სად თამაშობდა. ახლა კი თუკი "სოვეტსკი სპორტს" ვერწმუნებით, პორტუგალიის უმაღლესი დივიზიონის გუნდი "ნავალი" იწვევს, რომელიც უეფას თასზე მოსახვედრად იბრძვის.

გიორგის ოჯახში გვითხრეს, რომ პორტუგალიელები მას მართლა დაუკავშირდნენ. თუმცა გააგორებს თუ არა ბურთს პირინეებზე წარმოშობით ქართველი თავდამსხმელი, ჯერ უცნობია.

თელ-ავივში 24 იანვრიდან 1 თებერვლამდე მიმდინარეობდა "პირველი არხის" ტურნირი. თელ-ავივის "მაკაბიში" ქართული გვარის ფეხბურთელი **ჰაიმ მაგრალიშვილი** გამოჩნდა. თუმცა, მისი სახელიდან ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, რომ იგი ქართველი ებრაელია.

ჰაიმი თავიდან ჰაიფას "მაკაბიში" თამაშობდა, შემდეგ ამავე ქალაქის "ჰაპოელში" გადავიდა, თელ-ავივის კლუბის წევრი კი 2006 წლის 1 ივლისიდანაა. ვინც უეფას თასზე მოსკოვის ცსკა-ს წინააღმდეგ მაგრაშვილის თამაში ნახა, დაგვეთანხმება, რომ საკმაოდ კარგი და საიმედო მცველია.

საქართველოში არ იცნობენ 18 წლის ნახევარმცველ **ლევან გულორდავასაც**, რომელიც კიევის "არსენალის" დუბლებში თამაშობდა, ახლახან კი **ალექსანდრ ზავაროვმა** ძირითად შემადგენლობასთან ერთად, თურქულ შეკრებაზე მეორედ წაიყვანა.

თითქმის ყველა მათგანი, შესაძლოა, სხვადასხვა ასაკისა თუ კატეგორიის ნაკრებების მწვრთნელთათვის საინტერესო ფიგურა აღმოჩნდეს. ღირს მათზე დაფიქრება. ერთიც რომ გამოადგეს ნაკრებს, ესეც კარგი იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი ადამია (მუში) ვალერი აბრამიძეს გაურბის

ლეგიონერები აზერბაიჯანში

# ორი საგოლე პასი

აზერბაიჯანის ჩემპიონატში მე-15 ტურის მატჩები გაიმართა. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ერთ მატჩში გავიდა ერთ გოლზე მეტი - ჩემპიონმა "ბაქომ" 2:0 დაამარცხა "თურანი". ტურში სულ ექვსი გოლი გავიდა, აქედან ორი ქართველი ფეხბურთელების დახმარებით. "თურანთან" მატჩში აზერბაიჯანის ჩემპიონატში პირველად მოირგო "ბაქოს" მაისურა **ამირან მუჯირმა**, რომელიც 73-ე წუთზე **იოვანდიჩმა** შეცვალა. **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** სრულად ითამაშა. სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **ირაკლი ვაშაკიძემ**. ამ მატჩში დუბლი შეასრულა ჩემპიონის ბომბარდირმა **ლეანდრო გომეშმა**. პირველი გოლი მან გოგობერიშვილის პასით გაიტანა. ალეკომ კუთხურიდან ჩამოაწოდა, გომეშმა კი საჯარიმოში ყველას დაასწრო. რაც შეეხება მუჯირს, მან დსთ-ის თასზე მიღებული ტრავმის შემდეგ პირველად ითამაშა.

ტურის ცენტრალური მატჩი "ნეფთჩისა" და ლიდერ "ხაზარის" დაპირისპირება აღმოჩნდა, მატჩს 20 ათასი მაყურებელი დაესწრო. ბაქოელებმა 1:0 იმარჯვეს და სტუმრებს ლიდერობა დააკარგვინეს. მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე გამარჯვების გოლი **ვადიმ ბორეცმა** გაიტანა. **გიორგი ადამიამ** ძალიან კარგად ითამაშა - მარცხენა ფლანგზე მოთამაშე ქართველმა სტუმრებს არაერთი პრობლემა შეუქმნა. ბოლოს ხაზარელთა ახალწვეული ლიტველი **ჟუტაუტასი** პირად მეურვედ დაუყენეს. ადამიამ თავისი მაინც გაიტანა, საჯარიმოში მყოფმა გიორგიმ მოლდოველ ბორეცს უპასა და მანაც აულებელი დაურტყა **კრამარენკოს**. მატჩის 77-ე წუთზე ადამია გააფრთხილეს. სტუმართა რიგებში სრულად ითამაშა **ვალერი აბრამიძემ**, რომელმაც 54-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო. მატჩის შემდეგ გიორგი ადამიამ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ძალიან კარგი მატჩი გამოვიდა, ყოველთვის სასიამოვნოა ასეთ საფეხბურთო ატმოსფეროში თამაში, რისთვისაც მადლობა გულშემატკივრებს. "ხაზარს" ფრეც აკმაყოფილებდა, ჩვენ კი მხოლოდ მოსაგებად ვიბრძოდით. კარგია, ლიდერებთან ჩამორჩენა შევამცირეთ, ყველაფერი ახლა იწყება"*. შეხვედრის შემდეგ სტუმართა გაგულისებულმა ფანებმა სტადიონის სკამები დაამტვრიეს. ყველაფერი კი ტრაგედიით დასრულდა "ხაზარის" გულშემატკივართა ავტობუსი მანქანას დაეჯახა, დაიღუპა ერთი ქალი.

"ხაზარის" მარცხით "არაზმა" ისარგებლა, სტუმრად "გილანი" დაამარცხა 1:0 და ლიდერობა ხელთ იგდო. "გილანის" რიგებში სრულად ითამაშა **დიმიტრი კაპანაძემ**. შეცვლაზე შევიდა **დიმიტრი დიდმარხვაშვილი** (65-ე წუთიდან). "არაზის" დაცვას ვერაფერი დააკლო ყოფილმა ფოთელმა ფორვარდმა **გიორგი კრასოვსკიმ**. "ოლიმპიკმა" 1:0 დაამარცხა "ქარვანი", სტუმართა გუნდში მხოლოდ ერთმა ქართველმა ითამაშა, ისიც მხოლოდ ერთი ტაიმი, **ალექსანდრე ინწკირველი** შესვენებაზე შეცვალეს. "შაჰდაღისა" და "ყარაბახის" მატჩი უგოლოდ და უქართველოდ დასრულდა. სტუმართა ნახევარმცველ **გოგა ბერაიას** არ უთამაშია.

ჩემპიონატს "არაზი" 30 ქულით ლიდერობს, მას ერთი ქულით ჩამორჩება ვალერი აბრამიძის "ხაზარი", თუმცა მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. "ნეფთჩი" 27 ქულით მესამეა, ხოლო "ბაქი" 25 ქულით - მეოთხე. სხვა "ქართული" გუნდები: მე-6 ადგილზეა "ქარვანი" – 24 ქულა, მერვეზე "თურანი" 18 ქულით, "ყარაბახი" 15 ქულა აქვს და მე-9 ადგილი უკავია, "გილანი" კი 8 ქულით მეთერთმეტეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ქართველები ირანში: მეორე და მესამე

ირანულ პრემიერლიგაში მე-19 ტურის მატჩები გაიმართა. ამ ქვეყანაში ორი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს, თეირანის "ესტეღლალის" შემადგენლობაში ასპარეზობს **აქვსენტი გილაური**. ბოლო ტურებში გილაური არ ჩანს კლუბის შემადგენლობაში, მას არც ამ ტურში "ფოლადთან" 3:2 გამარჯვებით დასრულებულ მატჩში უთამაშია. ისფაჰანის "სეფაჰანში" თამაშობს **ჯაბა მუჯირი**, ყოფილმა ვიტჯორჯიელმა "აბუმოსლემთან" მატჩში (1:0) სრულად ითამაშა. "სეფაჰანი" 32 ქულით მესამე ადგილზეა და მეორეადგილოსან "ესტეღლალს" 4 ქულით ჩამორჩება. ლიდერი კი "საიფაა" 42 ქულით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# გამეზარდაშვილის პირველი გოლი

**დავით გამეზარდაშვილმა** რიგის "სკონტოს" რიგებში პირველი გოლი გაიტანა. თუმცა ჯერ დავაზუსტოთ, რომ 25 წლის მცველისთვის ეს წლეულს იყო ლატვიელთა სასარგებლოდ გატანილი პირველი ბურთი, თორემ შარშან ასევე მოსამზადებელ ეტაპზე ოდესის "ჩერნომორეცის" კარის ბადე შეარხია.

ამჯერად ლატვიელთა მეტოქე რუსეთის პირველლიგელი ნაბერეჟნიე ჩელნის "კამაზი" გახლდათ. საკონტროლო თამაში რუსებმა 3:1 მოიგეს. "სკონტოს" ერთადერთი გოლი გამეზარდაშვილის ანგარიშზეა. რიგელებმა კუთხური გაითამაშეს და გამეზარდაშვილმაც თავურით დააწინაურა "სკონტო".

თუმცა **იური გაზაევის** გუნდმა შემდეგ სათავისო ანგარიში დააფიქსირა. გამეზარდაშვილმა და **ზაალ ელიავამ** ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს.

**რეზო ძოძუაშვილის** თქმით, რომელიც "სკონტოში" ქართველ მოთამაშეებს რეკომენდაციას უწევს, გამეზარდაშვილმა მთავარი მწვრთნელი **პოლ ეშუორტი** დაარწმუნა, რომ ძირითადი შემადგენლობის ღირსია.

რაც შეეხება **რეზო გეწაძეს**, მასზე არაერთმნიშვნელოვანი ინფორმაციაა. ლატვიური საინფორმაციო სააგენტოები ირწმუნებიან, თითქოს ქართველი ნახევარმცველი "სკონტოდან" გაუშვეს, თუმცა ძოძუაშვილი ამას სისულელეს უწოდებს და ამბობს, რომ გეწაძემ კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ დროებით "ოლიმპში" ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ყაზბეგი
www.kazbegi.com

# გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

## დინამო

### მეკარეები

გიორგი ლორია
იოსებ გრიშიკაშვილი

### მცველები

შოთა კაშია
გურამ კაშია
გულვერდ თომაშვილი
ლევან აკობია
ლაშა ნოზაძე
მილოშ კრშკო
ნედ ზელიჩი
გიორგი შაშიაშვილი

### ნახევარმცველები

ლევან ხმალაძე
მიხეილ ხუციშვილი
გიორგი მერებაშვილი
დავით ოდიკაძე
ალექსანდრე კობახიძე
ირაკლი ჩირიკაშვილი
გიორგი ფეიქრიშვილი
დავით დიღმელაშვილი

### თავდამსხმელები

ილია სპასოევიჩი
სანდრო იაშვილი
მათე ვაწაძე
ზამირ ჯანაშია

**მთავარი მწვრთნელი:** დუშან უჰრინი

## ბორჯომი

### მეკარეები

ბექა შეყრილაძე
ბესიკ კოდალაევი

### მცველები

გიორგი მემარნიშვილი
ლევან მერებაშვილი
გივი ქარქუზაშვილი
თემურ ლონლაძე
გიორგი ნადირაშვილი
გიორგი ლომიძე

### ნახევარმცველები

ზურაბ ავალიანი
შოთა ჯიქია
ლევან თედიაშვილი
ალექსანდრე კოშკაძე
რევაზ კვერნაძე
ლევან გაჩეჩილაძე
ალბერტ საყვარელიძე
შოთა გრიგალაშვილი

### თავდამსხმელები

ალექსანდრე კაიდარაშვილი
ალექსანდრე მძინარიშვილი
მიხეილ კაკალაძე

**მთავარი მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

## ბათუმი

### მეკარეები

გიორგი სომხიშვილი
ლევან ბექთაშევი

### მცველები

ზურაბ ღუმბაძე
ირაკლი ცანავა
ლერი ხოხონიშვილი
ბეგლარ თედორაძე
დავით გალოგრე
ვასილ კუნძულია

### ნახევარმცველები

გიორგი ნერგაძე
კობა შალამბერიძე
ვიტალი დარჩიძე
გიორგი თურმანიძე
გენადი ბეჟანიძე
არჩილ ბაჯელიძე
არჩილ ფარტენაძე

### თავდამსხმელები

ნიკოლოზ კერესელიძე
ვახტანგ კვარაცხელია

**მთავარი მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე

## სიონი

### მეკარეები

მინდია ბოგლიაშვილი
ზურაბ მამალაძე

### მცველები

ზურაბ ექონია
ბოიომო ფრიდოლინი
ლაშა ჭელიძე
მიხეილ კობაური
თემურ რაქვიაშვილი

### ნახევარმცველები

ლევან სილაგაძე
ვიტალი დარასელია
ლევან კორლალიძე
შოთა ბაბუნაშვილი
ლევან სანიკიძე
ვლადიმერ უგრეხელიძე
არჩილ ალავიძე
გიორგი კვიტაიშვილი
დავით სვანიძე
ლევან ბაჯელიძე
გიორგი ოქროპირიძე
მურმან ქურასბედიანი

### თავდამსხმელები

გასტონ ევოჩე
ერიკ რომეო ჩასემი
ბაჩანა ცხადაძე

**მთავარი მწვრთნელი:** კახა ცხადაძე

## ზესტაფონი

### მეკარეები

გრიგოლ ჭანტურია
როინ კვასხვაძე
ნიკოლოზ ჯალალონია

### მცველები

ელიკ სავჩაია
შალვა ლონლაძე
სევასტი თოდუა
ედსონ სანტოსი
გიორგი ხიდეშელი
როინ ონიანი
გიორგი პანოვი
ბორის გელაჭეიშვილი
გიორგი ხუმარაშვილი
ირაკლი შარანგია

### ნახევარმცველები

კახა ჩხეტიანი
ჟილვან ვიეირა
ჟონატასი
ბექა ნოზაძე
ნიკოლოზ კვასხვაძე
გიორგი ჭელიძე
ალექსი ბენაშვილი
მურთაზ დაუშვილი
გიორგი გავაშელაშვილი
ამირან სანაია
ირაკლი ძარია
თორნიკე გორგიაშვილი
თორნიკე თარხნიშვილი

### თავდამსხმელები

ზურაბ იონანიძე
გოგი ფიფია
დავით ჯანელიძე
ლეანდრო
გიორგი გიორგიძე
გიორგი ივანაშვილი
დიმიტრი პარამონოვი

**მთავარი მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

## ამერი

### მეკარეები

ზურაბ ქვაჩახია
ლადო ნადირაშვილი

### მცველები

ზურაბ გვაძაბია
გიორგი ელბაქიძე
გიორგი დავითნიძე
დავით მჭედლიშვილი
ლადო კაკაშვილი
ვახტანგ ხვადაგიანი
გივი დიდავა
თენგიზ ჩიკვილაძე
ჯაბა ბერიანიძე
ირაკლი ფირანიშვილი

### ნახევარმცველები

გიორგი ნიკოლაიშვილი
გიორგი დეკანოსიძე
იური გაბისკირია
გიზო ჯელაძე
დავით გოლქვაძე
მიხეილ მესხი
გრიგოლ დოლიძე
დენის დობროვოლსკი
გიორგი სილაგავა

### თავდამსხმელები

სულიკო დავითაშვილი
ბესიკ ჩიმაკაძე
რატი წინამძღვრიშვილი
დიმიტრი ტატანაშვილი
დავით სევასტოპულო

**მთავარი მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

## ვიტ ჯორჯია

### მეკარეები

გრიგოლ ბედიაშვილი
არდალიონ მიქაბერიძე
შოთა ლურბელეიშვილი

### მცველები

დავით ლომაია
თენგიზ კობიაშვილი
ლაშა ჯაფარიძე
ალექსი კაიშაური
პავლე დათუნაიშვილი
ოლეგ გველესიანი
ალექსანდრე კვახაძე
გურამ ადამაძე
რატი იმერლიშვილი

### ნახევარმცველები

ლუკა რაზმაძე
გიორგი კვალინიძე
გიორგი მელქაძე
რევაზ ინჯგია
გიორგი დათუნაიშვილი
რევაზ წულაძე
შოთა უშარაული

### თავდამსხმელები

ვასილ ლუიაშვილი
ნიკოლოზ გელაშვილი
გიორგი ბერიაშვილი
ზაზა სახოკია
ირაკლი კლიმიაშვილი
გიგა ბეჭვაია
ირაკლი კიკნაძე

**მთავარი მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

## განაცხადები

იმის გამო, რომ უმაღლესი ლიგის გუნდებს შემადგენლობის შევსების უფლება 15 მარტამდე აქვთ, სრულყოფილ განაცხადებს ჯერჯერობით, ვერ გთავაზობთ. პროფესიულ ფეხბურთის ლიგაში განაცხადები მხოლოდ მონაწილეთა ნაწილმა მიიტანა. რამდენიმე ფეხბურთელს ახალ გუნდში თამაშის უფლება უახლოეს დღეებში მიეცემა, მაგრამ ისინი შემადგენლობაში მაინც მოვიხსენიეთ.

ქვემოთ მოყვანილი გუნდებისა და ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის დანარჩენი შვიდი ბინადარის სრულ განაცხადებს ახლო მომავალში გამოვაქვეყნებთ.



არბიტრი კვარაცხელია, ამერისა და დინამოს კაპიტნები სეზონის განახლებამდე რამდენიმე წამით ადრე

| გუნდი | მიდიან | მოდიან | მზადება |
|---|---|---|---|
| ოლიმპი | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები) რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია (ამერი), სირბილაძე, მიმინოშვილი, მიქიაშვილი (ჩიხურა), გ. თოდუა ვ. კვარაცხელია, ხოხონიშვილი (ორივე-ბათუმი) | რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი), ნავალოვსკი (დინამო) ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი), ბერუაშვილი (ტორპედო) | თბილისი |
| ვიტ ჯორჯია | დიღმელაშვილი, ფეიქრიშვილი (დინამო), | კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი), ბიძინაშვილი (კახეთი) | თბილისი, თურქეთი |
| ამერი | ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი, სილაგავა, სევასტოპულო | მესხი (ჩიხურა), ნაჭყეპია (ოლიმპი), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.) | ორი შეკრება ანთალიაში, |
| ზესტაფონი | იმედაძე (შახტიორი, ყარალანდა), თურმანიძე | რ. ონიანი (ოლიმპი), ლეანდრო, ჟონატასი | თბილისი, თურქეთი |
| დინამო | ამბროზიო (გრემიო), ბობოხიძე (ზარია), ახალაია, ბაბუნაშვილი (სიონი), სტურუა (ჩიხურა), გრიგალაშვილი (ბორჯომი), მახარაძე (ჩიხურა) ნავალოვსკი, ნერგაძე (ბათუმი), გიგაური, ქუცურუა (ჩიხურა), დვალი (ჩიხურა) | დიღმელაშვილი (ვიტ ჯორჯია) ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ჟილინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია), სირბილაძე | ბაკურიანი, ორი შეკრება ანთალიაში |
| ტორპედო | ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) ბერუაშვილი (ოლიმპი) მ. ლონლაძე (ლოკომოტივი) | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), კ. კვეტენაძე, მერკვილაძე, ხურცილავა, | ქუთაისი, თბილისი |
| სიონი | სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ჭიჭვეიშვილი | მამალაძე, სილაგაძე, დარასელია, ბაბუნაშვილი, ექონია, კორლალიძე, სანიკიძე | დსთ-ის თასი, თბილისი |
| ლოკომოტივი | ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი | სოსელია, წუწუნავა, მალიჩავა, სამხარაძე | ურეკი |
| ბორჯომი | ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე, ბენდელიანი, ლაბაძე | კვერნაძე, კაიდარაშვილი, კოშკაძე (ბათუმი) ლ. მერებაშვილი (ჩიხურა) საყვარელიძე, მძინარიშვილი (ორივე დილა), გრიგალაშვილი (დინამო), კაკალაძე (ჩიხურა) | ბორჯომი |
| მერანი | — | ნაკანი (ბორჯომი), კუტივაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი, ა. ნოზაძე | თბილისი, გურჯაანი |
| ჩიხურა | ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა | სტურუა, დვალი, ქუცურუა, ჩარგეიშვილი, მახარაძე (ყველა დინამო), მ. მიქაძე | საჩხერე, თბილისი |
| ბათუმი | ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე (ბორჯომი), ნაჭყებია | ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2), თურმანიძე (ზესტაფონი), შალამბერიძე (მეშაქრე) | ბათუმი |
| დილა | ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი) | ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია | გორი, თბილისი |
| კახეთი | ბიძინაშვილი, იმერლიშვილი (ორივე ვიტ ჯორჯია), ცინაძე, კევლიშვილი, სოსელია, წუწუნავა (ლოკომოტივი), კევლიშვილი (მერანი), | კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი, | თელავი |

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩების წინ

# საფეხბურთო კლასიკა სანტიაგო ბერნაბეუზე

## ჰიტცფელდმა იცის, როგორ მოუგოს რეალს, რეალმა იცის, როგორ გააგდოს ბაიერნი...

### რეალი-ბაიერნი

დღეს არც "რეალს" ულხინს და არც "ბაიერნს" - მადრიდული გრანდი პრიმერადივიზიონში მე-4 ადგილზეა, ისევე, როგორც რეკორდმაისტერი ბუნდესლიგაში. მაგრამ აშკარაა, რომ ბავარიელები უფრო ცუდად გამოიყურებიან, ვიდრე "სამეფო გუნდი". "ბაიერნს" (ჯერჯერობით) ვერც მწვრთნელის შეცვლამ უშველა - **ფელიქს მაგათის** გათავისუფლებისა და **ოტმარ ჰიტცფელდის** დაბრუნების შემდეგ მიუნხენელებმა სამი თამაშიდან 2 წააგეს (ნიურნბერგში 0:3, აახენში 0:1) და ერთი მოიგეს, რაც ამ გუნდისთვის ძალიან სამარცხვინო შედეგია. და თუკი ბავარიული გიგანტის გულშემატკივრებს ვინმეს იმედი აქვთ, პირველ რიგში, სწორედ ჰიტცფელდისა, რომელმაც იცის, თუ როგორ უნდა დაამარცხოს "რეალი".

"რეალისა" და "ბაიერნის" დაპირისპირება ჩემპიონთა ლიგის კლასიკაა. ეს გუნდები ხსენებულ ტურნირზე ერთმანეთს უკვე 10-ჯერ დაუპირისპირდნენ. ბავარიელთა დამრიგებელი ათივე შემთხვევაში ჰიტცფელდი გახლდათ და ოტმარის ხელში რეკორდმაისტერმა "რეალს" 6-ჯერ მოუგო, ერთხელ ფრე დააფიქსირა და სამჯერ დამარცხდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰიტცფელდს მადრიდული გრანდის წინააღმდეგ დადებითი ბალანსი აქვს. მაგრამ აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ფლეი ოფში 4 დაპირისპირებიდან, "რეალმა" სამჯერ გააგდო "ბაიერნი", გერმანელებმა კი მადრიდული ბარიერი მხოლოდ ერთხელ დაძლიეს (2001 წელს, ნახევარფინალში) და სხვათა შორის, მაშინ "ბაიერნმა" ჩემპიონთა ლიგა მოიგო. ამასთან, მიუნხენელთა და მადრიდელთა ბოლო ორი საფლეიოფო ჯახებიდან ორივე ესპანური გიგანტის სასარგებლოდ დასრულდა: "რეალმა" "ბაიერნი" 2001/02 და 2003/04 წლების სეზონში ევროპის ყველაზე ელიტარული საკლუბო ტურნირიდან გააგდო. და კიდევ: უკანასკნელ ორ სეზონში "რეალი" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალს ვერ გასცდა. ამრიგად, მადრიდელები ყველაფერს გააკეთებენ, რომ წარუმატებელი სერია სწორედ გერმანიის მოქმედ ჩემპიონთან შეწყვიტონ.

აღსანიშნავია ისიც, რომ "რეალს" ჩემპიონთა ლიგაში ყველაზე სამარცხვინო საშინაო და საგარეო მარცხები სწორედ "ბაიერნთან" აქვს განცდილი. 1999/00 წლების სეზონის მეორე ჯგუფურ ეტაპზე მიუნხენელებმა "სანტიაგო ბერნაბეუზე" 4:2 გაიმარჯვეს, საკუთარ "ოლიმპიაშტადიონზე" (მაშინ "ბაიერნი" სწორედ ამ არენაზე თამაშობდა) კი 4:1 გაანადგურეს მოსისხლე მტერი. თუმცა "რეალმა" ამ სირცხვილისთვის იმავე სეზონში იყარა ჯავრი და "ბაიერნი" ნახევარფინალიდან გააგდო (მადრიდში 2:0, მიუნხენში 1:2).

ჰიტცფელდმა "რეალის" ბოლო თამაშს (ბეტისთან 0:0) "კიკერის" კორესპონდენტთან ერთად უყურა და თამაშის დასრულების შემდეგ თქვა: *"მართალია, ვერ მოიგეს, მაგრამ "რეალი" გამარჯვებას იმსახურებდა. მადრიდელებს ბოლო 15 წუთში აშკარად არ გაუმართლათ, გამარჯვების გოლი რომ ვერ გაიტანეს. "რეალს" შედეგების მხრივ არ ულხინს, მაგრამ ამ გუნდისთვის ზერელედ შეხედვა დამღუპველია. "რეალი" მაინც "რეალია", სიფრთხილე გვმართებს."* **ოლივერ კანი**, რომელიც აახენში განცდილმა მარცხმა წყობიდან გამოიყვანა, ოპტიმისტურად არის განწყობილი და მიიჩნევს, რომ "ბაიერნი" ფსიქოლოგიურად "რეალზე" უკეთეს მდგომარეობაშია: *"თითოეული ფეხბურთელი 100 პროცენტით მოტივირებულია. გუნდში აშკარად ვხედავ ცეცხლს, რაც იმაში მარწმუნებს, რომ მადრიდში ძალიან კარგ შედეგს დავაფიქსირებთ, რაც განმეორებითი მატჩისთვის ჩინებულ შანსს მოგვცემს."*

"ბაიერნს" **ოუენ ჰარგრივსი** უბრუნდება. მოგეხსენებათ, ინგლისელმა ნახევარმცველმა სექტემბერში მძიმე ტრავმა მიიღო და მას მერე ლაზარეთში იმყოფებოდა. ჰარგრივსი ორი კვირის წინათ, "ნიურნბერგთან" შეხვედრაში დაბრუნდა, მაგრამ ტრავმა ისევ გაუმიზეზდა, რის გამოც მომდევნო ორი მატჩი გამოტოვა. ბავარიული გიგანტის სამედიცინო შტაბი იტყობინება, რომ ოუენი "სანტიაგო ბერნაბეუზე" სათამაშოდ მზადაა. ჰიტცფელდს ყველაზე მეტად სწორედ მისი ეიმედება. ამასობაში გენერალმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს ერთი საიდუმლო გაუმხილა: გადაწყვეტილია, რომ დღეს **როი მაკაისთან** ერთად თავდასხმაში **ლუკას პოდოლსკი** ითამაშებს. არც **პისარო**, რომელიც საშინელ ფორმაშია და არც **სანტა კრუსი**, რომელმაც ჰიტცფელდის ნდობა ვერ გაამართლა (როკე "ალემანიასთან" ძირითად შემადგენლობაში იყო) - "რეალს" მაკაისთან ერთად პოდოლსკი შეუტევს. *"დიახ, პოლდის ვათამაშებ და მჯერა, რომ ერთ-ერთ საუკეთესო მატჩს ჩაატარებს. ლუკასს რკინის ნერვები აქვს და ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში ყველაზე მეტად სწორედ ეს მჭირდება. გარდა ამისა, პოდოლსკი და მაკაი ერთმანეთს ჩინებულად უწყობენ,"* - განუცხადა ჰიტცფელდმა "შპორტ-ბილდს".

რაც შეეხება "რეალს", რომელმაც პრიმერადივიზიონის ბოლო 4 საშინაო თამაშში მხოლოდ 1 გოლის გატანა შეძლო: ჩვენი ესპანელი კოლეგები ირწმუნებიან, რომ დიდი შანსია, **ფაბიო კაპელო** "ძველებს" უფრო ენდოს, ვიდრე "ახლებს", რომლებმაც ბოლო დროს არაერთხელ გაუცრუეს იმედები. **რობერტო კარლოსმა** ვარჯიში განაახლა და წესით, "ბეტისთან" უნდა ეთამაშა, მაგრამ კაპელომ ის თამაშის ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დატოვა. 33 წლის ბრაზილიელი დღეს წესით ძირითადში უნდა ვიხილოთ. თუ არა და, მაშინ დაცვის მარცხენა ფლანგზე ისევ **მიგელ ტორესი** იასპარეზებს. ნახევარდაცვაში კაპელო დიდი ხანია **ემერსონი-დიარას** დუეტს აღარ ენდობა და სასტარტო შემადგენლობაში უმეტესად მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს ათამაშებს ხოლმე. "ბაიერნთან" ძირითადში მოხვედრის უკეთესი შანსი მაინც ბრაზილიელს აქვს, რომელიც კაპელოს ძალიან უყვარს. სამაგიეროდ ემერსონს "სანტიაგო ბერნაბეუს" პუბლიკა ველარ იტანს. სავარაუდოდ ძირითადში იქნებიან **ბექჰემი, რაული** და **გუტი - რეიესს, რობინიოსა** და **იგუაინს** კი სკამზე ვიხილავთ. მადრიდში ამ უკანასკნელზე უკვე ხუმრობენ, "რეალის" მაისურით პირველ გოლს მომდევნო სეზონში და მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიტანს, თუ ქვედა ლიგის რომელიმე გუნდში გაანათხოვრებენო. **რუუდ ვან ნისტელროი** კი, რა თქმა უნდა, უალტერნატივოა.

სავარაუდო შემადგენლობები

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, ივან ელგერა, რობერტო კარლოსი (ან მიგელ ტორესი), ბექჰემი, ემერსონი (ან დიარა), გახო, რაული, გუტი (ან იგუაინი), ვან ნისტელროი.

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, სალიჰამიჯიჩი, ვან ბომელი, ჰარგრივსი, შვაინშტაიგერი, მაკაი, პოდოლსკი.

**მსაჯი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია).



2004 წლის 10 მარტი, მადრიდი, რეალისა და ბაიერნის ბოლო მატჩი, რომლის ბედი ზინედინ ზიდანის საუცხოო გოლმა გადაწყვიტა

### ეინდჰოვენი-არსენალი

"ეინდჰოვენი", რომელიც მიუხედავად ჯგუფურ ეტაპზე ბოლო ორი თამაშის წაგებისა, მერვედფინალში მაინც გავიდა, შარშანდელ ფინალისტსა და მისთვის უხერხულ მეტოქეს, ლონდონის "არსენალს" გადაეყარა. 2002 წლამდე ეს გუნდები ევროტურნირებზე ერთმანეთს არ ხვდებოდნენ, თუმცა მერე ბედმა ერთმანეთს არაერთხელ შეახვედრა. დღევანდელი თამაში ამ გუნდების რიგით მეხუთე დაპირისპირებაა, სამაგიეროდ, პსვ და "არსენალი" პირველად ხვდებიან ფლეი ოფში. "არსენალი" "ეინდჰოვენთან" ჩატარებულ 4 მატჩში არცერთხელ არ დამარცხებულა: "მეთოფეებმა" ჰოლანდიელები 2-ჯერ დაამარცხეს, 2 თამაშში კი ფრე დაფიქსირდა. ეს გუნდები ერთმანეთს პირველად 2002/03 წლების სეზონის პირველ ჯგუფურ ეტაპზე შეხვდნენ. მაშინ "არსენალმა" ეინდჰოვენში 4:0 მოიგო - **ტიერი ანრიმ** დუბლი შეასრულა, მის გარდა კი **ფრედი ლიუნგბერგმა** და **ჟილბერტო სილვამ** იხეირეს. ამ უკანასკნელმა სულაც 21-ე წამზე გახსნა ანგარიში და ეს ყველაზე სწრაფი გოლი გახლდათ ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში. "ჰაიბერიზე" გამართული მატჩი კი 0:0 დასრულდა. მომდევნო დაპირისპირება კი 2004/05 წლების სეზონში, ასევე ჯგუფურ ეტაპზე შედგა: ლონდონში "არსენალმა" 1:0 იმარჯვა (**ალექსმა** საკუთარ კარში გაიტანა), ეინდჰოვენში კი 1:1 დაფიქსირდა (**ოოიერი, ანრი**).

"ეინდჰოვენს" საკუთარ მოედანზე ინგლისური კლუბების წინააღმდეგ არცთუ სახარბიელო ბალანსი აქვს: 11 თამაშში მხოლოდ 4 მოგება, აქედან არცერთი ბოლო 5 შეხვედრაში. **რონალდ კუმანის** გუნდი ზედიზედ მესამედ თამაშობს ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში. შარშან "ეინდჰოვენი" "ლიონმა" დაიფრინა (მერვედფინალში): ფრანგებმა პსვ-ს სტუმრად 1:0 მოუგეს, შინ კი 4:0 გაანადგურეს. 1971/72 წლების სეზონში "არსენალმა" ჰოლანდიაში პირველად წააგო (ამსტერდამში, "აიაქსთან" 1:2), სამაგიეროდ ლონდონელები მომდევნო 4 შემთხვევაში ჰოლანდიიდან დაუმარცხებლად დაბრუნდნენ.

"ეინდჰოვენის" რიგებში დღეს დებიუტი ექნება გუნდის ჩინელ ახალწვეულ **სუნ სიანს**. ის პირველი ჩინელი ფეხბურთელი გახდება, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. **არსენ ვენგერი** ტრადიციულად, 4-5-1 ტაქტიკას აირჩევს და მხოლოდ ერთი ფორვარდით (ანრი) ითამაშებს. როგორც იცით, "მეთოფეებს" **რობინ ვან პერსი** ჰყავთ ტრავმირებული. გასულ უქმეებზე, ასოციაციის თასის შეხვედრაში (ბლექბერნთან 0:0) "არსენალს" სამთვიანი იძულებით პაუზის შემდეგ **ვილიამ გალასი** დაუბრუნდა , რომელმაც მოედანზე 1 საათი დაჰყო. ფრანგი დღეს, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს და ალბათ დაცვის მარცხენა ფლანგზე, სადაც მისი ალტერნატივა **გაელ კლიშია**. ვენგერმა არჩევანი უნდა გააკეთოს **ჯურუსა** და **სენდეროსს** შორის, რომელთაგანაც ერთ-ერთი დაცვის ცენტრში **კოლო ტურეს** შეუწყვილდება. ნახევარდაცვაში **ფაბრეგასი**-ჟილბერტო სილვას წყვილი უალტერნატივოა. შესაძლოა, მოედანზე გასვლა ვერ მოახერხოს **ალექსანდრ გლება**, რომელმაც "ბლექბერნთან" გრიპის გამო ვერ ითამაშა. ვენგერი იმედოვნებს, რომ ბელორუსი ნახევარმცველი დღეს სალამომდე გამოჯანმრთელებას მოასწრებს.

სავარაუდო შემადგენლობები

**ეინდჰოვენი:** გომეში, კრომკამპი, ალექსი, კარლოს სალსიდო, სიანი, ედისონ მენდესი, სიმონსი, კოკუ, აფელეი, არუნა კონე, ფარფანი.

**არსენალი:** ლემანი, ჰოიტი, კოლო ტურე, ჯურუ (ან სენდეროსი), კლიში (ან გალასი), გლები, ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, ფლამინი, ლიუნგბერგი, ანრი.

**მსაჯი:** ტომ ჰენინგი (ნორვეგია).

მე-7 გვერდზე

### სტატისტიკა

#### ყველა რეალი vs ბაიერნი ჩემპიონთა ლიგაში

##### ჰიტცფელდმა რეალს ექვსჯერ მოუგო, რეალმა ბაიერნი სამჯერ გააგდო

| თარიღი | ეტაპი | მატჩი | შედეგი |
|---|---|---|---|
| 29.02.2000 | ჯგუფური | რეალი-ბაიერნი | 2:4 |
| 08.03.2000 | ჯგუფური | ბაიერნი-რეალი | 4:1 |
| 03.05.2000 | 1/2 ფინალი | რეალი-ბაიერნი | 2:0 |
| 09.05.2000 | 1/2 ფინალი | ბაიერნი-რეალი | 2:1 |
| 01.05.2001 | 1/2 ფინალი | რეალი-ბაიერნი | 0:1 |
| 09.05.2001 | 1/2 ფინალი | ბაიერნი-რეალი | 2:1 |
| 02.04.2002 | 1/4 ფინალი | ბაიერნი-რეალი | 2:1 |
| 10.04.2002 | 1/4 ფინალი | რეალი-ბაიერნი | 2:0 |
| 24.02.2004 | 1/8 ფინალი | ბაიერნი-რეალი | 1:1 |
| 10.03.2004 | 1/8 ფინალი | რეალი-ბაიერნი | 1:0 |

მე-6 გვერდიდან

## ლილი-მანჩესტერ იუნაიტედი

"ეშმაკების" სტუმრობის წინ "ლილის" ბანაკში არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა. ზამთრის არდადეგების შემდეგ კლუბს ჩავარდნა დაეწყო. **კლოდ პიუელის** შეგირდები გოლების გატანას ვეღარ ახერხებენ და თამაშებს ბოლო წუთებზე გაშვებული გოლებით აგებენ. ასე მოხდა "ლიონთან" ბოლო ტურის მატჩში. "ლილმა" შვიდ წუთში ორი გოლი გაუშვა და 1:2 წააგო. ასე მოხდა ბოლოსწინა ტურშიც საშუალო დონის "ტულუზთან", რომელმაც საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი 90-ე წუთზე დაამწუხრა. "ლილმა" ბოლო ცხრა თამაშში მხოლოდ ხუთი გოლი შეაგდო. ორი გოლი კი 10 დეკემბერს, "სენტ ეტიენთან" მატჩის შემდეგ არ გაუტანია. *"რთული პერიოდი გვაქვს. რაღაც უნდა ვიღონოთ. "ლიონთან" მატჩს ჩვენ ვაკონტროლებდით, უპირატესობაც ჩვენს მხარეს იყო, მაგრამ სამი ქულა მეტოქეს დარჩა,"* - ამბობს პიუელი. მის მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ საუკეთესო ბომბარდირი **კადერ კეიტა** დისკვალიფიცირებულია. "ლიონთან" პიუელმა ძირითადი შემადგენლობის სამი მოთამაშე შემოინახა. **მატიო შალმემ, ნიკოლა პლესტანმა** და **მატიო დებიუშიმ** კარგად დაისვენეს და "მანჩესტერთან" გაათმაგებული ენერგიით ითამაშებენ.

შაბათს, "რედინგთან" ასოციაციის თასის მერვედფინალში, **სერ ალექს ფერგიუსონმა** შესუსტებული შემადგენლობა გაიყვანა და მხოლოდ 1:1-ს დასჯერდა. მართალია, ამ ექსპერიმენტის წყალობით, "ეშმაკებს" გადათამაშება არ ასცდებათ, მაგრამ ლილში დასვენებული ვარსკვლავები გავლენ მინდორზე. ძირითადში დაბრუნდება **უეინ რუნი**. სხვათა შორის, ახალგაზრდა თავდამსხმელმა ჩემპიონთა ლიგაში ბოლო გოლი თითქმის ორწელიწადნახევრის წინ გაიტანა ("ფენერბაჰჩესთან" ჰეთ თრიკი). მისი უგოლო ევროპული სერია 16 მატჩს ითვლის. ორმატჩიანი პაუზის შემდეგ კვლავ სასტარტოში იქნება **ედვინ ვარ დერ სარი**. ჰოლანდიელმა გატეხილი ცხვირი მორჩინა. სიცხის დაწევისთანავე, შაბათს, ძირითადში დააყენეს **კრისტიანო რონალდო**. ის დღესაც პირველივე წუთიდან ითამაშებს. თანამემამულეებს **ლუის სააც** შეუტევს. ფერგის სამი თავდამსხმელის - მისი, რონალდოსა და რუნის გამოყვანა აქვს გადაწყვეტილი. გუნდს გააძლიერებს **პოლ სქოულზიც**, რომელმაც "რედინგთან" შეცვლაზე ითამაშა.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ლილი:** ტონი სილვა, ტაფორო, პლესტანი, ტავლარიდისი, შალმე, დებუში, მაკუნი, ბოდმერი, დუმონი, ობრანიაკი, ოდემვინგი.

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდო, სქოულზი, ქერიკი, გიგზი, რუნი, საა.

**მსაჯი:** ერიკ ბრაამჰაარი (ჰოლანდია)

## სელტიკი-მილანი

"სელტიკისა" და "მილანის" დაპირისპირება იმითაა საინტერესო, რომ ეს კლუბები იანვრის ტრანსფერებისას საგრძნობლად გაძლიერდნენ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ახალწვეულთა გარეშე მოუწევთ ფონს გასვლა. გლაზგოელებმა "ჰართსის" ორი ლიდერი - მცველი **სტივ პრესლი** და ნახევარმცველი **პოლ ჰარტლი** დაიმატეს, მაგრამ იმის გამო, რომ ამ ფეხბურთელებმა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ყოფილი კლუბის შემადგენლობაში ითამაშეს, "სელტიკს" ვეღარ დაეხმარებიან. იგივე ითქმის რონალდოზეც, რომელმაც სერია A-ს ბოლო ტურში "სიენას" ორი გოლი გაუტანა, მაგრამ ლიგაში "რეალის" შემადგენლობაში აქვს ნათამაშევი. ამიტომ შოტლანდიაში არცკი გაემგზავრა.

სელტიკელთა საკადრო პრობლემები ამით არ ამოიწურება. საეჭვოა თავდამსხმელ **კენი მილერის** ასპარეზობა. მას სიბრძნის კბილი ამოსდის და სიცხე აქვს. ესეც არ იყოს, შოტლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში, "აბერდინთან" მატჩისას (2:1) კურიოზული ტრავმა მიიღო: მინდვრის კიდეზე გახურებისას თანამსაჯს ისეთი ძალით შეეჯახა, რომ თავი გაიტეხა და ნაკერები დაადეს. საბრალო მილერმა მოედანზე შესვლა ვეღარ შეძლო.

"სელტიკი" პირველი ბრიტანული კლუბია, რომელმაც შორეულ 1967 წელს ჩემპიონთა თასი მოიპოვა. ის ლიგის ფლეი ოფების დებიუტანტია. მთავარ მწვრთნელ **გორდონ სტრაჩანს** "სელტიკ პარკის" მხურვალე მხარდაჭერის იმედი აქვს: *"მილანს" უდიდეს პატივს ვცემთ. მეტოქე შესანიშნავი გუნდი ჰყავს. ის ორგანიზაციით, სიძლიერითა და ფანტაზიითაა გამორჩეული, მაგრამ "სელტიკს" შეუძლია, მაყურებელს დაუვიწყარი საღამო აჩუქოს."*

იმის გამო, რომ "მილანმა" იტალიური სეზონი პირწმინდად ჩააფლავა, კლუბს აქცენტი ჩემპიონთა თასზე აქვს გადატანილი. "სიენასთან" გამარჯვების მიუხედავად, კლუბი 30 ქულით (!) ჩამორჩება გათამაშების ლიდერ "ინტერს". მაქსიმუმი, რასაც მას შეუძლია, მიაღწიოს, მეოთხე ადგილია, რომლისგანაც ორი ქულა აშორებს. **კარლო ანჩელოტი** ამბობს: *"მესამე და მეოთხე ადგილებს შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. ამ სეზონში ჩვენი უმთავრესი სამიზნე ჩემპიონთა ლიგაა. ფანებს ვერ შევპირდები, რომ თასს აუცილებლად მოვიპოვებთ, მაგრამ გამარჯვებისთვის ყველაფერს ვიღონებთ."*

ტრავმებმა ანჩელოტის გუნდის მზადებასაც შეუშალა ხელი. დაშავებული მხარის გამო კვლავ ვერ ვარჯიშობს ძირითადი მეკარე **დიდა**. ტრავმა აქვს **ფილიპო ინძაგის**. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა **ალბერტო ჯილარდინო** და გუნდთან ერთად გლაზგოში გაემგზავრა. ჯილას სათამაშო პრაქტიკა აკლია. ამიტომ მოსალოდნელია, რომ "მილანი" ერთი თავდამსხმელით ითამაშებს და ეს თავდამსხმელი **რიკარდო ოლივეირა** იქნება.

### სავარაუდო შემადგენლობები

**სელტიკი:** ბორუცი, ვილსონი, ოდი, მაკმანუსი, ნეილორი, გრავესენი, ლენონი, ნაკამურა, იაროშიკი, მილერი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი.

**მილანი:** სტორარი, ოდო, ბონერა, მალდინი, იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ბროკი, კაკა, ზეედორფი, ოლივეირა.

**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)



უეინ რუნის ჩემპიონთა ლიგაში ორწელიწადნახევარია, არ გაუტანია

CHAMPIONS LEAGUE
ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი VS ბაიერნი. ინტერვიუ რუუდ ვან ნისტელროისთან

# ბაიერნი უნდა გავაგდოთ

## ჰოლანდიელი მადრიდელ ფანებს გოლებსა და გამარჯვებას ჰპირდება

**"ბაიერნი" კრიზისშია, "რეალიც" კრიზისშია - დღეს მადრიდის "სანტიაგო ბერნაბეუზე" ერთმანეთს ორი დავრდომილი გიგანტი დაუპირისპირდება. "სამეფო გუნდის" გოლეადორ რუუდ ვან ნისტელროის აზრით, ეს "რეალისთვის" სეზონის უმნიშვნელოვანესი მატჩია, რომელიც ფაბიო კაპელოს გუნდმა აუცილებლად უნდა მოიგოს. მოახერხებენ თუ არა მადრიდელები გერმანიის მოქმედი ჩემპიონის დამარცხებას და განმეორებითი მატჩისთვის უპირატესობის შექმნას, ეს მეტწილად სწორედ ჰოლანდიელ ბომბარდირზეა დამოკიდებული, რომელსაც პრიმერადივიზიონში 11 გოლი აქვს გატანილი. გთავაზობთ ინტერვიუს ვან ნისტელროისთან, რომელიც "რეალის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.**



რუუდ ვან ნისტელროი ბავარიელთა დასამარცხებლად ემზადება

**- "რეალისა" და "ბაიერნის" დაპირისპირება ჩემპიონთა ლიგის კლასიკაა. რას ელით ამ მატჩისგან?**

- ერთი რამ ცხადია: სამშაბათს ერთმანეთს ორი ძალიან კარგი გუნდი დაუპირისპირდება. "ბაიერნს" ბოლოდროინდელი წარუმატებლობების დავიწყება სურს და გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაციას შეეცდება. ჩვენც ასეთივე მდგომარეობაში ვართ. ეს შეხვედრა ჩინებული შანსია იმისთვის, რომ ორივე გუნდმა თავდაჯერება დაიბრუნოს. "ბაიერნის" ბოლო თამაშს ვუყურე (აახენში 0:1 - გ.ლ.) და დავრწმუნდი, რომ გერმანიის ჩემპიონს ძალიან ბევრი პრობლემა აქვს. მაგრამ ამავე დროს მჯერა, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" სულ სხვა "ბაიერნს" ვიხილავთ.

**- რამდენად მნიშვნელოვანია ეს შეხვედრა "რეალისთვის"?**

- ბოლოს და ბოლოს, უნდა ვაჩვენოთ ისეთი თამაში, როგორსაც ჩვენგან ფანები ელიან და ითხოვენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მიმდინარე სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩია. აუცილებლად უნდა მოვიგოთ და მჯერა, რომ ასეც იქნება.

**- "ბაიერნში" თქვენი თანამემამულე როი მაკაი თამაშობს. თუ ესაუბრეთ მას?**

- როისაც ველაპარაკე და მარკ ვან ბომელსაც. მაკაი შესანიშნავი თავდამსხმელია, ყველგან და ყოველთვის ბევრი გოლი გაჰქონდა. ყველაზე მეტად მას უნდა ვუფრთხილდეთ.

**- "რეალსაც" ბევრი პრობლემა აქვს. თქვენმა გუნდმა ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო 8 თამაშში მხოლოდ 4 გოლი გაიტანა. ამაზე რას იტყოდით?**

- ეს მხოლოდ ერთ-ერთი პრობლემაა. გოლები, უბრალოდ, ვერ გაგვაქვს და არ ვიცი, რატომ.

**- შეიძლება თუ არა, ითქვას, რომ "რეალს" რონალდო დააკლდა?**

- "სიენა"-"მილანს" ვუყურე და ვნახე, თუ როგორ გაიტანა რონალდომ ორი გოლი. მიხარია, რომ "მილანში" საქმეები კარგად აეწყო, მას ეს დუბლი სასწრაფოდ სჭირდებოდა. რაც შეეხება თქვენს კითხვას, სიმართლე გითხრათ, "რეალის" თავდასხმაზე არ ვნერვიულობ. მართალია, ბოლო დროს გოლების გატანა გაგვიჭირდა, მაგრამ ერთიც ვნახოთ, რა და როგორ იქნება "ბაიერნთან". ჩვენ შესანიშნავი ფეხბურთელები გვყავს და ყველამ იცის, რომ გოლების გატანა შეგვიძლია. ვინ იცის, იქნებ "ბაიერნთან" თამაში გარდამტეხი გამოდგეს. ყოველ შემთხვევაში, მე მჯერა, რომ "რეალი" სულ მალე ძველებურად ათამაშდება.

**- თანაგუნდელებს ხომ არ უჩივით იმის გამო, რომ ბოლო დროს კარგი პასებით ვეღარ გამარაგებენ?**

- არა, რადგან როცა ამის საშუალება ეძლევათ, პასს ყოველთვის მაძლევენ. მთავარი ის გახლავთ, რომ 90 წუთის განმავლობაში ყურადღება არ უნდა მოვადუნო. ჰო, ბოლო დროს რეალური საგოლე მომენტები იშვიათად მექმნება, მაქსიმუმ 3-4 მომენტი მაქვს ხოლმე და მეც ვმუშაობ იმაზე, რომ ყველა შანსი გამოვიყენო. ბევრი მომენტი არც "ბაიერნთან" შემექმნება, მაგრამ რაც შემექმნება, აუცილებლად უნდა გამოვიყენო.

**- პრიმერადივიზიონში საშუალო და საშუალოზე დაბალი დონის გუნდებს ვერ უგებთ. საერთოდ, "რეალი" ამ სეზონში ქულებს ძალიან სულელურად კარგავს. რისი ბრალია ეს?**

- არც მე ვიცი. ვერაფრით ამიხსნია, რა გვჭირს და რატომ დაგვჩემდა ასეთი უიღბლობა. არადა, ცუდად არ ვთამაშობთ. ერთი რამ ცხადია: ჩემპიონობის შანსი ჯერ კიდევ გვაქვს და არც ისე ცუდ მდგომარეობაში ვართ. გულშემატკივრებს ვთხოვ, დრო მოგვცენ და ჩვენ ყველაფერს გამოვასწორებთ. თუმცა მე ისიც ვიცი, რომ "რეალის" ფანები მაქსიმალისტები არიან. მესმის, რომ გუნდის წარუმატებლობებს ვერ ეგუებიან. "რეალი" ყველა თამაშს უნდა იგებდეს.

**- "ბეტისთან" თამაშის შემდეგ "სანტიაგო ბერნაბეუს" პუბლიკამ ისევ გისტვინათ...**

- არა მხოლოდ თამაშის შემდეგ, მთელი 90 წუთის განმავლობაში გვისტვენდნენ, რაც ჩემთვის გაუგებარი ნამდვილად არ არის. გულშემატკივრებს სურთ, რომ ლამაზი ფეხბურთი ვითამაშოთ და რაც მთავარია, მოვიგოთ. ეს ჩვენც გვსურს, მაგრამ რატომღაც არ გამოგვდის. ასე რომ, რაღაც უნდა შევცვალოთ, უფრო მეტად უნდა მოვინდომოთ.

**- "ბაიერნთან" მოტივაციაზე საუბარი ალბათ, ზედმეტია...**

- რა თქმა უნდა! ამ მატჩის მნიშვნელობა თითოეულ ფეხბურთელს კარგად ესმის.

**გოტფრიდ ლენცი**

ექსპერტის მოსაზრება

CHAMPIONS LEAGUE

# ფელიქს მაგათი: ფავორიტი ბაიერნია

რა შეიცვალა "ბაიერნში" მას მერე, რაც მიუნხენური გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **ფელიქს მაგათი** გაათავისუფლეს და მის ნაცვლად **ოტმარ ჰიტცფელდი** დანიშნეს? ფაქტობრივად, არაფერი. თავად განსაჯეთ, ოტმარის ხელში რეკორდმაისტერმა ჯერ ნიურნბერგში წააგო (0:3), მერე საკუთარ მოედანზე "არმინიას" ძლივსძლიობით მოუგო (1:0), გასულ უქმეებზე კი აახენში "ალემანიასთანაც" დამარცხდა (0:1). მაგათის გაგდების შემდეგ "ბაიერნის" საქმე უკეთესობისკენ არ წასულა - ბავარიულ გრანდს პროგრესი ვერც ჰიტცფელდმა დაატყო.

სანამ ოტმარი უმუშევარი იყო, "კიკერში" ჩემპიონთა ლიგას მიმოიხილავდა ხოლმე და მისი სვეტები ხშირად გვითარგმნია. ახლა კი ეს რუბრიკა მაგათმა გადაიბარა. "დესპოტმა ფელიქსმა" პირველი წერილი "კიკერის" გუშინდელ ნომერში გამოაქვეყნა. ყველასთვის მოულოდნელად მაგათს "რეალი"-"ბაიერნის" წყვილში ფავორიტად მიუნხენური გიგანტი მიაჩნია და აი, რატომ:

*"ბაიერნიცა" და "რეალიც", ფაქტობრივად, ერთნაირ მდგომარეობაში არიან. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ "რეალს" ესპანეთის ჩემპიონატის მოგების შანსი ჯერ არ დაუკარგავს, "ბაიერნმა" კი პრინციპში, უკვე დაკარგა. პირადად მე ამ წყვილში უპირატესობას ჩემს ყოფილ შეგირდებს ვანიჭებ. მიზეზი ის გახლავთ, რომ "ბაიერნის" ხელმძღვანელებმა კრიზისის დროს რეაგირება მოახდინეს და მწვრთნელი შეცვალეს, "რეალს" კი არაფერი მოუმოქმედებია. მადრიდულ კლუბში არაფერი შეცვლილა. მჯერა, ჰიტცფელდს "სამეფო გუნდის" გაგდება შეუძლია,"* - წერს მაგათი.

სხვათა შორის, ესპანური "მარკა" გუშინდელ ნომერში წერდა: *"რეალს" არაფრისა უნდა ეშინოდეს, რადგან "ბაიერნი" კიდევ უფრო უარეს დღეშია!"* მაგათი: *"ამ შეხვედრას ორივე გუნდისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. გამარჯვებული მოტივაციას გაიათმაგებს და მერე ეროვნულ ჩემპიონატშიც მოუმატებს, დამარცხებული კი ფაქტობრივად, უნდა შეეგუოს იმას, რომ ამ სეზონში ტიტულის გარეშე დარჩება."*

ვნახოთ, რა მოხდება დღეს საღამოს, "სანტიაგო ბერნაბეუზე"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ იოჰან კრუიფთან

# ფლეიმეიქერი? ეს ხომ ამპლუა არ არის...

## მფრინავი ჰოლანდიელის აზრები არგენტინულ ფეხბურთზე

**„ბოკა ხუნიორსში“ ხუან რომან რიკელმეს უსახელო დაბრუნებამ, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ბოლო დროს დამკვიდრებულ ტენდენციას იმის თაობაზე, რომ თითქმის აღარ არსებობენ ფეხბურთელები, რომლებიც მთელ გუნდს თავის გარშემო შემოიკრებენ და მატჩის საბოლოო შედეგის განმსაზღვრელები იქნებიან. ამ და სხვა საკითხებზე თავისი აზრი გამოთქვა ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა იოჰან კრუიფმა, რომელსაც არგენტინული გაზეთი „ოლე“ გაესაუბრა.**

**- რა წარმოდგენა გაქვთ არგენტინულ ფეხბურთზე?**

- არგენტინის ჩემპიონატის მატჩებს თვალს ვადევნებ, მაგრამ არა ისეთი სიხშირით, რომ მისი დონის შემფასებლად გამოვდგე. უფრო ყურადღებით იმ არგენტინელ ფეხბურთელებს ვაკვირდები, რომლებიც ევროპაში ჩამოდიან სათამაშოდ.

**- შეიძლება თუ არა არგენტინის ნაკრები, შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მორალურ გამარჯვებულად ჩაითვალოს?**

- არგენტინამ მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვების ისტორიული შანსი გაუშვა ხელიდან. გერმანია ის მოწინააღმდეგეა, რომელსაც ან თავად მოუღებ ბოლოს, ან ყველაფერი საპირისპიროდ მოხდება. პეკერმანის ნაკრებს ანგარიშის შენარჩუნებაზე თამაში არ უნდა დაეწყო და საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანა, მით უმეტეს, რომ მისთვის მატჩში ყველაზე რთული მომენტი უკვე ჩავლილი იყო.

**- თქვენ ყოველთვის პაბლო აიმარის თაყვანისმცემელი იყავით. მიაღწევს თუ არა ეს ფეხბურთელი „სარაგოსაში“ თავისი კარიერის პიკს?**

- აიმარი ისედაც უმაღლეს დონეზე თამაშობდა და მასთან ერთად, „ვალენსია“ ესპანეთის ჩემპიონი გახდა. მაგრამ აქ მთელი რიგი ფაქტორებია გასათვალისწინებელი: კერძოდ, ფეხბურთელის ტრავმებისადმი მიდრეკილება და ის ტაქტიკური სქემა, რომელსაც აიმარი იძულებულია, რომ მოერგოს. ნებისმიერ შემთხვევაში - ის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია პრიმერა დივიზიონში.

**- გახდებიან თუ არა გახო და იგუაინი „რეალის“ გადამრჩენლები? მათგან მადრიდში ბევრს ელიან...**

- ეს ნამდვილი დანაშაულია, როცა ორ ნორჩ ფეხბურთელს უმძიმეს ტვირთად ჰკიდებენ მხრებზე რეალისნაირი ლეგენდარული კლუბის გადარჩენის პასუხისმგებლობას. ეს იგივეა, რომ ადამიანს ზურგში დანა ჩაარტყა. და თუ მათ მაინც შეძლეს სამეფო კლუბის გადარჩენა, ეს ნიშნავს იმას, რომ ორივე ექსტრაკლასის ფეხბურთელი ყოფილა. მაგრამ, თუ ეს არ გამოუვიდათ, ნუ ჩათვლით, რომ გახო და იგუაინი ნიჭიერი მოთამაშეები არ არიან. მათ დრო სჭირდებათ.

**- იგივე შეიძლება ითქვას სერხიო აგუეროზე?**



იოჰან კრუიფი

- აგუერო ძალიან სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთელია, მაგრამ ის ისეთ გუნდში მოხვდა, რომლისგანაც ყოველთვის ძალიან ბევრს ითხოვენ. ასე რომ, აგუეროს არა მარტო ესპანურ ფეხბურთში, არამედ „ატლეტიკოში“ დამკვიდრება უწევს, იმ გუნდში, რომელიც უკვე მრავალი წელია ვერ აღწევს დიდ წარმატებებს.

**- როგორ ფიქრობთ, შეძლო თუ არა ხავიერ სავიოლამ იმ სკეპტიკოსთა გაჩუმება, რომლებსაც მისი შესაძლებლობებისა არ სჯერათ?**

- იყო დრო, როცა სავიოლა ზედმეტ ტვირთად მიაჩნდათ. შემდეგ, ის მოედანზე გავიდა და გოლების გატანა დაიწყო. მაგრამ ამას არ უნდა მივაქციოთ დიდი ყურადღება, რადგან მსგავსი რამ ბევრ ფეხბურთელს ემართება.

**- რიკელმე „ბარსელონიდან“ ცუდად წავიდა, ახლა კი, „ვილიარეალშიც“ თავად შეიქმნა პრობლემები. რა ხდება მის თავს?**

- თავის დროზე, რიკელმემ პირადად გაიყვანა „ვილიარეალი“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში - ასეთ შედეგს არც ამ გუნდისგან და არც ფეხბურთელისგან არ ელოდნენ. როცა ერთ სეზონში საკუთარ თავზე მაღლა ახტები, მომდევნო წელს აუცილებლად გაგიჭირდება. სწორედ ასე მოხდა რიკელმესა და „ვილიარეალის“ შემთხვევაში.

**- დანიელ პასარელამ თქვა, რომ თანამედროვე ფეხბურთში აღარ არსებობს ფლეიმეიქერი, რომელსაც მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლიათო...**

- ფლეიმეიქერი? ჩემთვის ასეთი ამპლუა არასოდეს არსებობდა. არ მომწონს კლასიკური განლაგება - 4+4+2, არც ორი საყრდენით თამაში და არც ის სათამაშო სქემა, რომელიც ფლეიმეიქერის გამოყენებას ითვალისწინებს.

**- დაუბრუნდებით თუ არა სამწვრთნელო სამუშაოს?**

- არა. როცა გადაწყვეტილებას ვიღებ, შემდეგ მას აღარ ვცვლი ხოლმე. ფეხბურთში ყველაფერი გავაკეთე როგორც მოთამაშემ და როგორც მწვრთნელმა. დღეს უფრო მომწონს ადამიანებთან ურთიერთობა და მათთვის რჩევების მიცემა. დაე, შემდგომში მათ თვითონ გადაწყვიტონ, როგორ მოიქცნენ.

**- „ბარსელონის“ პრეზიდენტობაზე ჯერ არ გიფიქრიათ?**

- არასოდეს მჯეროდა, რომ ერთ ადამიანს შეუძლია ყველა საქმე ერთნაირი წარმატებით აკეთოს, თუმცა ასეთი ადამიანი არსებობს - ეს არის ფრანც ბეკენბაუერი. მე სხვანაირი ხასიათი მაქვს. არ შემიძლია ლოჟაში ვიჯდე და წყნარად ვუყურო შეხვედრას. ეს ჩემთვის არ არის.

არგენტინა. კლაუსურა

# რივერი: სასჯელი და მორიგი სკანდალი

## ძალადობის ახალი ტალღა არგენტინის სტადიონებზე

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ „რივერ პლეიტის“ სტადიონს ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. მიზეზი კლაუსურის პირველ ტურში „ლანუსთან“ მატჩისას (1:0) მომხდარი ინციდენტია. აღსანიშნავია, რომ ინციდენტი „რივერის“ ფანკლუბებს შორის მოხდა. ისინი ერთმანეთს „ესტადიო მონუმენტალის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დაუპირისპირდნენ. ჩხუბის შედეგად ოთხი ადამიანი მძიმედ დაშავდა და ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს. „რივერის“ ხელმძღვანელობამ ფედერაციის განაჩენს უსამართლო უწოდა. დირექტორთა თქმით, სტადიონი არაფერ შუაში იყო, რადგან ჩხუბი ტრიბუნებზე არ მომხდარა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ „მონუმენტალი“ უსაფრთხოების ყველა ნორმას აკმაყოფილებს და ნებისმიერი დონის მატჩის მასპინძლობისთვისაა მზად.

ამასობაში „რივერის“ ფანებმა მეორედაც გამოიჩინეს თავი. კლაუსურის მეორე ტურში „მილიონარიოსი“ „ნიუელსს“ ეწვია და 2:1 იგებდა, როცა არბიტრმა თამაში შეწყვიტა. სტადიონზე მდგომარეობა მატჩის მიწურულს დაიძაბა. სტუმარმა ფანებმა მინდორზე მაშხალები და სხვადასხვა ნივთი ისროლეს. არგენტინული პოლიცია ამ თამაშისთვის საგანგებოდ ემზადებოდა. ოთხი წლის წინ როსარიოში („ნიუელსი“ ამ ქალაქის კლუბია) „რივერის“ სტუმრობა ტრაგიკულად დასრულდა. მასპინძელი და სტუმარი გულშემატკივრების შეტაკებისას „ნიუელსის“ ორი ფანი სასიკვდილოდ დაშავდა.

არგენტინულ ფეხბურთს ბოლო დროს ძალადობის ახალმა ტალღამ გადაუარა. „კილმესის“ რადიკალმა ინჩასებმა კლუბსი შტაბბინის კედლები ათასგვარი მუქარებით ააჭრელეს. ისინი დირექტორებს ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრნენ იმის გამო, რომ ამ უკანასკნელებმა „ესტუდიანტესთან“ პირველი ტურის გასვლითი მატჩისთვის უფასო ბილეთები და ტრანსპორტი არ გამოყვეს. წინა კვირაში ამავე მიზეზით „ბანფილდის“ პრეზიდენტმაც მუქარის ზარები მიიღო.

### II ტური

**ნიუელსი-რივერი 1:2 (შეწყდა)**

გოლები: 0:1 ფარიასი (37), 1:1 სპოლი (45), 1:2 ფარიასი (70).

გაძევება: სპოლი (79. ნიუელსი)

**ლანუსი-ბანფილდი 2:1**

გოლები: 1:0 სანგვინეტი (35-საკ.კარში), 1:1 ცვიტანიჩი (51), 2:1 პელეტიერი (71).

გაძევება: კინტეროსი (24).

**არსენალი-გოდოი 2:1**

გოლები: 1:0 ორტისი (6), 1:1 დევასა (38), 2:1 მარტინი (58).

გაძევება: სალომონი (83. გოდოი)

**კოლონი-სან ლორენსო 1:1**

გოლები: 1:0 სენტურიონი (15), 1:1 ლედესმა (86).

**ხიმნასია (ხ)-ესტუდიანტესი 0:0**

**არხენტინოს ხუნ.-ნ.ჩიკაგო 3:0**

გოლები: 1:0 დესაბატო (43), 2:0 ნუნიესი (67), 3:0 აბანი (90).

გაძევება: ფ.იგუაინი (45. ნ.ჩიკაგო)

**კილმესი-ხიმნასია (პ) 2:2**

გოლები: 0:1 პიატი (9), 1:1 იბანიესი (40), 2:1 იბანიესი (61), 2:2 პიერგიდი (83).

გაძევება: მასუერო (78. ხიმნასია), პიატი (90. ხიმნასია)

**ბოკა ხუნ.-როსარიო 1:1**

გოლები: 0:1 სელაიე (38), 1:1 პალასიო (54).

**რასინგი-ველესი 2:2**

გოლები: 0:1 სარატე (25), 1:1 ბერგესო (71), 2:1 სავა (75), 2:2 ფიმი (90).

**ბელგრანო-ინდეპენდიენტე 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2.ბოკა ხუნ. | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| 3.კოლონი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 4.ველეს სარსფ. | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 5.ესტუდიანტესი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 6.სან ლორენსო | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7.როსარიო | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 8.არხენტ. ხუნ. | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 9.გოდოი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 10.რივერი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 11.ლანუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 12.რასინგი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 13.ხიმნასია (ხ) | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 14.ბელგრანო | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 15.ხიმნასია (პ) | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 16.კილმესი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 17.ინდეპენდ. | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 18.ნ.ჩიკაგო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 19.ნიუელსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 20.ბანფილდი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

იუვენტუსი

# ლიპიმ, იუვეს მწვრთნელობაზე არ ვფიქრობო



იუვენტუსის პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი ჯილი

„იუვენტუსის“ პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლი ჯილი ფაბიო კაპელოსადმი** სიმპათიებით არასოდეს გამოირჩეოდა. ტურინიდან გაქცეული მწვრთნელის მისამართით ის ყოველთვის მწარე განცხადებებს აკეთებდა. რაკი კაპელოს მადრიდში მძიმე დროება დაუდგა, იტალიელმა ჟურნალისტებმა პრეზიდენტს პირველი კომენტარი სწორედ ამ საკითხზე სთხოვეს. *„გულდაწყვეტილი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ კაპელოს წარუმატებლობა მიხარია – თქვა კობოლი ჯილიმ – არის მომენტები, როცა დასტურდება, რომ ცხოვრება ყველასთვის მძიმეა, არ არსებობენ არანაირი სუპერმენები, დიდ ადამიანს გარემოებები ქმნიან. ასეთ გარემოებებად უნდა ჩაითვალოს ის სტუქტურა, რომელიც „იუვენტუსში“ იყო და რაც მწვრთნელს წარმატების მიღწევაში ეხმარებოდა. კაპელოს მე მაინც წარმატებას ვუსურვებ, თუმცა, ვიმეორებ, რომ სუპერმენები და სუპერმწვრთნელები არ არსებობენ. გარემოებათა ერთობლიობა ქმნის ძლიერ მწვრთნელს და ძლიერ გუნდს.“*

პანკალი. ამის შემდეგ „ბიანკონერის“ პრეზიდენტს სთხოვეს, ფედერკალჩოს საგანგებო კომისრის ლუკა პანკალის თაობაზე საკუთარი აზრი გამოეთქვა. *„პანკალის მუშაობას ძალიან მაღალ შეფასებას ვაძლევ. ამ ბოლო მძიმე კვირებში მან გადაწყვეტილების სწრაფად მიღებისა და სიმტკიცის დიდი მაგალითი მოგვცა. ჩემი აზრით, პანკალი ახალი ტიპის მენეჯერია. ძველი კომისრის ადგილზე თავიდან მოკრძალებული ჩანდა, მაგრამ კლუბებთან ღია და გამჭვირვალე ურთიერთობების დამყარება შეძლო. საფეხბურთო ლიგის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე კლუბებს რადიკალურად განსხვავებული პოზიციები გვქონდა, მაგრამ მისმა მოსვლამ უცბად გახადა შესაძლებელი საერთო ენის გამონახვა“.*

ძამბროტა და კანავარო. *„ძამბროტა და კანავარო ჩვენს გულში დარჩნენ, ძალიან გამიხარდებოდა მათი ხელახლა დანახვა „იუვეს“ მაისურაში, თუმცა ეს იოლად ვერ მოხდება – თქვა პრეზიდენტმა – დელ პიერო? მისი „იუვენტუსში“ დარჩენის ალბათობა ძალიან დიდია, მაგრამ წინასწარ გადაწყვეტილად არაფერს ვთვლით. თუკი მომავალში ალექსს კლუბში დირექტორად მუშაობის სურვილი ექნება, ჩვენი კარი მისთვის ყოველთვის ღია იქნება, არჩევანი მხოლოდ მასზე იქნება. სხვა ლიდერების დარჩენასაც ოპტიმისტურად ვუყურებ, ამის საფუძველს არსებული ატმოსფერო მაძლევს: ყველაზე მნიშვნელოვანი, რაღა თქმა უნდა, ბუფონის შენარჩუნებაა“.* გარდაუვალი იყო შეკითხვა **ლუკა ტონიზე,** რომელსაც პრესა „ქალბატონის“ მთავარ სამიზნედ აცხადებს: *„ლუკა ჩვენი ნაკრების ცენტრფორვარდია და გასაკვირი არაა, რომ ვინმესთვის საოცნებო ფეხბურთელი იყოს. მაგრამ სადღესიოდ ტონიც და ჩვენც უფრო მნიშვნელოვან მიზნებზე ვართ კონცენტრირებულები. ტონი ამბობს, რომ უნდა, მთელი ყურადღება ჩემპიონატზე ჰქონდეს გადატანილი და მეჩვენება, რომ ასეთი უნდა იყოს ყველა ნამდვილი პროფესიონალის დამოკიდებულება.“*

დეშამი. ვიჩენცაში ნათამაშები 2:2-ის შემდეგ დეშამის ტურინული მომავალი თითქოს კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, მაგრამ ამ პატარა გაუგებრობას „იუვემ“ შაბათს ხმამაღალი პასუხი გასცა, როცა „კროტონე“ 5:0-ზე გაანადგურა. ყველაფერი მოგვარებულია? *„აუცილებელი იყო, რომ ყველას, გუნდს, მწვრთნელსა და ხელმძღვანელობას, სწორედ ასეთი რეაქცია გამოევლინა. ყველაფერი მოგვარდა ამ კვირისთვის, მაგრამ სერია A-ში დასაბრუნებლად კიდევ ბევრი შეხვედრის მოგებაა საჭირო. მორჩა, მოდუნების უფლება აღარ გვაქვს, უნდა შევინარჩუნოთ ის სულისკვეთება, რომელიც ბოლო თამაშში ვაჩვენეთ. დეშამის პოსტს არანაირი საფრთხე არ ემუქრება. ესაა ჩემი და ყველა დირექტორის მყარი პოზიცია და სხვანაირად ვერც იქნებოდა. დეშამი მაშინ დათანხმდა ჩვენთან თანამშრომლობას, როცა სერია B-ში დაქვეითებასთან ერთად 30 ქულა დაგვაკლეს. კარგად მუშაობს, ცხადია, გაუმჯობესებაც შეიძლება, მაგრამ რეალურად 52 ქულა დავაგროვეთ (43 და დაკლებული 9) და ასეთ ფონზე დეშამის დათხოვნა აბსურდული გადაწყვეტილება იქნებოდა“.* პრესაში გავრცელდა ხმა, ლიპიმ დეშამს დაურეკა და დაამშვიდა, „იუვენტუსში“ მესამედ მისვლაზე არ ვფიქრობო. მარჩელოს ამ ზართან დაკავშირებით „იუვეს“ პრეზიდენტმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *„ეს ისეთი რაღაცაა, რაც ლიპის დეშამისთვის სატელეფონო საუბარში შეიძლებოდა ეთქვა. „იუვენტუსს“ ლიპის მიმართ დღემდე რჩება სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა, არა მხოლოდ მიღწეული შედეგებისთვის, არამედ იმ ატმოსფეროსთვის, რომელიც ჩვენს გუნდში შექმნა. მაგრამ ლიპი ჩვენთვის ნაკრების მწვრთნელად რჩება. როცა მარჩელოს შევხვდით, არ შეგვეძლო, რომ ერთმანეთის მიმართ დიდი სიმპათია და პატივისცემა კიდევ ერთხელ არ გამოგვეხატა.“*

**გოგა ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა




ჟოზე მოურინიო

ჩელსი

# მოურინიო წასასვლელად ემზადება?

## კლუბმა ფინანსური წარმატების გზას მიაგნო

პორტუგალიურმა სააგენტოებმა **ჟოზე მოურინიოსთან** დაკავშირებით, საინტერესო ინფორმაცია გაავრცელეს. „პორტუსთან" დაახლოებული წყარო ამტკიცებს, რომ 2004 წელს მწვრთნელსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის წარმოქმნილი კონფლიქტი მოურინიოს მიერ საგანგებოდ იყო ინსპირირებული, რათა მას ლონდონელებთან კონტრაქტის გაფორმება გაადვილებოდა.

მოგეხსენებათ, მოურინიოს „ჩელსის" ბოსებთანაც პრობლემები აქვს. ამ დაპირისპირების გამო, მას ლონდონიდან აზარგებას უწინასწარმეტყველებენ. ესპანურმა სააგენტოებმა გვაუწყეს, რომ მწვრთნელით „რეალი" დაინტერესდა და მის აგენტ **ჟორჟე მენდესს** მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა. კვირას „სანდი მირორმა" მოურინიოს ულტიმატუმის ამბავი გვამცნო - ჟოზემ ტრანსფერებზე სრული კონტროლი და ხელფასის გაზრდა მოითხოვაო.

ისე ჩანს, რომ მოურინიოს ამჯერადაც გამწვავებისკენ მიჰყავს საქმე. იმიტომ ხომ არა, რომ რომელიმე გრანდისგან სარფიანი კონტრაქტი გარანტირებული აქვს და ლონდონელთაგან თავის დაღწევა სურს? თუ ასე მოხდება, „ჩელსის" ზედიზედ მეოთხე კლუბი იქნება, საიდანაც მოურინიო კონტრაქტის ამოწურვამდე წავა. იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ამბავს მალე მოეფინება ნათელი...

ამასობაში, „ჩელსის" პრესსამსახურმა გასული ფინანსური წლის ანგარიში წარმოადგინა. „არისტოკრატებმა" შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწიეს. მათი საბიუჯეტო დეფიციტი სარეკორდო 140 მილიონი გირვანქიდან 60 მილიონამდე შემცირდა. გარღვევა ისევ მასშტაბურია, მაგრამ კლუბმა მდგომარეობის გამოსწორების გზას მიაგნო. „ჩელსის" აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ კენიონი** ირწმუნება, რომ 2009 წლისთვის ლონდონური გრანდი დეფიციტს სრულად აღმოფხვრის და თავის შესანახად **რომან აბრამოვიჩის** მილიონები აღარ დასჭირდება.

კლუბის ფინანსური ბრუნვა წინა წელთან შედარებით 2.3 პროცენტით გაიზარდა და 150 მილიონი გირვანქა შეადგინა. 44 პროცენტით გაიზარდა შემოსავალი, რომელსაც კლუბი მარკეტინგული პროექტებით იღებს. კენიონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ანგარიშში გათვალისწინებული არ არის შემოსავალი, რომელსაც „ჩელსის" „ადიდასთან" გაფორმებული სარფიანი კონტრაქტი მოუტანს. საგაისო პოზიტიურ პროგნოზებს ახალი სატელევიზიო კონტრაქტებიც ამყარებს. ასე რომ, „სტემფორდ ბრიჯზე" ყველაფერი გეგმის მიხედვით ხორციელდება.




რობერტო ბაჯო

ლივერპულური სკანდალი

# ბენიტესმა ბელამის ომი გამოუცხადა

## უელსელი ბარსელონაში მაინც გაემგზავრა, მაგრამ გაისად ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევსო

**კრეიგ ბელამის** 80 ათასი გირვანქით დააჯარიმებენ. „სანის" ცნობით, „ლივერპულის" თავკაცმა **რაფა ბენიტესმა** თავდამსხმელს ომი გამოუცხადა. გუშინ პორტუგალიურ შეკრებაზე მომხდარი ინციდენტის შესახებ გაუწყეთ. ბელამი თანაგუნდელ **იონ არნენ რიისეს** გოლფის ჯოხით დაესხა თავს. ორშაბათს ფეხბურთელები ჩვეულებისამებრ „მელვუდის სანვრთნელ ბაზაზე გამოცხადდნენ და სრული დატვირთვით ივარჯიშეს. მერსისაიდელები „ბარსელონასთან" ხვალინდელი მატჩისთვის ემზადებიან. მიმომხილველთა ვარაუდით, ბელამის ლივერპულული კარიერა დასასრულს მიუახლოვდა. ის კატალონიაში მაინც გაემგზავრება, მაგრამ ახალი სეზონიდან სხვა სამსახურის პოვნა მოუწევს. ფინანსური სანქცია არ ასცდება სკანდალში გახვეულ რიისესაც. ნორვეგიელი მცველის აგენტი ირწმუნება, რომ მისი კლიენტი ალკოჰოლს საერთოდ არ გაკარებია და სასტუმროშიც ყველაზე ადრე დაბრუნდა. შესაბამისად, სასჯელს არ იმსახურებს. „ლივერპული" **იერჟი დუდეკის** საკითხსაც განიხილავს. პოლონელი მეკარე პორტუგალიელ სამართალდამცველებს დაუპირისპირდა, რის გამოც ხელბორკილები დაადეს. ეს ურჩობა დუდეკს ძალიან ძვირი, დაახლოებით 70 ათასი გირვანქა დაუჯდება.




კრეიგ ბელამი

ცოცხალი ლეგენდა. რობერტო ბაჯო 40 წლისაა

# ბევრი უნდა ვიფიქრო, რათა მერე ძვირად არ დამიჯდეს...

## ბაჯოს აზრით, თანამედროვე ფეხბურთი ჩიხში შედის

კვირას, **რობერტო ბაჯოს** 40 წელი შეუსრულდა. იტალიური მედია „ღვთაებრივი ცხენისკუდას" იუბილეს ფართოდ გამოეხმაურა. არ დარჩა სატელევიზიო თუ რადიოარხი, აღარაფერს ვამბობთ პრესაზე, ბაჯოსთვის სიტყვები რომ არ დაეხარჯა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იტალიელთა უსაზღვრო სიყვარულს ამ მართლაც წინააღმდეგობრივი, მაგრამ უდავოდ მსოფლიო კლასის მოთამაშისადმი. ამასწინათ, კალჩოს პატრიარქ **კარლო მაცონეს** ჰკითხეს - რას ფიქრობთ ბაჯოზეო და ნახეთ, რა უპასუხა: *„ლიპი, კაპელო და ტრაპატონი იმიტომ არ სწყალობდნენ რობის, რომ ის მათ სცენასართმევდა. ანუ, ბაჯო თავად იყო იმ სპექტაკლების შემოქმედი, რომელსაც, ვითომ, ეს მწვრთნელები დგამდნენ".*

ალბათ, მართალია, როცა ამბობენ - დიდ მწვრთნელებს დიდი ფეხბურთელები (გნებავთ, პიროვნებები) თვალში არ მოსდითო. ყოველ შემთხვევაში, ბაჯოს მაგალითი ამას თვალნათლივ ამტკიცებს და აქ მსჯელობას აღარ განვავრცობთ...

2005 წელს, ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, რობი ალარსად ჩანდა, პრესასაც იშვიათად სწყალობდა... სიჩუმე „მრგვალმა" თარილმა დაარღვია. ბაჯო იძულებული გახდა, კომენტარები გაეკეთებინა წარსულსა და აწმყოზე. მის არყოფნაში იტალიურმა ფეხბურთმა დიდი ვნებათაღელვა გადაიტანა, დაწყებული - თავისმომჭრელი „კალჩოპოლის" სკანდალიდან, გაგრძელებული - დაუვიწყარი მუნდიალითა და დამთავრებული - კიდევ უფრო სამარცხვინო ძალადობით, რასაც ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

RAI-ს ტელეჟურნალ TG1-თან ინტერვიუში ბაჯო მძიმედ იხსენებს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატს, რომელმაც მის გარეშე ჩაიარა - ტრავმისგან სრულად განკურნებული და დიდებულ ფორმაში მყოფი, **ჯოვანი ტრაპატონიმ** სამუნდიალო შემადგენლობაში არ შეიყვანა. ამის გამო, ტრაპს მაგრად მოხვდა კიდეც მედიისგან, მეტადრე, კორეა/იაპონიის სტადიონებზე იტალიის ნაკრების უსახური და წარუმატებელი გამოსვლის ფონზე: *„ახლა, როცა წარსულს ვაანალიზებ და ვიხსენებ, თუ რა მოხდა იმ წლებში, მინდა თუ არა, ფიქრებს 2002 წელში გადავყავარ. დღემდე ვერ ვხვდები, რა მიზეზით ვერ მოვხვდი ტრაპატონის გუნდში. სამწუხაროდ, ეს არავინ ამიხსნა,"* - ჩივის ბაჯო TG1-თან საუბარში.

ის აცხადებს, რომ „კალჩოპოლის" სკანდალმა ყველაფერს ფარდა ახადა. ბაჯო დარწმუნებულია, რომ იმ პერიოდში ნაკრებს მავანი საფეხბურთო აგენტებისა და ზოგიერთი კლუბის მიერ ძალადრეკლამირებული მოთამაშეებით ადგენდნენ...

მაგრამ იყო კიდევ ერთი მუნდიალი, რომელსაც მეხსიერებიდან სიამოვნებით გააქრობდა. საუბარია 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალზე, როცა პასადენაში, ბრაზილიასთან საპენალტო ლატარიაში ხელი მოეცარა და „სკუადრა აძურა", რომელიც სწორედ ბაჯოს უდიდესი ძალისხმევით გახდა მუნდიალის დასკვნითი მატჩის მონაწილე, მხოლოდ ვერცხლის მედლებს დასჯერდა. ისევ ნაწყვეტი ინტერვიუდან: *„ვიტყოდი, რომ ის პენალტი არამარტო ჩემი საფეხბურთო კარიერის, არამედ აქამდელი ცხოვრების ყველაზე შემზარავი ეპიზოდია. საერთოდ ამოვჭრიდი მას გონებიდან, მაგრამ პასადენა ხშირად მაგონდება ხოლმე, განსაკუთრებით, რთულ ცხოვრებისეულ მომენტებში".*

ბაჯოს თანამედროვეები - **კარლო ანჩელოტი, რობერტო მანჩინი** და **რობერტო დონადონი** დღეს სახელიანი მწვრთნელები არიან. მას კი მომავალი საქმიანობის სფერო ჯერ არ გაურკვევია: *„იმ ხალხს, ვინც საფეხბურთო სამყაროში ცხოვრობდა და იცოდა, როგორ უნდა მორიგებოდა ამ სამყაროს, როგორ უნდა გადაელახა სირთულეები, აქვთ გარკვეული გამოცდილება და მისი გაზიარება ყველასთვის კარგი იქნებოდა, მათ შორის, ჩემთვისაც".*

რაც შეეხება ბოლოდროინდელ მოვლენებს. იტალიის სტადიონებზე ძალადობამ იმძლავრა. საინტერესოა, რას ფიქრობს ბაჯო ამასთან დაკავშირებით. თუმცა მისეული განსჯა უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე პრაქტიკული: *„დღევანდელმა ფეხბურთმა დაკარგა მისი ყველაზე საჭირო ელემენტი - ვნება, ანუ ის საფუძველი, რაზეც ყველაფერი თავიდან უნდა აშენდეს. ხალხს, რომელიც ფეხბურთს გარეთაა, თეთრისა და შავის გარჩევა ძალიან უჭირთ, ან საერთოდ არ შეუძლიათ. ეს ძალიან რთული სამყაროა, სადაც მდგომარეობის გამოსწორების გზებზე საკმარისად არ მსჯელობენ. ფეხბურთი ნელ-ნელა ჩიხში შედის".*

...და მაინც, რას აპირებს მომავალში? ბაჯო არ გამორიცხავს ფეხბურთში რაიმე სტატუსით დაბრუნებას, თუმცა: *„ჯერ ბევრი უნდა ვიფიქრო იმაზე, თუ რას გავაკეთებ მომავალში. ჩემთვის ეს რთული პრობლემაა და არ მინდა, შეცდომა დავუშვა, რათა მერე ძვირად არ დამიჯდეს".*

## არსენალი: ფინალში სარეზერვო გუნდით

მომავალ უქმეებზე კარდიფი ინგლისის ლიგის თასის ფინალს უმასპინძლებს. საპატიო ტიტულისთვის ლონდონური გრანდები - „არსენალი" და „ჩელსი" იბრძოლებენ. **არსენ ვენგერმა** გადაწყვიტა, **ტიერი ანრი** არ ათამაშოს. თადარიგში იქნება „მეთოფეების" კიდევ სამი წამყვანი ფეხბურთელი - **იენს ლემანი, ვილიამ გალასი** და **ფრედრიგ ლიუნგბერგი**. მწვრთნელი არჩევანს იმით ხსნის, რომ ამ ფეხბურთელებს ლიგის თასის წლევანდელ გათამაშებაში ერთხელაც არ უთამაშიათ. ფინალის საგზური ახალგაზრდებმა მოიპოვეს. ამიტომ ძირითადში ყოფნასაც ისინი იმსახურებენ: *„ეს ჩემთვის განსაკუთრებული ტურნირია და მინდა, ბოლომდე განსაკუთრებული დარჩეს. პრობლემას ვერ ვხედავ, თუ უძლიერესი ფეხბურთელები თადარიგში იქნებიან. ტიერიმ უკვე იცის, რომ მის განაცხადში შეყვანას არ ვაპირებ. ის მხოლოდ იმ შემთხვევაში ითამაშებს, თუ ყველა დანარჩენი თავდამსხმელი დაგვიშავდება."*

## აკინფეევის ორი ვარიანტი

„არსენალი" მოსკოვის ცსკას მეკარეს **იგორ აკინფეევს** ეპატიჟება. რუს გოლკიპერს „მილანის" სახით მეორე მთხოვნელიც გამოუჩნდა. ლონდონური გრანდი **იენს ლემანის** შემცვლელს ეძებს. 37 წლის გერმანელს კონტრაქტი უმთავრდება და ესპანეთში გამგზავრება სურს. მილანელებმა **დიდას** მემკვიდრე უნდა იპოვონ. სეზონის ბოლოს 33 ბრაზილიელიც თავისუფალი აგენტი ხდება და სავარაუდოდ, სამშობლოში გააგრძელებს კარიერას. აკინფეევი ამბობს, რომ ასეთი დონის გუნდების დაინტერესებით კმაყოფილია და შეთავაზებებს სიამოვნებით განიხილავს: *„პროფესიონალ ფეხბურთელს მსგავსი შანსი ყოველთვის არ ეძლევა."*

## ლარსონი უფასოდ?

„სანდი მირორი" იუწყება, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" **ჰენრიკ ლარსონთან** კონტრაქტის გაფორმება უპრობლემოდ შეუძლია. შვედ თავდამსხმელს მის ყოფილ კლუბ „ჰელსინგბორგთან" მხოლოდ ჯენტლმენური შეთანხმება აკავშირებს. „მენიუსთან" ათკვირიანი საიჯარო კონტრაქტის გაფორმებისას, ფეხბურთელმა შვედებს სიტყვა მისცა, რომ ქვეყნის ჩემპიონატის დაწყებამდე სამშობლოში დაბრუნდებოდა, მაგრამ მას „ჰელსინგბორგის" წინაშე არავითარი იურიდიული ვალდებულება არ აკისრია. თუ „იუნაიტედი" მოისურვებს, მოთამაშეს ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე გაუფორმებს ხანგრძლივ კონტრაქტს. დეკემბრის მიწურულს „მანჩესტერმა" ფეხბურთელის ტრანსფერში 1.2 მილიონი გირვანქა გადაიხადა. ამ თანხის ნახევარი პირადად ლარსონის ანგარიშზე ჩაირიცხა.

პირველი კომენტარი

# პესოტო: თავის მოკვლა არ მიცდია

იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის" ყოფილმა მცველმა **ჯანლუკა პესოტომ** განაცხადა, რომ გასულ ზაფხულს ტურინელთა შტაბბინის სახურავიდან ჩამოვარდნა უბედური შემთხვევა იყო და არა თვითმკვლელობის მცდელობა. 36 წლის პესოტო „იუვენტუსის" მენეჯერია. მან ამ კლუბთან ერთად ექვსჯერ მოიპოვა სკუდეტო, ხოლო 1996 წელს ჩემპიონთა თასსაც დაეუფლა. ჯანლუკამ „ბებერ ქალბატონში" 11 დაუვიწყარი სეზონი გაატარა. შარშან კი კინაღამ სიცოცხლეს გამოეთხოვა. ის მრავლობითი მოტეხილობებითა და შინაგანი სისხლდენით საავადმყოფოში მოათავსეს. პესოტოს მკურნალობამ დაახლოებით სამ თვეს გასტანა. გამოჯანმრთელების შემდეგ ჯანლუკამ დეპრესიისთვის თავის დასაღწევად ფსიქოლოგებსაც მიმართა.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ის პირველად გამოჩნდა ტელეეთერში. „რაიდუეს" პოპულარული საფეხბურთო შოუში მან ასეთი კომენტარი გააკეთა: *„ეს უბედური შემთხვევა იყო, მაგრამ მიმაჩნია, რომ ადამიანმა თავისუფლად უნდა გამოხატოს ის, რასაც ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე განიცდის. თუ ვინმე დამწუხრებულია, კარგი იქნება, თუ ამის შესახებ ხმამაღლა იტყვის. თუ ვინმეს დეპრესია აწუხებს, სატკივარი ხმამაღლა უნდა გამოხატოს. როცა ფეხბურთიდან მიდიხარ, მხოლოდ მაშინ აცნობიერებ, თუ რას კარგავ. ახალი ცხოვრების დაწყებას კი ყველა ადვილად ვერ ახერხებს. დღეს ენთუზიაზმით ვარ სავსე და მოუთმენლად ველოდები მუშაობის დაწყებას. იმედი მაქვს, საფეხბურთო სამყაროს გაკეთილშობილების საქმეში ჩემს მოკრძალებულ წვლილს შევიტან."*

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## ჭადრაკი



მორჩიაშვილი-ნიგალიძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

### საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

## განმეორდა თუ არა?

გუშინ მესამე ტური გაიმართა. პირველ დაფაზე ტურნირის რეიტინგფავორიტი **დავით არუთინიანი ლუკა პაიჭაძეს** ხვდებოდა. რთული ბრძოლა მშვიდობიანად დასრულდა. მეორე დაფაზე **შოთა აზალაძემ** უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა - საერთაშორისო ოსტატი **ბეგლარ ჯობავა** თეთრებით დაამარცხა. **დავით ბენიძემ გიორგი მარგველაშვილს** გაუყო ქულა, **მალხაზ სულაშვილმა - პარმენ გელაზონიას**, ხოლო ბაჩანა **მორჩიაშვილმა** კი თეთრებით მარცხი იწვნია **გაიოზ ნიგალიძისგან**. ამ შეხვედრაზე ქვემოთ უფრო ვრცლად მოგითხრობთ, იქამდე კი ერთ-ერთი ფავორიტის, საერთაშორისო ოსტატის მარცხიც უნდა გაცნობოთ - **თორნიკე სანიკიძემ** ასევე თეთრებით ვეტერან **მიხეილ ჭიპაშვილისგან** იწვნია მარცხი.

მორჩიაშვილისა და ნიგალიძის პარტია ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა. შავებით მოთამაშე ნიგალიძემ უპირატესობა იგდო ხელთ და დროის კონტროლის ამოწურვამდე რამდენიმე წუთით ადრე ხარისხიც მოიგო. პოზიცია ისეთი შეიქმნა, რომ შავებს უნდა მოეგოთ, მაგრამ თეთრები თავს იცავდნენ და ცაიტნოტიც მოახლოვდა. აქ ნიგალიძემ მთლად ზუსტად ვერ ითამაშა და მორჩიაშვილს თავის დაცვა გაუიოლდა. დაფაზე შავებს ეტლი და ორი - g და h პაიკები დარჩათ, თეთრებს თეთრუჯროვანი კუ და ასევე g და h პაიკი. ასეთი პოზიციის მოგება შესაძლებელია, მაგრამ თეორიის კარგი ცოდნაა საჭირო და ერთობ ფრთხილი თამაშიც. ნიგალიძე ნიჭიერი მოჭადრაკეა, მაგრამ სასურველ გზებს ვერ მიაგნო და რამდენჯერმე სვლა გაიმეორა.

ცოტა ხანში მორჩიაშვილმა საათი გააჩერა და მთავარ მსაჯს, **ევგენი მელიქსეთ-ბეგს** მოუხმო - ყაიმს ვითხოვ, პოზიცია სამჯერ განმეორდაო. პოზიცია გაირჩა და მელიქსეთ-ბეგმაც დაადასტურა, მაგრამ ნიგალიძე არ დაეთანხმა - აქ მეტოქის სვლაა აუცილებელი, რის შემდეგაც პოზიცია იცვლება და განმეორებად არ უნდა ჩაითვალოსო.

მთავარმა მსაჯმა თითქოს უარყო ნიგალიძის პრეტენზია, მაგრამ თხოვნას, სხვებისთვის, კომპეტენტური მოჭადრაკეებისთვისაც ეკითხათ, დაეთანხმა. ნიგალიძემ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს - **კახა შალამბერიძეს** მიმართა, მან კი ნიგალიძის პოზიცია გაიზიარა, საქმეში უკეთ გასარკვევად კი ფედერაციის რეიტინგ ოფიცერს და საჭადრაკო წეს-კანონთა მცოდნე **ვარლამ ვეფხვიშვილს** მოუხმო. ვეფხვიშვილმაც ნიგალიძის სასარგებლოდ გადაწყვიტა. მორჩიაშვილი თავის აზრზე რჩებოდა, თუმცა როცა დიდოსტატმა და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გიორგი ყაჭეიშვილმაც** მის საწინააღმდეგოდ გადაწყვიტა და მაგალითიც უჩვენა, იძულებული გახდა, დათანხმებულიყო. პარტია გაგრძელდა და ძნელად, მაგრამ ნიგალიძემ მაინც გაიმარჯვა.

დღეს, მეოთხე ტურში: გიორგი მარგველაშვილი (2.5)-შოთა აზალაძე (3); გიგა ყუფარაძე (2.5)-დავიდ არუთინიანი (2.5); ლუკა პაიჭაძე (2.5)-გიორგი ბაღათუროვი (2.5); გაიოზ ნიგალიძე (2.5)-დავით ჯოჯუა (2.5); თამაზ მგელაძე (2)-დავით ბენიძე (2.5); ლევან აროშიძე (2)-დავით ლომსაძე (2); ივერი ჭილაძე (2)-კონსტანტინე შანავა (2); დავით მალალაშვილი (2)-პარმენ გელაზონია (2); მალხაზ სულაშვილი (2)-დავით ზარქუა (2); ბეგლარ ჯობავა (2)-მიხეილ ჭიპაშვილი (2); ნინო ბაციაშვილი (2)-სოფიკო გურამიშვილი (2).

**ზვიად შათირიშვილი**

## ბაადური და აეროფლოტი

მოსკოვში მიმდინარეობს უდიდესი ღია საჭადრაკო ტურნირი, რომლის პარტნიორიც უმსხვილესი რუსული ავიაკომპანია "აეროფლოტია". ჯამური საპრიზო ფონდი 200 000 დოლარია და ოთხ ტურნირს მოიცავდა - A1, A2, B და C.

ადრე მოსკოვს ბევრი ქართველი სტუმრობდა, ცნობილ მიზეზთა გამო კი წლეულს მხოლოდ ორმა მოახერხა ჩასვლა - **ბაადურ ჯობავამ** და **ნანა ძაგნიძემ**. კიდევ ორნი - **შავლეგ შამუგია** და **ნაზი პაიკიძე** ბოლო წლებია, მოსკოვში ცხოვრობენ და მათთვის ტურნირში თამაში დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა.

ბაადურ ჯობავას ტიტული აქვს დასაცავი - შარშანდელი "აეროფლოტი" მან მოიგო და საპრიზო 25 000 დოლარის გარდა დორტმუნდის სუპერტურნირში თამაშის უფლებაც მიიღო. ძაგნიძე A2 ჯგუფში თამაშობს, შამუგია B-ში, პაიკიძე კი - C-ში.

მთავარ ტურნირზე 6 ტურია ნათამაშევი და ჯობავა 4 ქულით ლიდერთა შორისაა. ის რეიტინგით (2650) ტურნირზე მეთხუთმეტეა, პირველი კი სომეხი **ვლადიმერ აკოფიანი** გახლავთ (2700). ქვედა კატეგორიის ტურნირებში **ნანა ძაგნიძეს** 5 შესაძლებლობიდან მხოლოდ 1 ქულა აქვს, შავლეგ შამუგიას - 5-დან 1.5, 14 წლის ნაზი პაიკიძე კი 6-დან 5 ქულით მეხუთე-მეცხრე ადგილებს იყოფს და წინ წასულ კვარტეტს ნახევარი ქულით ჩამორჩება. სულ 9 ტურია სათამაშო.

## ჩოგბურთი

## უძრაობა

ვაუთა რეიტინგში ქართველთათვის კვლავ მცირე ცვლილებებია. **ირაკლი ლაბაძეს** ინდივიდუალურ ასპარეზზე წლეულს სეტიც არ უთამაშია, ის მსოფლიოს 172-ე ჩოგანია 240 ქულით, წინა კვირასთან შედარებით, მას კლასიფიკაციაში ცვლილება არ განუცდია. სამი საფეხურით დაიხია უკან ლადო ჩიხლაძემ, რომელსაც კვლავ 46 ქულა აქვს. დღეისთვის ლადო მსოფლიოს 545-ე ჩოგანია.

ქალთა რეიტინგში ერთი ადგილით დაიხია უკან **მაკა ჩახნაშვილმა**, რომელიც მსოფლიოს 143-ე ჩოგანია, ხოლო **ანა ტატიშვილი** ერთი ადგილით დაწინაურდა, ანა კლასიფიკაციაში 293-ეა. სხვა ქართველები: 338 (-) **სოფიო მელიქიშვილი**, 538 (-) **სალომე დევიძე**, 681 (-) **სოფიო შაფათავა**, 767 (-) **ეკა გორგოძე**, 889 (-3) **მანანა შაფაქიძე**, 1099 (+5) **თეონა ცერცვაძე** და 1350 (+3) **მარიამ ქურდაძე**.

**სოფიო ქვაცაბაია** ჯერჯერობით ურეიტინგოდაა, 18 წლის ქართველი ბედს კიდევ ერთ ესპანურ ტურნირში ცდიდა, თუმცა ეს ცდა ყველაზე წარუმატებელი აღმოჩნდა. ესპანურ მელილიაში (10 ათასი) ქვაცაბაია საკვალიფიკაციო ბადეში ჩაება, პირველ წრეში ის ისვენებდა, მეორეში კი ქართველი შვეიცარიელ მილიკა ტომიჩს შეხვდა. პირველი სეტი ქვაცაბაიამ 5:7 დათმო, შემდეგ კი ბრძოლა ტრავმის გამო ველარ გააგრძელა.

**სალომე დევიძე** ამერიკაში ფლორიდის შტატის ქალაქ ქლეარვოთერის ტურნირში (25 ათაისი) ასპარეზობს. პირველ საკვალიფიკაციო წრეში სალომე ამერიკელ **ნადია ჯილკრისტს** შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## კალათბურთი. ლეგიონერები

## ქართული დუელის ამაო მოლოდინი

**გასული კვირა მიმდინარე სეზონში ყველაზე გამორჩეული უნდა ყოფილიყო - ერთმანეთს ხომ ორ-ორი "ქართული" გუნდი დაუპირისპირდა: გიორგი ცინცაძის "ტარტუ როკმა" სერგო ათუაშვილის "ნეპტუნასს" უმასპინძლა, ხოლო ვიქტორ სანიკიძის "ესტუდიანტესმა" ნიკა ცქიტიშვილის "კახა სან ფერნანდოს".**

სამწუხაროდ, ქართული დუელი არც ესპანეთში შედგა და არც ესტონეთში. ესპანეთის პირველობის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა "ესტუდიანტესმა" **ნიკა ცქიტიშვილის** "კახა" მიიღო და მძიმე ბრძოლაში 91:78 დაამარცხა. მასპინძელთა ახალმა მწვრთნელმა მანუელ **დე პაბლოსმა** წინამორბედის ტრადიციას არ უღალატა და **ვიქტორ სანიკიძეს** დაძაბული ბრძოლისას თავის გამოჩენის საშუალება არ მისცა. ხოლო მეორე მხრივ "კახას" მწვრთნელი **მანელ კომასი** ცქიტიშვილს მხოლოდ პირველ ტაიმში ენდო და გადამწყვეტ მომენტში მის ნაცვლად **დემეტრიუს ალექსანდრი** ათამაშა. ამერიკელმა თავი 10 ქულით დაგვამახსოვრა, ხოლო სკიტამ 8 წუთში ერთი ორქულიანის აცილება და ორი საჯარიმოს გამოყენება მოასწრო.

ამ წაგებით "კახამ" ცხრილის მე-7 პოზიცია "გრან კანარიას" დაუთმო. ხოლო "ესტუდიანტესს" საქმე იმდენად ცუდად აქვს, რომ მე-13 ადგილზე ასასვლელად ერთი გამარჯვება კიდევ სჭირდება.

ესპანეთის ჩემპიონატი. 21-ე ტური. 1. რეალი-18 მოგება, 2. ტაუ-17, 3. ხირონა-15, 4. ხუვენტუდი-13, 5. უნიკახა-12, 6. ბარსელონა-12, 7. გრან კანარია-11, **8. კახა-11**, 9. ფუენლაბრადა-10, 10. ვალენსია-10, 11. მურსია-9, 12. გრანადა-9, 13. ალიკანტე-9, **14. ესტუდიანტესი-8**, 15. ბილბაო-8, 16. ბრუესა-6, 17. ვალიადოლიდი-6, 18. მენორკა-5.

"ესტუსა" და "კახასგან" განსხვავებით, სატურნირო მდგომარეობაზე საწუწუნო არაფერი აქვთ **გიორგი ცინცაძისა** და **სერგო ათუაშვილის** გუნდებს. გასულ კვირას "როკმა" ბალტიის თასზე კიდევ ორი მატჩი მოიგო და ლიდერობა განიმტკიცა. ერთ-ერთ შეხვედრაში სერგოს "ნეპტუნასი" ემსხვერპლა - 100:78. არც ამ შემთხვევაში შედგა ქართული დაპირისპირება, რადგან ათუაშვილი ლიტველებს ესტონეთში არ ჩაუყვანიათ. ამის მიზეზი სავიზო საკითხებია. სწორედ ვიზასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ერთი თვის წინათ, "ნევეჟისს" ესტონეთში, "როკთან" სათამაშოდ **ტატო ვაშაკიძე** ვერ ჩაჰყვა.

რადგან მეორე მატჩიც სხვა ქვეყანაში ჰქონდა, "ნეპტუნასი" შემადგენლობაში კვლავ არ გამოჩენილა სერგო ათუაშვილი. ხოლო გიორგი ცინცაძემ ავადმყოფობის შემდეგ სასტარტო ხუთეულში დაბრუნება ჯერაც ვერ მოახერხა. თუმცა, ვერც იმას ვიტყვით, რომ სათადარიგოთა სკამიდან ნაკლებად ეფექტურია - მისთვის გამოყოფილი დროის კვალობაზე "როკის" შემადგენლობაში ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერია.

ვიდრე ბალტიის თასის II ჯგუფის სატურნირო ცხრილს გაგაცნობდეთ, გეტყვით, რომ ფინალურ ოთხეულში მოხვედრის შანსი ამ ჯგუფის ორ საუკეთესოს მიეცემა - ისინი პირველი ჯგუფის აუტსაიდერებთან გადათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას.

ბალტიის თასი. 8 ტურის შემდეგ. **1. როკი (ესტონეთი)-8 მოგება**, 2. კალევი (ესტონეთი)-5 / 3. ლიეპაია (ლატვია)-5, 4. ნევეჟისი (ლიტვა)-4, **5. ნეპტუნასი (ლიტვა)-4**, 6. ატლეტასი (ლიტვა)-2, 7. საკალაი (ლიტვა)-1, 8. პანევეჟისი (ლიტვა)-1.

### ექვსი შვიდიანი

თუკი ცხრილს დააკვირდით, შენიშნავდით, რომ გიორგი ცინცაძის "როკმა" გასულ კვირას მეტოქეები 78:78 დააჯერა. **ვლადიმერ ბოისასა** და **ტაირონ ელისის** მოწინააღმდეგეები კი მხოლოდ შვიდიანებით შემოიფარგლნენ: ულების თასზე "მონტეპასკიმ" პაოკ-ი 80:77 დაამარცხა, ხოლო იტალიის ჩემპიონატში "სივილია" - 98:77. ელისის "ნაპოლიმ" "პრემიატასაც" 77 ქულის ჩაგდების უფლება მისცა, თუმცა თავად 61 ქულა ჩააგდო და ამ წაგებით სატურნირო ცხრილში ერთბაშად ორი საფეხურით დაქვეითდა. უშუალოდ ბოვასა და ტაირონის თამაშებზე კი სასაუბრო ბევრი არაფერია, რაშიც მათი მონაგარის გაცნობა დაგარწმუნებთ.

იტალიის ჩემპიონატი. 19 ტურის შემდეგ. **1. მონტეპასკი-16 მოგება**, 2. ვიდივიჩი-14, 3. მილანი-13, 4. ბენეტონი-11, 5. ვარეზე-11, **6. ნაპოლი-11**, 7. რომა-10, 8. პრემიატა-10, 9. სკაფატი-9, 10. კანტუ-9, 11. კლიმამიო-9, 12. უპეა-9, 13. ბიელა-8, 14. უდინე—8, 15. სევილია-7, 16. აველინო-6, 17. რეჯო ემილია-6, 18. ლივორნო-4.

### გვიანი გამოფხიზლება

პრეზიდენტის გამოცვლამ "ოლიმპიაზე" დადებითად იმოქმედა და ბოლო ორი კვირაა თამაშს თამაშზე იგებს. ევროლიგიდან გამოვარდნის შემდეგ მანუჩარ მარკოიშვილის თანაგუნდელები კონცენტრაციას ადრიატიკის თასზე ახდენენ და სატურნირო მდგომარეობასაც აუმჯობესებენ. თუმცა, შეჯიბრების დასაწყისში განიავებული ქულების გამო, ოლიმპიელები შეიძლება მაინც ფინალური ოთხეულის მიღმა აღმოჩნდნენ.

ბოლო ტურში ქართველმა ფორვარდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საჭიროების შემთხვევაში ლიდერის ფუნქციების შესრულება შეუძლია. მანუმ "ბოსნასთან" მოგებულ (93:68) მატჩში 26 წუთი ითამაშა და 11 ქულას 2-2 მოხსნა-ჩაჭრა და 5 პასი დაუმატა. შეხვედრის სნაიპერი კი 16 ქულით ოლიმპიელი გორან იურაკი გახდა.

ადრიატიკის თასი. 21 ტურის შემდეგ. 1. ციბონა (ხორვატია)-17 მოგება, 2. პარტიზანი (სერბეთი)-16, 3. ფმპ (სერბეთი)-16, 4. ბუდუჩნოსტი (სერბეთი)-14 / 5. ჰემოფარმი (სერბეთი)-14, 6. ზადარი (ხორვატია)-12, 7. ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)-11, **8. ოლიმპია (სლოვენია)-10**, 9. ჰელიოსი (სლოვენია)-10, 10. ბოსნა (ბოსნია)-8, 11. ზაგრები (ხორვატია)-7, 12. შიროკი (ბოსნია)-7, 13. სპლიტი (ხორვატია)-2, 14. სლოვანი (სლოვენია)-2.

### მეზობლად...

აზერბაიჯანის "ნტდ დევონში" **დავით მუშკუდიანს** სეხნია **ბარბაქაძე** და **გიორგი მამაცაშვილი** რომ შეუერთდნენ უკვე ვწერდით. მათ აკლიმატიზაციისთვის დიდი დრო არ დასჭირვებიათ - სადებიუტო მატჩში (რომელშიც "გალა" 80:78 დაამარცხეს) საუკეთესონი იყვნენ. ბარბაქაძემ ორმაგი დუბლი შეასრულა - 24 ქულა, 12 მოხსნა, ხოლო მამაცაშვილს აქამდე 2 მოხსნა დააკლდა - 22 ქულა, 8 მოხსნა. თერთმეტი ტურის შემდეგ ამდენივე მოგებით ჩემპიონატს "დევონი" ლიდერობს, ხოლო "გალას" 9 მოგება აქვს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ნიკოლოზ ცქიტიშვილი

| მოთამაშე | ტურნირი | თარ. | მატჩი | წ. | მ | პ | ჩ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | NBA | 11.02 | გოლდენ სტეიტ-ატლანტა 105:106 | 24 | 6 | 0 | 1 | 9 |
| | | 12.02 | იუტა-ატლანტა 102:76 | 19 | 9 | 0 | 1 | 10 |
| | | 14.02 | კლიპერსი-ატლანტა 93:96 | 26 | 12 | 1 | 0 | 15 |
| ვიქტორ სანიკიძე | ევროთასი | 13.02 | ესტუდიანტესი-შიაულიაი 95:70 | 10 | 2 | 0 | 1 | 2 |
| | ესპანეთი (ჩ.) | 18.02 | ესტუდიანტესი-კახა 91:78 | არ უთამაშია | | | | |
| ნიკა ცქიტიშვილი | ესპანეთი (ჩ.) | 18.02 | ესტუდიანტესი-კახა 91:78 | 8 | 1 | 0 | 0 | 2 |
| ვატო ნაცვლიშვილი | ევროთასი | 14.02 | ხირონა-დიჟონი 117:83 | არ უთამაშია | | | | |
| | საფრანგეთი (ჩ) | 17.02 | დიჟონი-კლერმონი 93:81 | არ უთამაშია | | | | |
| ვლადიმერ ბოისა | ულების თასი | 13.02 | მონტეპასკი-პაოკ 80:77 | 22 | 4 | 2 | 0 | 8 |
| | იტალია (ჩ.) | 18.02 | სივილია-მონტეპასკი 77:98 | 14 | 2 | 0 | 0 | 6 |
| ტაირონ ელისი | იტალია (ჩ.) | 18.02 | პრემიატა-ნაპოლი 77:61 | 31 | 3 | 1 | 1 | 5 |
| მანუ მარკოიშვილი | ადრიატიკა | 17.02 | ოლიმპია-ბოსნა 93:68 | 26 | 2 | 5 | 2 | 11 |
| გიორგი ცინცაძე | ბალტიის თასი | 13.02 | როკი-ნეპტუნასი 100:78 | 18 | 1 | 2 | 0 | 10 |
| | ბალტიის თასი | 17.02 | საკალაი-როკი 78:87 | 15 | 3 | 3 | 3 | 5 |
| სერგო ათუაშვილი | ბალტიის თასი | 13.02 | როკი-ნეპტუნასი 100:78 | არ უთამაშია | | | | |
| | ბალტიის თასი | 17.02 | ლიეპაია-ნეპტუნასი 82:72 | არ უთამაშია | | | | |
| ნოდარ შენგელია | ლიტვა (II ლიგა.) | 17.02 | პუნტუკასი-აკადემია 81:75 | 30 | 5 | 2 | 0 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრივი



დავით ნიკლაურისა და თორნიკე იველაშვილის სკანდალური ფინალი. გაიმარჯვა იველაშვილმა

ინტერვიუ დავით ნიკლაურთან

# უნებლიე თუ შეგნებული შეცდომები?

**ორიოდ დღის წინ დასრულებული საქართველოს ჩემპიონატი, სამწუხაროდ, სკანდალს ვერ ასცდა. ფედერაციის ხელმძღვანელობა შეჯიბრების წინ დაგვპირდა, რომ მსაჯობა მაქსიმალურად ობიექტური იქნებოდა და არავინ დაიჩაგრებოდა. ჩემპიონატის პირველი ორი დღე მართლაც იდეალურად მიმდინარეობდა, მაგრამ ნახევარფინალებისა და ფინალების დროს მდგომარეობა აშკარად დაიძაბა.**

პირველი ხმაური მოჰყვა **ლევან ლვამიჩავასა** და **კონსტანტინე კუპატაძის** (64 კგ) ფინალურ ორთაბრძოლას, რომელშიც ცოტა არ იყოს, საკამათო ვითარებაში, ლვამიჩავამ მინიმალური სხვაობით იმარჯვა. გაცილებით დიდი აყალმაყალი კი 81 კილოგრამის ფინალს მოჰყვა **დავით ნიკლაურსა** და **თორნიკე იველაშვილს** შორის. მსაჯების გადაწყვეტილებანი აქაც ხშირად საკამათო იყო ორივე მოკრივის მიმართ, ბოლოს კი ასევე მინიმალური სხვაობით, მოგება იველაშვილს მიენიჭა. აქ კი დავით ნიკლაურმა, მისმა მწვრთნელებმა და გულშემატკივრებმა უკვე ველარ მოთოკეს ემოციები და მსაჯობით უკმაყოფილება საკმაოდ ხმაურიანად გამოხატეს.

**გუშინ, დავით ნიკლაური დაგვიკავშირდა და გვთხოვა, საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება მიგვეცა – გაზეთებში ისე დაიწერა, თითქოს დამნაშავე და კრივის მტერი ვიყო და მინდა, ყველაფერი აგიხსნათო.**

- ერთადერთი რაშიც დამნაშავედ ვთვლი თავს, არის ის, რომ ცოტა უფრო ადრე უნდა ამომეღო ხმა. მაგალითად, კოტე კუპატაძისა და ლევან ლვამიჩავას ორთაბრძოლისას, რომელშიც კუპატაძე დაიჩაგრა. თუმცა ეს იმიტომ ვერ გავაკეთე, რომ კოტეს შემდეგ მეც მქონდა ფინალური შეხვედრა და მაშინ რომ ამეტეხა ხმაური, ფინალში აღარ უნდა გავსულიყავი. თანაც, თბილისელი ვარ, თბილისის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი, შეჯიბრებაც დედაქალაქში იმართებოდა და ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ კუპატაძეზე უარეს დღეში აღმოვჩნდებოდი.

რაც შეეხება უშუალოდ ჩემსა და იველაშვილს შორის შეხვედრას. დავიწყოთ იმით, რომ ჩემპიონატისთვის იდეალურად მომზადება ვერ მოვახერხე. ჯერ ერთი, მხარი მაწუხებდა და პირადი პრობლემებიც შემექმნა. ამის გამო, იველაშვილთან ჩხუბში არ მქონია იმხელა უპირატესობა, რომ მსაჯებს ჩემი დაჩაგვრის საშუალება არ ჰქონოდათ. მიუხედავად ამისა, მაინც მიმაჩნია, რომ ეს შეხვედრა არ წამიგია. კი ბატონო, ვთქვათ, გაფრთხილებას ვიმსახურებდი და ის მინუს ორი ქულა დაეწერათ, მაგრამ თავის არეში მიყენებულ დარტყმებზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო მუცელში დარტყმულებით უნდა მომეგო. ქულები აშკარად დამაკლეს.

**- ივეელაშვილსაც დააკლეს რამდენიმე ქულა...**

- გასაგებია, მაგრამ არსებობს ამ შეხვედრის ვიდეოფირი, სადაც ყველაფერი ნათლად ჩანს. კრივის ფედერაციას ვთავაზობ, რომ მოვიწვიოთ მსაჯები, დავსხდეთ, განვიხილოთ ვიდეოჩანაწერი და თუკი დამტკიცდება, რომ მსაჯები მართლები იყვნენ და ალალად წავაგე, ხმას აღარ ამოვიღებ. სხვათა შორის, შეხვედრის დასრულების შემდეგ, თითქმის ყველა მსაჯთან მივედი და ცალცალკე, ყველამ მითხრა, რომ გამარჯვებას ვიმსახურებდი. იველაშვილთან პიროვნულად საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მოკრივეები ერთმანეთთან ურთიერთობებს მხოლოდ რინგზე ვარკვევთ, რინგს მიღმა კი ვმეგობრობთ. თორნიკე მართლაც პერსპექტიული ბიჭია და რატომაც არა, საერთაშორისო შეჯიბრებებზე მასაც უნდა მიეცეს შანსი. თუმცა, ჩემი აზრით, როდესაც საქართველოს ჩემპიონი ასეთ საკამათო ორთაბრძოლაში ვლინდება, დამატებითი სპარინგებიც საჭიროა, რათა ნამდვილად დადგინდეს, ვინ უფრო ძლიერია.

**- ორთაბრძოლის შემდეგ მოწყობილ აურზაურზე რას იტყვით?**

- ცხადია, ჩემი საქციელი მოსაწონი არაა, მაგრამ, მერწმუნეთ, ჩემს ადგილას თქვენც ძალიან გაგიჭირდებოდათ თავის შეკავება. მე იმიტომ კი არ გამოვხატე ასე აშკარად უკმაყოფილება, რომ კრივის მტერი ვარ, არამედ იმიტომ, რომ სამართლიანობა აღდგეს და მომავალში მაინც არავინ დაიჩაგროს. უკვე გამოვედი იმ ასაკიდან, რომ საქართველოს ჩემპიონობაზე ჭკუას ვკარგავდე. იმდენჯერ ვარ ჩემპიონი, სათვალავი მერევა. უბრალოდ, ჩემპიონატი თავიდან ბოლომდე, განსაკუთრებით ფინალების დროს, ისე უნდა მიდიოდეს, რომ ყველა კითხვის ნიშანი მოხსნილი იყოს.

**- ცოტა უცნაურია, როდესაც თბილისის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი და საქართველოს კრივის ფედერაციის გამგეობის წევრი იჩაგრება. როგორ ფიქრობთ, რა ინტერესი უნდა ჰქონოდათ მსაჯებს?**

- ამაზე ლაპარაკი მიჭირს. საქართველოს ნაკრებში მთელი სამი წელი მხოლოდ მე ვიყავი თბილისელი, მერე სხვა დედაქალაქელებიც წამოვიდნენ. ახლა კი, როგორც ჩანს, უნდათ, რომ ნაკრები უთბილისელებოდ დარჩეს. როგორც დედაქალაქური კრივის ფედერაციის პრეზიდენტი, ამას ვერაფრით ვეგუები. რა თქმა უნდა, რეგიონებში კრივის განვითარებას და იქაური სპორტსმენების ნაკრებში მოხვედრას მივესალმები. თუმცა აუცილებლად ყველა თანაბარ პირობებში უნდა იყოს. თუ ასე გაგრძელდა, ჩემი საქართველოში დარჩენის აზრს ველარ ვხედავ და მომავალში რომელიმე სხვა ქვეყნის სახელით გამოვალ.

**- რაიმე ვარიანტი გაქვთ?**

- არის შემოთავაზებები. ამ დროისათვის, ყველაზე რეალური კვიპროსელთა წინადადებაა. თუკი აქ არ მომცემენ თავის გამოჩენის შანსს, პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიისთვის კვიპროსის სახელით ვიბრძოლებ. ვიმედოვნებ, აქამდე არ მივა საქმე.

**- როგორ ფიქრობთ, საქართველოს კრივის ფედერაცია და ქართული სპორტის ხელმძღვანელობა ყაბულს იქნება, რომ ჩვენი მოკრივეების რეალური კონკურენტი საზღვარგარეთ გაუშვას? შესაძლოა, დისკვალიფიკაციით დაგსაჯონ, რაც იმას ნიშნავს, რომ სამი წლის განმავლობაში სხვა ქვეყნის სახელით გამოსვლა აგეკრძალებათ.**

- ვიმედოვნებ, ასე არ გამწირავენ. და თუ მაინც ასე მოხდა, მაშინ იძულებული გავხდები, ამერიკის შეერთებულ შტატებს მივაშური და პროფესიონალებში გადავიდე, რაც ახლა მაინცდამაინც არ მინდა.

**- ფინალური ორთაბრძოლების შემდეგ, კუპატაძეც უკმაყოფილო იყო. ისიც ხომ არ აპირებს საზღვარგარეთ წასვლას?**

- კოტეს გეგმების შესახებ არაფერი ვიცი. თუმცა ისიც საკმაოდ გულგატეხილია და არ გამოვრიცხავ, რომ მართლაც ფიქრობდეს უცხოეთში გადაბარგებაზე.

**კობა ხატისაშვილი**

## თავისუფალი ჭიდაობა

საქართველოს ჩემპიონატი. U 21

# ესტაფეტა ანტიკურისგან

**გუშინ** დიღომში საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი უკვე თავისუფალ ჭიდაობაში დაიწყო. ანტიკურის მსგავსად, ესეც ზაფხულში, ბელგრადში გასამართი ევროპის პირველობისთვის შესარჩევი ეტაპია, ამიტომ ტურნირში ნაკრების ყველა შესაძლო კანდიდატი გამოდიოდა.

| 50 კგ |
| --- |
| 1. დავით ბერძნიშვილი (გორი) |
| 2. ვლადიმერ ხინჩეკაშვილი (გორი) |
| 3. ლაშა ღვინიანიძე (სამტრედია) |
| 3. კონსტანტინე გავაშელი (თბილისი) |

წლეულს ეს ნაკრები თაობათა ცვლის გარდაუვალი პროცესის წინაშე დგას, რაც ამ ჩემპიონატსაც დაეტყო. კონკრეტულად, ამ წონას, სადაც ჭაბუკთა ნაკრებიდან გადმოსულებმა იყოჩაღეს. **დავით ბერძნიშვილს** აქამდე თავი საერთაშორისო ტურნირებში კი გამოეჩინა, მისი თანაქალაქელი **ვლადიმერ ხენჩიკაშვილი** კი საჭიდაო სამყარომ ახლა გაიცნო. ბრინჯაოს მედალოსნები შედარებით ახალი სახეები არიან.

| 60 კგ |
| --- |
| 1. გიორგი მაყიშვილი (გორი) |
| 2. მიხეილ პრელმანი (გორი) |
| 3. გიორგი გელაძე (ყაზბეგი) |
| 3. მირზა კახიძე (აჭარა) |

კარგა ხანია, ეროვნულ ნაკრებში მჩატე წონებში გორელები დომინირებენ, ახლა კი მათი ჰეგემონია ახალგაზრდულის დაბალ წონებშიც მყარდება - ორივე უმჩატეს წონაში გორული ფინალი გაიმართა. მეტიც - ამ წონის 4 ნახევარფინალისტიდან 3 გორელი გახლდათ. სამაგიეროდ, არანაირი სენსაცია არ მომხდარა და ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა **გიორგი მაყიშვილმა** უპრობლემოდ გაიმარჯვა. საყურადღებოა **მიხეილ პრელმანის** ბოლო წლების სტაბილური გამოსვლებიც, თანაც, მან ძალიან კარგად იჭიდავა. ჭიდაობის ხარისხით ქებას ბრინჯაოს პრიზიორებიც იმსახურებენ.

| 74 კგ |
| --- |
| 1. გოჩა ლომთათიძე (თბილისი) |
| 2. მარად ზოიძე (აჭარა) |
| 3. გიორგი მარსაგიშვილი (ყაზბეგი) |
| 3. ოთარ ურატაძე (ქუთაისი) |

გარდა იმისა, რომ გუშინ აქ ყველაზე მეტი მონაწილე გამოდიოდა, ყველაზე დიდი სენსაციაც აქ მოხდა - ყაზბეგელი **გიორგი მარსაგიშვილი,** რომელიც ერთი თვის წინ უფროსებში საქართველოს ვიცე-ჩემპიონი გახდა, ამჯერად მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდა. მარსაგიშვილი ყაზბეგელია, მაგრამ რამდენიმე წელიწადია, სწორედ ამ დარბაზში ვარჯიშობს **თენგიზ ლამბაშიძესთან**. იგი მომავალ ჩემპიონ **გოჩა ლომთათიძესთან** დამარცხდა, თუმცა თავიდან დამაჯერებლად უგებდა. ვერ გეტყვით, ეს რამდენად ლოგიკური მარცხი იყო, მაგრამ ლომთათიძე ხელწამოსაკრავი მეტოქე რომ არაა, მოგვიანებით დაამტკიცა. თანაც, ფინალში მისი მეტოქე **მარად ზოიძე** საკმაოდ გამოცდილი იყო, ლომთათიძე კი ნაკრებში ახალბედა იქნება.

| 96 კგ |
| --- |
| 1. გიორგი ჩიქოვანი (თბილისი) |
| 2. თორნიკე ხიდაშელი (გარდაბანი) |
| 3. ზურაბ ტატულაშვილი (ყვარელი) |
| 3. ლევან ქოჩულაშვილი (მცხეთა) |

დავით მოძმანაშვილის უფროსებში გადასვლის შემდეგ ეს წონაც ულიდეროდ დარჩა. შესაბამისად, ასპარეზი ახლებს დარჩათ. მათგან ყველაზე ცნობილი **თორნიკე ხიდაშელია,** რომელიც ჭაბუკთა ნაკრებიდან გვახსოვს. თუმცა იგი ფინალში დამარცხდა და ნაკრების უპირველეს კანდიდატად **გიორგი ჩიქოვანი** იქცა.

**დღეს ჩემპიონატი ოთხი წონითი კატეგორიით დასრულდება.**

**ირაკლი თავაძე**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## რაგბი. ლეგიონერები

# ორი წუთი დააკლდათ

**საფრანგეთის** ჩემპიონატის მეორე **დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე 10 ტურით ადრე ილია ზედგინიძის "ოშის" უპირატესობა უახლოეს მდევრებთან 18 ქულაა. ასეთი კი სამი გუნდია - 60-60 ქულა დააგროვეს ირაკლი მაჩხანელის "ბეზიემ", გიორგი კუთარაშვილისა და გია ლაბაძის "ტულონმა" და "ლა როშელმა".**

"ოში" სტუმრად ხვდებოდა "ოიონაქსს", რომელიც საფრანგეთში "შინაურ" გუნდადაა ცნობილი. საქართველოს ნაკრების კონსულტანტი **ანრი ბრონკანი** უშელავათო ბრძოლას და მისი მეგობრის **ერიკ კატინას** მიერ გაწვრთნილი გუნდის დამარცხებას ჰპირდებოდა გასკონელთა ქომაგებს. დანაპირების ასრულებამდე ოშელებს ორი წუთი დააკლდათ. ისინი წინ იყვნენ - 16:9, თუმცა მასპინძლებმა ჩვეული შეუპოვრობა გამოიჩინეს და შეხვედრის გადარჩენა შეძლეს - 16:16. ზედგინიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს.

სტუმრად "გაიაკთან" მინიმალური ანგარიშით 7:6, გაიმარჯვა **გიორგი კუთარაშვილისა** და **გია ლაბაძის** "ტულონმა". ორივე ქართველმა თამაში ძირითად შემადგენლობაში დაიწყო. კუთარაშვილი 45-ე წუთზე შეცვალეს, ლაბაძემ ბოლომდე ითამაშა.

სტუმრად ვერაფერს გახდა, ერთ-ერთ აუტსაიდერ "მონ დე მარსანთან" **ირაკლი მაჩხანელის** "ბეზიე" 8:12. ირაკლიმ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

დივიზიონიდან გასავარდნ სახიფათო ზონას ოდნავ დაშორდა **მერაბ კვირიკაშვილის** "პო". მეკოს გუნდმა შინ ერთ-ერთი კონკურენტი "ლიმოჟი" მიიღო და 28:20 დაამარცხა. კვირიკაშვილმა სამი საჯარიმო გაიტანა (9 ქულა), 54-ე წუთზე კი შეცვალეს.

სტუმრად "ლიონთან" დამარცხდა **მამუკა მაგრაქველიძისა** და **დავით აშვეთიას** "მეტრო რასინგი" 6:34. პარიზელთა რიგებში მაგრაქველიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, აშვეთია არ გამოჩენილა. შინ, პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლ "დაქსთან" დამარცხდა **ლევან ლვაბერიძის** "გრენობლი" - 15:21. ლვაბერიძე განაცხადში არ იყო.

**ბესიკ ჯანგავაძე**

სატურნირო მდგომარეობა: 1. ოში-78 ქულა / 2. ბეზიე-60, 3. ლა როშელი-60, 4. ტულონი-60, 5. დაქსი-59 / 6. ლიონი-55, 7. ოიონაქსი-48, 8. მეტრო რასინგი-45, 9. გაიაკი-40, 10. გრენობლი-39, 11. ბორდო-39, 12. პო-37, 13. ტარბი-37 / 14. მონ დე მარსანი-36, 15. ლიმოჟი-31, 16. კოლომიე-24

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრები სპორტის ისტორიაზე

# ქართული სპორტი 1971-1980 წლებში



ლიანა ცოტაძე



ვახტანგ ბლაგიძე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ლელო № 56 (2006)

1978 წელმა სპორტის სათამაშო სახეობებიდან ყველაზე დიდი სიხარული ფეხბურთის თაყვანისმცემლებს მოუტანა. თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა და **ნოდარ ახალკაცის** ხელმძღვანელობით, სსრკ ჩემპიონის ტიტულს მეორედ დაეუფლა. ჩემპიონის შემადგენლობა: **დავით გოგია, თამაზ კოსტავა, ნოდარ ხიზანიშვილი, ფირუზ კანთელაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, დავით მუჯირი, ალექსანდრე ჩივაძე, მანუჩარ მაჩაიძე, ვახტანგ ქორიძე, ვიტალი დარასელია, გოჩა მაჩაიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია, რევაზ ჩელებაძე**. საკავშირო ტურნირში "მეგობრობის თასზე" ყველას აჯობეს ბათუმის "დინამოს" ჭაბუკებმა. "ტყავის ბურთის პრიზზე", ასევე საკავშირო გათამაშებაში, 12-13-წლიანები მეორე ადგილზე გავიდნენ, 10-11-წლიანები და 14-15-წლიანები მესამეზე.

ხელბურთი. ქართული სპორტის ისტორიაში კიდევ ერთი ოქროს ფურცელი ჩაიწერა - სსრკ თასი მოიპოვა თბილისის "ბურევესტნიკის" ვაჟ ხელბურთელთა გუნდმა. შემადგენლობა: **გიორგი ნარიმანიძე, გია მამულაშვილი, ჯემალ ბარამიძე, ზაურ დოლიძე, იოსებ კალანდაძე, ზურაბ ჭანტურია, ამირან კომახიძე, ვახტანგ ბერიაშვილი, ალექსანდრე ნავროზაშვილი, ნოდარ მაჭარაძე, ზურაბ კეკელიძე, გიორგი ბერიაშვილი, ამბერკი ტაბიძე, იგორ ნარიმანიძე**, მწვრთნელი - **გარი მაჭავარიანი**. სსრკ ნაკრებში მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალს დაეუფლა **ალექსანდრე ანპილოგოვი**.

კალათბურთი. საბჭოთა იუნიორთა ნაკრებში ევროპის ჩემპიონები გახდნენ **ნიკოლოზ დერიუგინი** და **ზურაბ გრძელიძე**. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა, რომელიც მთლიანად დაკომპლექტებული იყო თბილისის სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელებით, თანატოლთა შორის საკავშირო ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა.

რაგბი. სსრკ თასი დაისაკუთრა თბილისის "ლოკომოტივის" გუნდმა მწვრთნელ **თეიმურაზ ბენდიაშვილის** ხელმძღვანელობით. გამარჯვებულ გუნდში თამაშობდნენ: **გიორგი სუთიაშვილი, შოთა ხარშილაძე, მიხეილ ხარშილაძე, თემურ ცხვედიანი, ალექსანდრე ცისკარიშვილი, ზურაბ ჩაჩანიძე, მიხეილ ჯავარიძე, ნუკრი წერეთელი, ავთანდილ ლიბრაძე, ვლადიმერ პეტუხოვი, მერაბ ჟღენტი, ოლეგ ლიპარტელიანი, ავთანდილ გიორგაძე, გივი ავლასატიმოვი, თეიმურაზ ბენდიაშვილი, მერაბ ანთაძე, დავით კილასონია, ირაკლი დოლიძე, თამაზ სახლთხუციშვილი**. სსრკ ჩემპიონატში კი ამავე გუნდს მესამე ადგილი ხვდა წილად. ქუთაისის "სახლმშენს" საპასუხო ვიზიტით ეწვია სოფიის "ლოკომოტივი" და ორი ამხანაგური მატჩი გამართა. გაიმარჯვეს ქართველებმა - 10:6 და 14:0. წინა წელს სოფიაში ერთი შეხვედრა შედგა და ის მასპინძლებმა მოიგეს - 11:10.

ჭადრაკი. შთამბეჭდავი იყო მოჭადრაკეთა შედეგები. 17 წლის **მაია ჩიბურდანიძემ** მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალურ ტურნირში დიდოსტატი **ალა კუშნირი** დაამარცხა და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ **ნონა გაფრინდაშვილთან** ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ფინალი ჩიბურდანიძემ მოიგო და პირველად დაეუფლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. მაიამ, ნონამ და **ნანა ალექსანდრიამ** იმავე წელს გამარჯვება მოიპოვეს მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე. ამ სამეულმა, სათადარიგო მოჭადრაკე **ელენე ახმილოვსკაიასთან** ერთად, ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაც (არგენტინაში) მოიგო. ქალთა მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში გაიმარჯვა **ნინო გურიელმა**. 20 წლამდე გოგონათა ევროპის ჩემპიონატში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა თბილისელმა მოსწავლემ **ნანა იოსელიანმა**. ჭაბუკებში სსრკ პირველობა მოიგო **ზურაბ აზმაიფარაშვილმა**, გოგონებში კი **ქეთევან მელაშვილი** მეორე ადგილზე გავიდა. საჭადრაკო ეტიუდებში გამართულ სსრკ ჩემპიონატში **გია ნადარეიშვილმა** გაიმარჯვა, **დავით გურგენიძე** კი ვერცხლის მედალს დაეუფლა.

რაც უფრო ახლოვდებოდა მოსკოვის ოლიმპიური თამაშები, იზრდებოდა კონკურენცია სპორტის ოლიმპიურ სახეობებში. წინა წლებთან შედარებით, ჩვენი ფალავნები საერთაშორისო სარბიელზე უკეთ გამოიყურებოდნენ.

თავისუფალი ჭიდაობა. სეზონის პირველი წარმატება **ლევან თედიაშვილს** ხვდა წილად, რომელმაც 100 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. შემდეგ, ლევანი ევროპის ჩემპიონიც გახდა. პოლონეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში კი ოქროს მედლები მოიპოვეს **დავით გიგაურმა** (68), **გიორგი მაკასარაშვილმა** (74), **მალხაზ მერმანიშვილმა** (ქვემძიმე), **ნოდარ მოდებაძე** (მძიმე), მესამე იყო **რომან მარსაგიშვილი** (82). ჭაბუკებში სსრკ პირველობის მესამე პრიზიორები გახდნენ **კახა სხირტლაძე** და **ლევან გოგიბედაშვილი**.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია **ვახტანგ ბლაგიძემ** (52), რომელმაც ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულები მოიპოვა. შვეიცარიაში გამართული საერთაშორისო ტურნირი მოიგეს **მიხეილ სალაძემ** და **ავთანდილ მაისურაძემ**, ამ უკანასკნელმა არც გფრ-ს საერთაშორისო ტურნირში დაუთმო მეტოქეებს საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური. მსოფლიო პირველობაზე კი **ლევან თედიაშვილს** კიდევ ერთხელ ეძლეოდა ჩემპიონად აღზევების შანსი, მაგრამ ფინალში ფეხი იტკინა და ამჯერად ვიცეჩემპიონობას დასჯერდა. ჭაბუკთა საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც კიშინიოვში გაიმართა, საქართველოს გუნდმა უძლიერესის სახელი მოიხვეჭა. პირად პირველობაში გამარჯვებულები გახდნენ **რ. გულმამედოვი, თ. მუხიგულაშვილი, ი. მერაბიშვილი, ე. ტუხაშვილი** და **რ. ელკანიშვილი**. **თემურ ყაზარაშვილმა** ევროპის ახალგაზრდულ პირველობაში მეორე ადგილი დაიკავა. ყაზარაშვილმა, **ბესიკ გოგინაშვილმა** და **დავით ლატარიამ** თბილისის საერთაშორისო ტურნირიც მოიგეს, მესამე ადგილზე გავიდა **ავთანდილ ქველიაშვილი**. სოფლის სპორტსმენთა მე-3 საკავშირო თამაშებში საქართველოს წარგზავნილებს გუნდური მეორე ადგილი ხვდათ წილად.

ძიუდო. ქართველი ძიუდოისტებისთვის 1978 წლის პირველი სპორტული ასპარეზობა თბილისის საერთაშორისო ტურნირი იყო. შედეგები: **რამაზ ხარშილაძე** და **ბერდია გუგავა** - პირველი ადგილები, **აკაკი ოქროპირიძე** - მეორე, **ბორის გოგიჩაიშვილი, ჯიბილო ნიჟარაძე, თამაზ კარიაული** და **გელა სინჯიკაშვილი** - მესამე. სსრკ ჩემპიონი გახდა **ბორის გოგიჩაიშვილი**, მეორე იყო **მალხაზ ალბორიშვილი**, მესამე - **დილარ ხაბულიანი**. ევროპაზე მხოლოდ **ჯიბილო ნიჟარაძეს** (აბსოლუტური) ერგო მედალი - მესამე პრიზიორი გახდა. ვროცლავის საერთაშორისო ტურნირიდან კი ოქროს მედლით დაბრუნდნენ **ჰამლეტ ლოლაშვილი** და **თამაზ ნამგალაური**. სტუდენტ ძიუდოისტთა მსოფლიოს V ჩემპიონატი სსრკ ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. ოქროს მედლები აიღეს **დილარ ხაბულიანმა, ბორის გოგიჩაიშვილმა** და **ნუგზარ ნუგზარიშვილმა**. მანამდე, გოგიჩაიშვილს ევროპის ახალგაზრდული პირველობა ჰქონდა მოგებული. ვარშავის საერთაშორისო ტურნირში გუნდური გამარჯვება საქართველოს ნაკრებმა იზეიმა. პირად პირველობაში ბადალი არ ჰყავდათ **შოთა ხაბარელსა** და **ჯიბილო ნიჟარაძეს**, მესამე ადგილზე გავიდა **დავით კოდანოვი**.

მძლეოსნობა. 1978 წელს მძლეოსნობის საკავშირო ჩემპიონატი თბილისში ჩატარდა. სამხტომში კვლავ შეუდარებელი იყო **ვიქტორ სანეევი**, შუბის ტყორცნაში პირველობა არავის დაუთმო სოხუმელმა **საიდა გუმბამ**, რომელმაც მყარად დაიმკვიდრა ადგილი სსრკ ოლიმპიურ ნაკრებში. იმავე წელს, სანეევი ევროპაში მეორე ადგილს დასჯერდა. სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობა 100 და 200 მეტრზე რბენებში მოიგო **მაია აზარაშვილმა**. ეს მისი პირველი დიდი წარმატება იყო. ვაჟებიდან საქართველოს ნაკრებს ოქროს ორი მედალი მოუტანა **ი. ლევიტმა**, რომელიც უძლიერესი იყო 1500 და 3000 მეტრზე რბენებში. ქალთა შორის ახმეტელი **ლ. ნინწალაშვილი** (800 მ) ფინიშთან პირველი იყო. **ნ. ჭალიაშვილმა** 1500 მეტრზე რბენაში, ბირთვის კვრაში კი **მ. ხურციამ** დაისაკუთრა პირველი ადგილი, **მ. ბუზალიაშვილი** შუბის ტყორცნაში, ხოლო **თ. ქათამაძე** რვაჭიდში - მეორე ადგილებზე გავიდნენ. ლიტვაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, 800 მეტრზე რბენაში "რიგის თასს" დაეუფლა თბილისელი **ანატოლი ნეკრასოვი**, **დალი საბაური** კი შუბის ტყორცნაში მესამე პრიზიორი გახდა.

საწყლოსნო სპორტი. ამ სახეობებიდან განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი წყალში მხტომელებმა. ცალკე უნდა აღინიშნოს **ლიანა ცოტაძის** მიღწევები, რომელიც საქართველოდან პირველი ქალი იყო, ვინც სსრკ ოლიმპიურ ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი და ორი წლის შემდეგ მოსკოვის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა. 1978 წელს ცოტაძემ ჯერ მინსკის დიდ საერთაშორისო ტურნირში დაიკავა მესამე ადგილი, მერე სსრკ თასი მოიპოვა (1978-1979) და პირველი იყო სსრკ პირველობაზე კოშკურიდან ხტომაში. დიდ სარბიელზე მაღალ შედეგებს აღწევდა **სერგო შალიბაშვილიც**, რომელიც იმ წელს სსრკ თასს დაეუფლა და ევროპის იუნიორთა ასპარეზობის მეორე პრიზიორი გახდა. ცურვაში სსრკ თასზე კი, მრავალჭიდში (50, 100, 200, 400, 1500 მ. თავისუფალი სტილით ცურვა), მესამე იყო **იგორ კუშპელიოვი**. უფროსი თაობის წყალბურთელთა ტრადიციებზე აღზრდილმა თბილისის განათლების სამმართველოს ჭაბუკთა გუნდმა "მხიარული სტარტების" საკავშირო პირველობა მოიგო.

კრივი. სპორტის ამ სახეობაში ადრინდელი წარმატებები კიდევ უფრო განმტკიცდა. სსრკ ჩემპიონი გახდა **ამირან ხიზანიშვილი** (54), მეორე იყო **მურმან თაქთაქიშვილი** (71), მესამე - **დავით კვაჭაძე** (81), ჭაბუკთა შორის კი ვერცხლის მედალი მოიპოვა **ვ. სუხორუკოვმა** (80).

ტყვიით სროლა. სოხუმელმა **ა. გორდიანკინმა** შესანიშნავად ჩაატარა ევროპის ჩემპიონატი: გუნდურში პირველი ადგილი, პირადში - მესამე. მრგვალ სტენდზე სროლაში ასევე ევროპის გუნდური პირველობის თასი ხვდათ წილად **თამაზ იმნაიშვილსა** და **თეიმურაზ მატოიანს**. მანამდე, იმნაიშვილმა და **ტარიელ ჟღენტმა** სსრკ გუნდური ჩემპიონატი მოიგეს მრგვალ სტენდზე ასპარეზობაში. იუნიორთა ევროპის პირველობაზე, მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან 50 მ. სროლაში, მეორე ადგილზე გავიდა თბილისელი **ბ. კოკორევი**. მანვე, გდრ-ის ღია ჩემპიონატში პირველობა არავის დაუთმო პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში.

ველოსპორტი. აქაც გამოჩნდნენ ახალი სახეები. **გივი დვალიშვილმა** სსრკ იუნიორთა პირველობა მოიგო, **პეტრე ჩევარდოვმა** ტრეკზე ჯგუფურ რბოლაში სსრკ ზამთრის ჩემპიონატში გაიმარჯვა, ის ასევე მეორე იყო სსრკ პირველობაზე 4 კმ-ზე გამოდევნებით რბოლაში და საკავშირო თასის გათამაშებაში - 200 წრეზე.

ტანვარჯიში. ამ სახეობაში ყველაზე თვალსაჩინო იყო **მალხაზ თათარაძის** გამარჯვება სსრკ პირველობაზე ტაიჭზე და ბჯენით ხტომებში, ასევე აღსანიშნავია მის მიერვე ტაიჭზე მოპოვებული ვერცხლის მედალი იაპონიის საერთაშორისო ტურნირზე. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტების გამარჯვებით დასრულდა საკავშირო გუნდური პირველობა სპორტკლუბებს შორის. მხატვრულ ტანვარჯიშში **ირინე გაბაშვილი** უძლიერესი იყო ავსტრიის დიდ საერთაშორისო ტურნირზე.

ფარიკაობა. სსრ კავშირის "ბურევესტნიკის" ნაკრებმა გუნდმა (რაპირა) ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. გუნდში გამოდიოდა და ოქროს მედალი მიიღო **გია აბაშიძემ**. **ვლადიმერ აფციაურმა** ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში გაიმარჯვა.

აკადემიური ნიჩბოსნობა. სპორტის ამ სახეობაში, მოზარდთა საკავშირო შეჯიბრში, საქართველოდან პირველად იმარჯვებენ **ი. ეფიმოვა** (გოგონათა ოთხიანი) და **ვ. კიავერიანენკო** (ჭაბუკთა ოთხიანი).

მშვილდოსნობა. **ქეთევან ლოსაბერიძემ** სსრკ თასი მოიპოვა და მსოფლიო რეკორდიც დაამყარა 50 მ. სროლაში. მერე, სსრკ ნაკრებში ევროპის ჩემპიონიც გახდა, 50 მ-ზე ასპარეზობაში მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა გდრ-ის ტურნირში, მ-1 ვარჯიშში კი პირველი იყო.

ცხენოსნობა. პირველად, სპორტის ამ სახეობის ისტორიაში, სსრკ ჩემპიონი ქართველი მხედარი გახდა. **ავთანდილ კიკიანმა** ოქროს მედალი მოიპოვა ცხენის განვრთნაში, №1 პრიზის გათამაშებაში კი მესამე იყო.

სამბო. აქ შედეგები მოკრძალებული იყო - მხოლოდ ბრინჯაოს სამი მედალი. ეს ჯილდო წილად ხვდათ **ზაურ ნიშნიანიძეს** (68), **აკაკი ოქროპირიძესა** (74) და **დავით ბოდაველს** (82).

ჩოგბურთი. **ალექსანდრე მეტრეველი** მეექვსედ ეუფლება ევროპის ჩემპიონის ტიტულს ერთეულთა თანრიგში; იმავე ასპარეზობაში, **თეიმურაზ კაკულიასთან** ერთად, გუნდურ პირველობასაც იგებს. ამავე დროს, კაკულია მეორე პრიზიორი ხდება შერეულ წყვილში, მეტრეველი კი, კაკულიასთან ერთად, ვაჟთა წყვილში ბრინჯაოს მედალს ეუფლება. მეტრეველი იმარჯვებს სსრკ ჩემპიონატშიც (ერთეულთა თანრიგი), ხოლო საქართველოს ნაკრები - მეტრეველის, კაკულიას, **ვიქტორ პერეგულოვისა** და **გია ელერდაშვილის** შემადგენლობით, გუნდურ პირველობაში იმარჯვებს.

სპორტის ტექნიკური სახეობები. წარმატებას საქართველოს ორმა წარმომადგენელმა მიაღწია. პარაშუტიდან აკრობატულ ხტომაში მსოფლიო ჩემპიონობა წილად ხვდა **ნიკოლაი უშმაევს**, ხოლო საავტომობილო სპორტში სსრკ პირველობის მესამე პრიზიორი გახდა **გურამ დგებუაძე**.

1978 წლის 3 მარტს, ბაკურიანში, საზეიმოდ გაიხსნა სსრკ ხალხთა ზამთრის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული სამთომოთხილამურეთა ასპარეზობა. ჭაბუკთა შორის სწრაფდაშვებაში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა ბაკურიანელმა **ვიქტორ სანაკოევმა**. სვერდლოვსკში კი, ფიგურულ ციგურაობაში, სპარტაკიადის ვერცხლის მედალს **გიორგი შამყულაშვილი** დაეუფლა.

ტაშკენტმა მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადას უმასპინძლა. საერთო გუნდურ ჩათვლაში მე-6 ადგილი, ოქროს 9, ვერცხლის 11 და ბრინჯაოს 16 მედალი - ასეთი იყო საქართველოს სპორტსმენთა მონაგარი, რაც დიდ წარმატებად ჩაითვალა.

სპორტულმა ჟურნალისტებმა კი წლის ბოლოს ტრადიციული რეფერენდუმი ჩაატარეს და 10 საუკეთესო სპორტსმენი გამოავლინეს. პირველობა წილად ხვდა **მაია ჩიბურდანიძეს**. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: 2. **ვახტანგ ბლაგიძე**, 3. **ქეთევან ლოსაბერიძე**, 4. **მანუჩარ მაჩაიძე**, 5. **ნონა გაფრინდაშვილი**, 6. **რამაზ შენგელია**, 7. **ალექსანდრე მეტრეველი**, 8. **ლევან თედიაშვილი**, 9. **ამირან ხიზანიშვილი**, 10. **ვიქტორ სანეევი**.

*(გაგრძელება იქნება)*

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

რეიტინგი

გორი

# გორული მოსავალი

ამას წინათ „ლელომ" ტრადიციულად დაასახელა გასული წლის ლაურეატები. ნომინაციაში სპორტისა და კულტურის საუკეთესო სამსახური, გამოირჩა გორის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახური. 2006 წელი ერთობ „მოსავლიანი" გახლდათ გორელი სპორტსმენებისათვის. განსაკუთრებით კარგად კი სეზონი მოჭიდავეებისათვის და მოკრივეთათვის წარიმართა.

ბოლო წლებია, თავისუფალი ჭიდაობის **ნუგზარ სხირელის** საჭიდაო სკოლა ტოლს არავის უდებს საქართველოში. მისი შეგირდები ერთი წლის წინაც საუკეთესო შედეგებით გამოირჩნენ ქვეყნის ჩემპიონატზე და წლეულსაც სამ-სამი ოქრო და ბრინჯაო მოიპოვეს.

შარშან შემოდგომით **ოთარ თუშიშვილს** და **გია გოგშელიძეს** ჩინეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე თითო ნაბიჯი დააკლდათ ჩემპიონატამდე.

გვარიან წარმატებები აქვს საკრივო სკოლა „შატოს". **ავთანდილ შოშიაშვილის** შეგირდებს, მოჭიდავეებისა არ იყოს, საქართველოში საუკეთესოობაზე აქვთ საფუძვლიანი პრეტენზია, მაგრამ ჯერჯერობით საერთაშორისო არენაზე არ ჰქონიათ დიდი წარმატებები. სხვათა შორის, ავთანდილ შოშიაშვილი უკვე საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელია.

კარგი თაობა წამოვიდა ძიუდოში. ეს ბიჭები ჯერჯერობით ახალგაზრდული ნაკრებიდან შეუდგებიან გამარჯვებებისათვის ბრძოლას, და იმედია, ცოტა ხანში საერთაშორისო არენაზეც მოიხვეჭენ მედლებს. არც კარატეს სხვადასხვა სახეობებში მოასპარეზენი არიან ჯაბანნი.

გორში მოწყობილი მინი- მოედნები და სპორტული დარბაზები უკვე იმდენადაა დატვირთული, სამომავლოდაც უნდა ველოდოთ პერსპექტიული სპორტსმენებს.

ქალაქის სპორტის სამსახურს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ქართულ - ოსური კონფლიქტის ზონის მოსახლეობასთან და ცდილობს ინტენსიურად ჩართოს იქაური ახალგაზრდობა სპორტულ ღონისძიებებში. სპეციალურად ამისათვისაც კი გამართულა სპორტული შეჯიბრებები.

*- მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო „ლელოს" ჩვენი გამორჩევისათვის. ეს გაზეთი ყოველთვის იყო ქართველი სპორტსმენებისა და გულშემატკივრების საყვარელი გაზეთი. ამიტომაც, ჩემთვის ერთიორად სასიხარულოა სწორედ „ლელოს"აღიარება, რაც მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ენთუზიაზმს გვმატებს.* - გვითხრა გორისა და გორის რაიონის სპორტის სამმართველოს უფროსმა **გია თენაძემ**.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

საქართველოს ნიჩბოსნობისა და კანოეს ეროვნული ფედერაცია და პირადად მისი პრეზიდენტი ბეჟან ხურციძე სამძიმარს უცხადებენ ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში, დავით გობეჯიშვილს, დედის გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. ყველა ვარსკვლავის მატჩი

# დასავლეთს ლებრონი აკლდა

**დასავლეთი–აღმოსავლეთი 153:132**

39:31, 40:28, 40:29, 34:44

18 თებერვალი. ლას ვეგასი. 21 317 მაყურებელი

**სასტარტო ხუთეულები**

**დასავლეთი:** კობი ბრაიანტი (28 ნთ. 31 ქ. 6 პ. 6 ჩ. 5 მ), ტრეისი მაკგრეიდი (18 ნთ. 8 ქ. 11 პ. 3 მ. 2 ჩ), კევინ გარნეტი (14 ნთ. 7 ქ. 6 მ. 4 პ. 2 ჩ. 1 დ), დირკ ნოვიცკი (16 ნთ. 9 ქ. 5 მ. 2 პ), ტიმ დანკანი (14 ნთ. 4 ქ. 5 მ. 4 პ. 1 ჩ. 1 დ).

**აღმოსავლეთი:** გილბერტ არენასი (19 ნთ. 8 ქ. 4 პ. 2 ჩ. 1 მ), დუეინ უეიდი (24 ნთ. 10 ქ. 6 ჩ. 3 პ), კრის ბოში (22 ნთ. 11 ქ. 7 მ. 1 პ. 1 დ), ლებრონ ჯეიმსი (32 ნთ. 28 ქ. 6 მ. 6 პ. 1 ჩ), შაკილ ონილი (17 ნთ. 10 ქ. 6 მ. 1 პ).

**სათადარიგოები**

**დასავლეთი:** კარმელო ენტონი (25 ნთ. 20 ქ. 9 მ. 1 პ. 1 ჩ), ტონი პარკერი (23 ნთ. 8 ქ. 10 პ. 2 მ. 1 ჩ), შონ მერიონი (21 ნთ. 18 ქ. 8 მ. 4 პ. 2 ჩ), რეი ალენი (21 ნთ. 12 ქ. 3 პ. 1 მ. 1 ჩ), ამარე სტაუდმაიერი (21 ნთ. 29 ქ. 9 მ. 3 პ. 2 დ. 1 ჩ), ჯოში ჰოვარდი (20 ნთ. 3 ქ. 4 მ. 3 პ), მეჰმეთ ოქური (14 ნთ. 4 ქ. 2 მ. 1 პ).

**მთავარი მწვრთნელი:** მაიკ დენტონი (ფინიქსი).

**აღმოსავლეთი:** ჯერმეინ ონილი (22 ნთ. 8 ქ. 7 მ. 2 დ. 1 პ), დუაიტ ჰოვარდი (20 ნთ. 20 ქ. 12 მ. 1 პ. 1 დ), ჯო ჯონსონი (17 ნთ. 12 ქ. 2 პ. 1 მ. 1 ჩ), ჩონსი ბილაპსი (16 ნთ. 8 ქ. 6 პ. 4 მ), ვინს კარტერი (16 ნთ. 7 ქ. 2 პ. 1 მ), კეირონ ბატლერი (15 ნთ. 2 ქ. 4 მ. 2 პ), რიჩარდ ჰამილტონი (15 ნთ. 8 ქ. 6 მ. 1 პ. 1 დ).

**მთავარი მწვრთნელი:** ედი ჯორდანი (ვაშინგტონი).

**... ლეგენდარულმა ლასვეგასელმა შოუმენმა დენი გენსმა ამერიკის ჰიმნი შეასრულა, ლას ვეგასის მერი ოსკარ გუდმენი დარბაზში შეკრებილ აუდიტორიას ერთი დღის განმავლობაში მესამედ მიესალმა და ულამაზეს ნაგებობაში შუქი ჩაქრა. რამდენიმე წამი და პლანეტის უდიდესი ლიგის შოუ დაიწყება. შოუ, რომელშიც ტრადიციულად, ოკეანისგაღმეთის უდიდესი და ყველაზე პოპულარული მოთამაშეები მიიღებენ მონაწილეობას. ნინა რიგებში რეპერები ჯეი-ზი, პაფ დედი, პოპ ვარსკვლავი პრინსი, კომიკოსი ადამ სენდლერი, მესოულე ბიონსი და ტონი პარკერის ცოლი თუ საცოლე ევა ლონგორია ზიან, კრისტინა აგილერა და ტონი ბრექსტონი კი ოდნავ ზემოთ ითბობენ ერთ ადგილს, რათა შუალედში ბევრისთვის მოსაბეზრებელი, მაგრამ მაინც პოპულარული "მეგაჰიტები" დასცხონ. ლორის გულის ტრანსპლატაციის მერე ჯანზე მოსული მისტერ შვარცენეგერი ხან ვის მიუჯდება და ხან - ვის. ჩაცმული პარის ჰილტონი უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს, ვიდრე გახდილი შაკილ ონილი და პრინციპში, ეს არც პირველს უკვირს და არც მეორეს. მოკლედ, "ოლ სტარი" და ა.შ.**

## ყველა კარმელოსთან!

საინტერნეტო გამოკითხვისას ფანებმა "დენვერის" ფორვარდი **კარმელო ენტონი** მესამეზე გაიყვანეს. რეგულარულის საუკეთესო მექულე **კევინ გარნეტისა** და **ტიმ დანკანის** ჩრდილში მოექცა, მოგვიანებით კი მას იგნორირება დასავლეთისა და "ფინიქსის" თავკაცმა **მაიკ დენტონიმაც** გაუკეთა.

ენტონის გარეშე ამ მატჩს ნაღდად არ უნდა ჩაევლო. ფანებისა და "სანზის" მთავარი მწვრთნელის მიერ დაშვებული შეცდომა ლიგის კომისარმა **დევიდ სტერნმა** გამოასწორა და ენტონი ერთ-ერთ რეზერვისტად აირჩია. სტერნმა, რომელმაც კარმელოს 15-მატჩიანი დისკვალიფიკაციით სხვა ძველ ბიჭებს უარყოფითის დადებითი მაგალითი დაანახა, სეზონის ყველაზე რეკლამირებული შეხვედრა ახალგაზრდა სუპერვარსკვლავის გარეშე მაინც ვერ მოიაზრა.

როგორც კი დენტონიმ მოედანზე ენტონი შეუშვა, დარბაზი აპლოდისმენტებით დაინგრა.

*"მისთვის ეს პირველი ასეთი თამაში იყო და დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ, ყველას გვსურდა, რომ კარმელოს ჩემპიონატის მსვლელობისას კონკურენტებისგან, ამ კონკრეტული მატჩისას კი თანაგუნდელებისგან მაქსიმალური მხარდაჭერა მიეღო"*, - იტყვის მოგვიანებით კობი ბრაიანტი.

კარმელომ თამაშიდან 15-დან 10 სროლა ზუსტად შეასრულა და თავის სადებიუტო "ოლ სტარში" ძალიან ეფექტურად ითამაშა.

*"მინდა ყველას მადლობა გადავუხადო. სამაგალითოდ დამსაჯეს, მაგრამ დევიდ სტერნმა ადამიანური, კაცური ნაბიჯი გადადგა, როდესაც რეზერვისტთა ერთ-ერთი ვაკანსია მე გამომიყო"*, - ასეთი იყო ენტონის პოსტმატჩური კომენტარი.

## ამარეს ამარა

როდესაც აღნიშნული შეხვედრის სასტარტოების გამოსავლენად საინტერნეტო გამოკითხვა დასრულდა და დასავლეთის პირველ ხუთეულში **ამარე სტაუდმაიერი** არ იყო, "ფინიქსის" ახალგაზრდა ფორვარდ-ცენტრმა პირობა დადო, რომ თუ მას თამაშის საშუალება მიეცემოდა, იგი ერთ-ერთი საუკეთესო იქნებოდა.

ახალგაზრდამ სიტყვა შეასრულა და რომ არა კობის რამდენიმე ეფექტური ჩატენვა, "ლეიკერსის" ორგანიზაციის სახის ქარიზმა კიდევ რამდენიმე ანგარიშგასაწევი ფაქტორი, შეხვედრის უძვირფასესს მოთამაშედ, ულაპარაკოდ, ამარეს დაასახელებდნენ.

სტაუდმაიერმა 2005/06 წლების რეგულარულში პერმანენტული ტრავმიანობის გამო ოდენ სამი მატჩი ჩაატარა, წელს კი იგი ისევ იმ ძველ მონსტრს ემსგავსება, ვისთვისაც ნებისმიერი ოპონენტის სამწამიანის შემუსვრა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს.

2003 წლის საუკეთესო ახალბედისთვის ეს მეორე ძირითადი სავარსკვლავო უიქენდი იყო. მიმდინარე რეგულარულში სტაუდმაიერი ერთ მატჩში საშუალოდ 19.9 ქულას აგროვებს, რაც უსწრაფეს "ფინიქსში" საუკეთესო მაჩვენებელია.

პირველ სამ მეოთხედში სტაუდმაიერმა 15-დან 11 სროლა გამოიყენა და საბოლოოდ ძალიან ეფექტურადაც დაასრულა მატჩი, რომლის მსვლელობისას კობისა და ლებრონის მერე, ყველაზე მეტი გულშემატკივარი მას ჰყავდა.

**შაკი** დაბერდა, რაც აღნიშნულმა მატჩმაც დაადასტურა. **დანკანს** ასაკი ჯერ არ შეპარვია, მაგრამ ესეც მხოლოდ უახლოესი წლების ამბავია, რაც იმას ნიშნავს, რომ ლიგის ყველაზე დომინანტ ცენტრებად სტაუდმაიერი და იმავე დრაფტისას "ჰიუსტონის" მიერ არჩეული **იაო მინი** იქნებიან.

*"ყველა მატჩს გულით ვთამაშობ. რახან მწვრთნელებმა ნდობა გამომიცხადეს, ე.ი. აღნიშნულ შეხვედრაში სხვების გვერდით თამაშის ღირსი ვიყავი. ასე რომ, ყველას ერთხელაც მადლობას ვუხდი და ვიმედოვნებ, რომ იმედი არავისთვის გამიცრუებია"*, - ამარე ნამატჩევს აშკარად კმაყოფილი იყო.

მატჩის უძვირფასესად კი კობი დაასახელეს, რომელმაც ეს აღიარება მეორედ მოიპოვა. ბრაიანტი ძალიან ეფექტური იყო, თუმცა აღმოსავლეთს "ცოცხალი" სროლები ოდნავ უკეთ რომ შეესრულებინა და ბრძოლა ყოფილიყო, აღნიშნული ჯილდოს მოგება **ლებრონ ჯეიმსსაც** შეეძლო. რა კარგი იქნებოდა, ჯეიმსიც რომ დასავლეთში ყოფილიყო...

**ზურაბ თალაკვაძე**




ამ გოგომ წუთშესვენებისას...




...კარმელომ კი თამაშისას იცეკვა



დევიდ სტერნი კობის აჯილდოვებს

ინტერვიუ კობი ბრაიანტთან

# ლას ვეგასში არ უნდა გვეთამაშა

**შოუს დასრულებისთანავე, მისი მონაწილენი უნებლიედ მასმედიელთა გარემოცვაში აღმოჩნდნენ. იძულებითი ათწუთიანი გასაუბრება ამჯერადაც მეტ ხანს გაგრძელდა, ყველაზე დიდხანს კი ჩვენმა კოლეგებმა კობი და ლებრონი არ გაუშვეს. ბრაიანტი შეხვედრის უძვირფასესის პრიზით პოზირებდა და პარალელურად ჟურნალისტებისთვისაც იცლიდა. შიგადაშიგ კი კობის საუბარში ტრეისი მაკგრეიდიც ერთვებოდა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პირდაპირ აღნიშნული შეხვედრის საუკეთესო მოთამაშის ინტერვიუზე გადავიდეთ.**

**- თქვენ უკვე შაკს, მელოუნს, აიზიასა და ჯულიუსს დაეწიეთ. ჯორდანამდე ერთი, ყველა დროის რეკორდსმენ პეტიტამდე კი ორი იდენტური პრიზი გაშორებთ. რამდენად მნიშვნელოვანია კობი ბრაიანტისთვის ეს აღიარება?**

- ნებისმიერი აღიარება სასიამოვნოა, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ "ყველა ვარსკვლავის" მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზი ჩემთვის საოცნებო აღიარებაა. გაცილებით მნიშვნელოვანია რეგულარულის უძვირფასესად შენი აღიარება და იმედი მაქვს, რომ კარიერას ამ პრიზის გარეშე არ დავასრულებ. სხვა მხრივ კი, ცხადია, მსიამოვნებს, როდესაც ამდენი ძლიერი და პოპულარული მოთამაშის გარემოცვაში საუკეთესოს პრიზს მაძლევენ და ჟურნალისტები გაოფლილს წყლის გადავლების საშუალებას რომ მისპობთ. აი, ეს ყველაზე სასიამოვნოა.

**- მატჩის გამართვამდე თქვენ და დუეინ უეიდმა გააკრიტიკეთ დევიდ სტერნი. ახლაც მიგაჩნიათ, რომ მატჩი ლას ვეგასში არ უნდა გამართულიყო?**

- კი, ამაში დარწმუნებული ვარ. ვერ ნახეთ, რა ხალხი იყო მოსული შეხვედრის სანახავად? ნახევარზე მეტმა არც ერთი მოთამაშის ისტორია, მისი დღევანდელი სტატისტიკა არ იცოდა. ბევრი თამაშზე მხოლოდ იმიტომ აღმოჩნდა, რომ მეგობრების რჩევით ეს ფული კაზინოში წასაგებად არ გაემეტებინა. მთელი მატჩის განმავლობაში ერთხელაც არ მიგრძვნია ის მხარდაჭერა, რომელიც "ყველა ვარსკვლავის" წინა შეხვედრებისას იყო. ბიჭები გაერთნენ. ცხადია, საუბარი მაქვს მოთამაშეებზე, მაყურებელთა 60-მა პროცენტმა კი ვერც გაიგო, ვინ რომელი გუნდიდან იყო.

**- კი, მაგრამ, მოთამაშის წარდგენისას ხომ მის გუნდსაც ასახელებდნენ?**

- კი, მაგრამ ამას არავინ უსმენდა.

**- როგორ გგონიათ, შეინარჩუნა თუ არა "ყველა ვარსკვლავის" მატჩმა ის მაგიური ძალა, რომელიც ამ შოუს თავის დროზე მაიკლმა, ლარიმ და მეჯიქმა მისცეს?**

- ჩემი აზრით, იმ დროს, ანუ, როდესაც ჯორდანი, ბერდი და ჯონსონი იყვნენ "ყველა ვარსკვლავის" მატჩის მონაწილენი, ყველაფერი როგორღაც უფრო თავისუფლად, ლაღად კეთდებოდა. ლარი არ ფიქრობდა იმაზე, რომ ბოლო მეოთხედში მისი პასით რომელიმე თანაგუნდელს ზუსტი ტყორცნა რომ არ შეესრულებინა, იგი სამმაგ დუბლს ვერ შეასრულებდა. სამწუხაროდ, დღევანდელ მატჩში რამდენიმე მონაწილემ აშკარად ინდივიდუალიზმზე გააკეთა აქცენტი.

**- კონკრეტულად, ვინ?**

- მატჩს ხომ უყურეთ? ჰოდა, თქვენც კარგად იცით, ვის ვგულისხმობ.

**- თქვენ რომ საუკეთესოს დასახელება გევალებოდეთ, პრიზს მაინც ბრაიანტს გადასცემდით?**

- დიახ, რადგან ბრაიანტი ორივე გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვის სანახავად მიხვიდოდით მატჩზე, კობი ბრაიანტის თუ ტიმ დანკანის?

**- ლებრონი როგორ მოგეწონათ?**

- ლებრონს მე თუ მოვეწონე, თორემ მის თამაშში რაღაც განსაკუთრებული ვერაფერი შევამჩნიე. ლებრონი ზუსტად ასე რეგულარულშიც თამაშობს. მან სხვანაირად თამაში არ იცის.

**- კრისტინა აგილერამ საუკეთესოდ ამარე დაასახელა.**

- კიდევ კარგი, აგილერას ოფიციალური ჯილდოს გადაცემისას გადამწყვეტი ხმა არ ჰქონდა, თორემ ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩააგდებდა საცოდავ ამარეს. სტაუდმაიერს რომ უძვირფასესის ჯილდო მიეღო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, კარიერის ბოლომდე ეს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ტიტული იქნებოდა. ამარემ ძალიან თავისუფლად ითამაშა. იმედი მაქვს, სულ მალე მის ასევე უკომპლექსო, უშიშარ კალათბურთს რეგულარულსა და ფლეი ოფში ვიხილავთ. ძველი გვარდია დანკანისა და გარნეტის სახით, დღესაც სოლიდურად გამოიყურება, მაგრამ ამარე, დუაიტ ჰოვარდი და ჯერმეინი მალე მათ ადგილებს დაიკავებენ.

**ზურაბ თალაკვაძე**

ტურნირები

# მორესმომ ბრილიანტის ჩოგანი დაისაკუთრა

ფრანგი **ამელი მორესმოს** ტრიუმფით დასრულდა ანტვერპენის ტურნირი, რომლის ფინალშიც მან ორ დაძაბულ სეტში აჯობა ბელგიელ **კიმ კლაისტერსს** და ბრილიანტის თვლებით მოოჭვილი ჩოგანი მესამედ და სამუდამოდ დაისაკუთრა.

საქმე ისაა, რომ ჩოგანი, რომლის ღირებულება მილიონი ევროა, სამუდამოდ უნდა დარჩენოდა იმ ჩოგბურთელს, რომელიც მას ზედიზედ სამჯერ მოიპოვებდა. ჰოდა, მორესმომაც სწორედ ზედიზედ მესამედ მოიგო ანტვერპენული ტურნირი, რითაც ძლიერ დასწყვიტა გული კლაისტერსს. სხვათა შორის, შარშან რომ ტურნირი მოიგო, მაშინაც ფრანგმა ფინალში კლაისტერსი დაამარცხა.

აღსანიშნავია, რომ კლაისტერსი შინაურ კორტზე უკანასკნელად ასპარეზობდა - ის ხომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ ჩოგბურთიდან მიდის. ამიტომაც, მას განსაკუთრებით სურდა ტურნირის მოგება და ამისთვის ბევრიც იბრძოლა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

თამაშის მიწურულს, 15 000-მა მაყურებელმა ხმაური ატეხა იმის გამო, რომ არასწორად მიიჩნია მსაჯის გადაწყვეტილება, რომლითაც მან სადაო ქულა მორესმოს მიანიჭა. ეს ბოლოსწინა ქულა იყო, რომლის შემდეგაც ფრანგმა შეხვედრას გამარჯვების წერტილი დაუსვა.

*"ამ ინციდენტის გამო მე ძალიან მიჭირს თქვენდამი მომართვა, რადგან თქვენ ყველანი განბილებულები დარჩით. ძალიან ვწუხვარ ამის გამო. მესმის, რომ თქვენ კიმს ქომაგობდით. ის თქვენი თანამემამულე დი დიდი ჩემპიონია"*, - საჩემპიონო ბლიც-მიმართვაში განაცხადა მორესმომ.

წაგებამ კლაისტერსს ცრემლი მოჰგვარა, მაგრამ ღირსეულად დააფასა ჩემპიონი: *"ისიამოვნე მშვენიერი ჩოგნის ფლობით, ის შენ დაიმსახურე. დარწმუნებული ვარ, ის შენს ბინაში გამორჩეულ ადგილს დაიკავებს. შენ აქ ყოველთვის ძალიან კარგად თამაშობ და როგორც ჩანს, ამ კორტზე შენი დამარცხება არავის შეუძლია"*.

უნდა ითქვას, რომ კლაისტერსმა პირველ რიგში, მის მიერვე დაშვებული უამრავი შეცდომის გამო წააგო. მან საწყის გეიმშივე თავის სერვისზე დათმო ქულა და მართალია, საპასუხო ბრეიკი მეოთხე გეიმში მოიპოვა, სწორედ მოწოდების დროს დაშვებული შეცდომების წყალობით, კიდევ ერთი ბრეიკის შანსი მისცა მეტოქეს და სეტიც ასე წააგო.

მეორე სეტი უფრო დაძაბული გამოდგა. ორივე ჩოგბურთელმა ორ-ორი ბრეიკის მოპოვება შეძლო და სეტიც ტაიბრეიკზე გადავიდა, სადაც კარგა ხანს ქულა ქულაში მიდიოდა, მაგრამ 4:4-ის შემდეგ, ფრანგმა ზედიზედ სამი ქულა აიღო და თამაშიც მოიგო.


მორესმო თავისი ბრილიანტის ჩოგნით

■ ■ ■

არანაკლებ დაძაბული გამოდგა სან ხოსეს ტურნირის ფინალი, რომელშიც ბრიტანელმა **ენდრიუ მარიმ** სამ სეტში აჯობა ხორვატ გიგანტ **ივო კარლოვიჩს** და ზედიზედ მეორედ დაეუფლა ტურნირის მთავარ ჯილდოს.

2.08-მეტრიანი გიგანტის მძლავრ მოწოდებას ფინალამდე **ჯეიმს ბლეიკის, მერდი ფიშისა და ბენიამინ ბეკერის** ამბიციები შეეწირა და ფინალის პირველ სეტში, სკოტ მეჩოგნესაც ძალიან გაუჭირდა მიღებაზე თამაში. თუმცა შემდეგ მრავალფეროვანი გარჯის წყალობით, მარიმ მაინც შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და საბოლოოდ, გამარჯვებაც მას დარჩა.

აღსანიშნავია, რომ მარისთან ფინალურ შეხვედრაში კარლოვიჩმა 26 ეისი მოაწოდა, ტურნირის განმავლობაში კი - 113.

ხორვატმა პირველი სეტი ტაიბრეიკზე მოიგო, მეორე კი ბრეიკით დაიწყო. თუმცა, სკოტმა უმალ გაქვითა ანგარიში და შემდეგ, მეათე გეიმში კიდევ ერთხელ შეძლო მეტოქის სერვისზე ქულის აღება, რითაც სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა. მესამე სეტი პირველს ჰგავდა. ოღონდ, მათ შორის განსხვავება ის იყო, რომ ამჯერად მარიმ მოიგო და ჩემპიონიც ის გახდა. სხვათა შორის, მარი სულ მეოთხე ჩოგბურთელია, ვინც წარმატებით დაიცვა კარიერაში მოგებული პირველი ტურნირის ტიტული.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**ATP**

**სან ხოსეს ღია**

**სან ხოსე (აშშ, კალიფორნია) ქერქვეშა ჰარდი**

საპრიზო ფონდი: 416 000 დოლარი

**ფინალი**

ენრდიუ მარი (3) - ივო კარლოვიჩი 6:7(3), 6:4, 7:6(2)

**მარსელ ოუპენ 13**

**მარსელი (საფრანგეთი) ქერქვეშა ჰარდი**

საპრიზო ფონდი: 510 250 ევრო

**ფინალი**

ჟილ სიმონი - მარკოს ბაღდატისი (7) 6:4, 7:6(3)

**ბრაზილიის ღია**

**კოშტა დუ სოპი (ბრაზილია). თიხა**

საპრიზო ფონდი: 456 000 დოლარი

**ფინალი**

გილერმო კანასი - ხუან კარლოსფერერო (1) 7:6(4), 6:2

**WTA**

**პროქსიმუს დაიმონდის თამაშები**

**ანტვერპენი (ბელგია) ქერქვეშა თიხა**

საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი

**ფინალი**

ამელი მორესმო (1) - კიმ კლაისტერსი (2) 6:4, 7:6(5)

**სონი ერიქსონის საერთაშორისო**

**ბანგალორი (ინდოეთი). ჰარდი**

საპრიზო ფონდი: 175 000 დოლარი

**ფინალი**

იაროსლავა შვედოვა - მარა სანტანჯელო (1) 6:4, 6:4


როჯერ ფედერერი

პირველი ჩოგანი

# ფედერერმა კონორსის რეკორდი გაიმეორა

ზედიზედ 160 კვირა რეიტინგის სათავეში - ეს ის მიღწევაა, რომლითაც აქამდე მხოლოდ ამერიკელი **ჯიმი კონორსი** თუ დაიკვეხნიდა, მაგრამ რომელიც გასული კვირის ბოლოს **როჯერ ფედერერმა** გაიმეორა.

შვეიცარიელი მეჩოგნე რეიტინგს სათავეში 2004 წლის 2 თებერვალს მოექცა და მას შემდეგ, რაც დრო გადის, სულ უფრო იმტკიცებს მოწინავე პოზიციას. მას ახლა თითქმის ორჯერ მეტი ქულა აქვს, ვიდრე მეორე ადგილზე მყოფ ესპანელ **რაფაელ ნადალს**. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირველი ჩოგნის სტატუსს ფედერერს კარგა ხანს მაშინაც კი ვერავინ ჩამოართმევს, თუ საერთოდ არ მოკიდებს ჩოგანს ხელს.

აღსანიშნავია, რომ კონორსმა თავისი პირველი ჩოგნობის ანგარიში 1974 წლის 29 ივლისს გახსნა და 1977 წლის 22 აგვისტოს დახურა.

ფედერერმა კი, რაც მესამედ მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა, მას შემდეგ არ უთამაშია, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ მაინც გააუმჯობესებს კონორსის მიღწევას. შეგახსენებთ, რომ შვეიცარიელმა მაესტრომ სეზონის პირველი სადიდსლემო ტურნირი ისე მოიგო, ერთი სეტიც არ დაუთმია. ასეთი მიღწევა კი 27 წლის წინათ ლეგენდარულ შვედ **ბიორნ ბორგს** ჰქონდა.

სხვათა შორის, ფედერერი რომ კონორსის მიღწევას გაიმეორებდა, ეს ჯერ კიდევ შარშანვე იყო ცნობილი მას შემდეგ, რაც სეზონის დამამთავრებელი ტურნირი - მასტერსის თასი მოიგო.

*"ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რეკორდია, რისი მიღწევაც კი ჩოგბურთში შეიძლება. შემიძლია ვთქვა, რომ ეს ჩემი კარიერის ყველაზე გამორჩეული მიღწევაა, რადგან ის არ იქნებოდა, თუ ამ სამი სეზონის განმავლობაში ბევრ ტურნირს ვერ მოვიგებდი"*, - ამბობს ფედერერი.

მელბურნში რომ ავსტრალიის ღიას ტიტულს მესამედ დაეუფლა, ეს ფედერერისთვის დიდი სლემის მეათე ტიტული იყო. ამ ტიტულებს კი მან ოდენ სამ სეზონში (ცოტა მეტში) მოუყარა თავი. ამჟამად დიდი სლემის ყველაზე მეტი, 14 ტიტული ამერიკელი **პიტ სამპრასის** ანგარიშზეა, თუმცა თავად პიტი აღიარებს, რომ ფედერერს მისი რეკორდის გაუმჯობესება არ გაუჭირდება. მთავარია, მან ტრავმა არ მიიღოს და არც მოტივაცია დაკარგოს.

## სამთო თხილამურები

ვარსკვლავი

# იანიცა აღარ დაბრუნდებაო

**ხორვატიის** სამთო მოთხილამურეთა ნაკრების მწვრთნელი ფიქრობს, რომ შესაძლოა, სპორტის ამ სახეობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ვარსკვლავი, **იანიცა კოსტელიჩი** თავისი შვებულებიდან აღარ დაბრუნდეს და თხილამურები ლურსმანზე დაკიდოს.

*"პირადად მე მიმაჩნია, რომ იანიცა სპორტში აღარ დაბრუნდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ასე მოხდება. გადაწყვეტილება მან უნდა მიიღოს და ამის თაობაზე თავადვე გამცნობთ"*, - განაცხადა ხორვატიის ნაკრების დირექტორმა **ვედრან პავლეკმა**.

შეგახსენებთ, რომ კოსტელიჩმა ეს სეზონი ტრავმული პრობლემების გამო გამოტოვა. კერძოდ, მას კვლავ აწუხებს ტკივილები წელის არეში და მუხლებში ქრონიკული ტკივილები აქვს, რაც ხშირი ტრავმების ბრალია.

პავლეკი ამბობს, რომ იანიცა უკვე მიეჩვია არასპორტულ ცხოვრებას, როცა არანაირი ვალდებულება არ აწუხებს. ის ახლა თავის ბოიფრენდთან ერთად ცხოვრობს და ჯერჯერობით, არაფერს ამბობს იმაზე, დაბრუნდება თუ არა სპორტში.

კოსტელიჩი ახლა 25 წლისაა თავისი კარიერის განმავლობაში, მას სამჯერ აქვს მოპოვებული ბროლის დიდი გლობუსი (მესამე შარშან მოიპოვა), მაგრამ ამავდროულად, ორივე მუხლზე, საერთო ჯამში ათი ოპერაციის გაკეთება მოუხდა, რის გამოც მისი სპორტული კარიერა რამდენჯერმე შეწყდა.

იანიცა ოლიმპიადების ისტორიაში, ყველაზე წარმატებული ქალი სამთო მოთხილამურეა - ოლიმპიადებზე ოქროს ოთხი და ვერცხლის ორი მედალი აქვს მოპოვებული. აქედან სამი ოქრო და ერთი ვერცხლი სოლტ ლეიკ სიტიში (2002 წელს) მოიპოვა, თითო ოქრო და ვერცხლი კი - ტურინში (შარშან). გარდა ამისა, მას მსოფლიოს თასის 30 რბოლა აქვს მოგებული, შარშანდელ სეზონში კი ხუთივე დისციპლინაში შეძლო რბოლების მოგება (მსგავსი მიღწევით ადრე მხოლოდ შვედი **პერნილა ვიბერგი** და ავსტრიელი **პეტრა კრონბერგერი** დაიკვეხნიდნენ). მსოფლიოს ჩემპიონატებზე კი იანიცას მონაგარში ოქროს ხუთი მედალი ირიცხება. აქედან ორ-ორი სლალომსა და კომბინაციაზე მოდის, ერთი კი - დაშვებაზე.

შეგახსენებთ, რომ იანიცას არყოფნაში, არეს მსოფლიო ჩემპიონატზე სლალომის ოქრო ჩეხმა **სარკა ზაჰრობსკამ** მოიპოვა, მეოთხე ადგილზე კი ხორვატი **ანა იელუშიჩი** გავიდა, რითაც ნაკრების შეფი კმაყოფილი დარჩა - ანა ძალიან მსუბუქია და ასეთ ტრასებზე მისთვის თავის გამოჩენა ძალიან ძნელია, მან კი მეორე ცდაზე საუკეთესო შედეგი აჩვენაო.

პავლეკის თქმით, თავისი მომავლის შესახებ გადაწყვეტილებას იანიცა ზაფხულში მიიღებს.


იანიცა კოსტელიჩი

რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 8120 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 4705 |
| 3(3). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 2825 |
| 4(4). ენდი როდიკი (აშშ) | 2715 |
| 5(5). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2685 |
| 6(6). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2605 |
| 7(7). ტომი რობრედო (ესპ) | 2555 |
| 8(8). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 2260 |
| 9(10). ტომი ჰაასი (გერ) | 2020 |
| 10(11). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 1995 |
| 11(9). მარიო ანჩიჩი (ხორ) | 1975 |
| 12(12). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 1785 |
| 13(13). ენდი მარეი (ბრიტ) | 1650 |
| 14(14). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1625 |
| 15(15). დავიდ ფერერი (ესპ) | 1610 |
| 16(16). რიშარ გასკე (საფ) | 1580 |
| 17(17). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1445 |
| 18(20). იარკო ნიემინენი (ფინ) | 1320 |
| 19(19). რადეკ სტეპანეკი (ჩეხ) | 1315 |
| 20(18). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 1230 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 200 |
| 2(2). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 148 |
| 3(4). ენდი როდიკი (აშშ) | 105 |
| 4(10). ენდი მიურეი (ბრიტ) | 100 |
| 5(3). ტომი ჰაასი (გერ) | 98 |
| 6(5). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 92 |
| 7(15). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 90 |
| 8(6). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 75 |
| 8(6). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 75 |
| 10(8). ტომი რობრედო (ესპ) | 74 |
| 11(10). მარდი ფიში (აშშ) | 73 |
| 12(9). ქსავიე მალისე (ბელ) | 71 |
| 13(10). დავიდ ფერერი (ესპ) | 68 |
| 14(10). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 65 |
| 14(10). რაფაელ ნადალი (ესპ) | 65 |
| 16(16). რიშარ გასკე (საფ) | 63 |
| 17(17). მიხაილ იუჟნი (რუს) | 52 |
| 18(106). ჟილ სიმონი (საფ) | 45 |
| 19(53). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 44 |
| 20(18). კარლოს მოია (ესპ) | 40 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 1 004 560 |
| 2. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 515 080 |
| 3. ტომი ჰაასი (გერ) | 262 140 |
| 4. ენდი როდიკი (აშშ) | 251 140 |
| 5. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 194 570 |
| 6. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 181 370 |
| 7. ბობ ბრაიანი (აშშ) | 175 885 |
| 7. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 175 885 |
| 9. ქსავიე მალისე (ბელ) | 168 780 |
| 10. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 167 080 |
| 11. ტომი რობრედო (ესპ) | 161 070 |
| 12. ენდი მარეი (ბრიტ) | 155 655 |
| 13. რაფაელ ნადალი (ესპ) | 155 095 |
| 14. მარდი ფიში (აშშ) | 152 000 |
| 15. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 141 215 |
| 16. მაქს მირნი (ბლრ) | 140 880 |
| 17. მარკოს ბაღდატისი (კვი) | 137 470 |
| 18. დავიდ ფერერი (ესპ) | 129 630 |
| 19. იონას ბიორკმანი (შვედ) | 128 880 |
| 20. მიხაილ იუჟნი (რუს) | 117 860 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). მარია შარაპოვა (რუს) | 3978 |
| 2(2). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 3436 |
| 3(3). ამელი მორესმო (საფ) | 2910 |
| 4(4). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 2630 |
| 5(5). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2554 |
| 6(6). მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 2359 |
| 7(7). ნადია პეტროვა (რუს) | 2265 |
| 8(8). ელენა დემენტიევა (რუს) | 1869 |
| 9(9). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1742 |
| 10(12). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1650 |
| 11(10). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1626 |
| 12(11). დინარა საფინა (რუს) | 1569 |
| 13(13). პატი შნიდერი (შვეიც) | 1498 |
| 14(14). ანა ივანოვიჩი (სერ) | 1463 |
| 15(15). სერენა უილიამსი (აშშ) | 1269 |
| 16(16). ნა ლი (ჩინ) | 1150 |
| 17(17). შაარ პეერი (ისრ) | 1139 |
| 18(20). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1032 |
| 19(18). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 961 |
| 20(19). ანა-ლენა გრონეფელდი (გერ) | 944 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1030 |
| 2. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 915 |
| 3. მარია შარაპოვა (რუს) | 895 |
| 4. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 781 |
| 5. ამელი მორესმო (საფ) | 610 |
| 5. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 610 |
| 7. ანა ივანოვიჩი (სერ) | 565 |
| 8. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 560 |
| 9. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 555 |
| 10. ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 455 |
| 11. ნადია პეტროვა (რუს) | 436 |
| 12. შაარ პეერი (ისრ) | 386 |
| 13. ელენა დემენტიევა (რუს) | 371 |
| 13. დინარა საფინა (რუს) | 371 |
| 15. ნა ლი (ჩინ) | 345 |
| 16. ტატიანა გოლოვინი (საფ) | 320 |
| 17. ვერა ზვონარევა (რუს) | 257 |
| 18. სამანტა სტოსური (ავსტრა) | 240 |
| 19. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ) | 216 |
| 20. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 211 |
| 20. პატი შნიდერი (შვეიც) | 211 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 284 715 |
| 2. მარია შარაპოვა (რუს) | 693 000 |
| 3. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 455 640 |
| 4. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 368 018 |
| 5. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 357 513 |
| 6. ლიზელ ჰუბერი (ს.აფრ) | 272 618 |
| 7. კარა ბლეკი (ზიმ) | 257 688 |
| 8. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 222 855 |
| 9. ამელი მორესმო (საფ) | 215 583 |
| 10. ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 214 048 |
| 11. შაარ პეერი (ისრ) | 196 488 |
| 12. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 191 019 |
| 13. ანა ივანოვიჩი (სერ) | 177 640 |
| 14. ელენა დემენტიევა (რუს) | 166 873 |
| 15. ნადია პეტროვა (რუს) | 161 152 |
| 16. სამანტა სტოსური (ავტრა) | 160 588 |
| 17. იუნ-იან ჩანი (ტაივ) | 138 680 |
| 18. ელენა ლიხოვცევა (რუს) | 137 888 |
| 19. ვერა ზვონარევა (რუს) | 135 549 |
| 20. ნა ლი (ჩინ) | 134 961 |

NHL. ნეშვილ პრედატორზი

# წითელი წიგნიდან გამოძახებული



ფორსბერგი ნეშვილის ფორმაში

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში წინასაფლეიოფო განთესვას რომ დიდი მნიშვნელობა არ აქვს, შარშანდელმა ფლეი ოფმაც ცალსახად დაადასტურა. მე-8 ნომრად განთესილი "ედმონტონი" საბოლოოდ სუპერსერიაში გავიდა და ჩემპიონობამდე ორი პერიოდის მაღალ დონეზე ჩატარება დააკლდა. მთავარ ფავორიტებში არ იყო სტენლის თასის საბოლოო მფლობელი "კაროლინაც", თუმცა ეს გუნდი მთელი რეგულარულის განმავლობაში ელიტასთან შორიახლოს ტრიალებდა და საბოლოოდ, "ჰარიქეინზის" ტრიუმფი ეჭვქვეშ არავის დაუყენებია.

წელს, რეგულარულის ერთ-ერთ მთავარ ალმოჩენად "ნეშვილ პრედატორზი" ითვლება. უნიჭიერესი გენერალური მენეჯერის - **დევიდ პოილის** დროული ტრანსფერებით გუნდი ერთ-ერთ გრანდად იქცა, ხოლო რამდენიმე დღის წინათ გადადგმული ნაბიჯის შემდეგ, "ნეშვილს" უკვე სტენლის თასის მოგების უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევენ.

პოილმა "ფილადელფიასთან" ტრეიდით, შემადგენლობა ბოლო დეკადის ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშით, შვედ ცენტრფორვარდ **პიტერ ფორსბერგით** გააძლიერა.

თუ ფორსბერგი "ყველა ვარსკვლავის" მატჩის შემდეგ აკრეფილ ფორმას შეინარჩუნებს (და მასთან მიმართებაში სიტყვა "თუ" ბოლო წლებში ძალიან ხშირად არის გამოყენებული), მაშინ "პრედატორზი" ძალიან ძლიერი დასავლეთიდან, სტენლის თასის მარათონული დისტანციის ბოლომდე გავლის მთავარი პრეტენდენტი იქნება.

თუ ფორსბერგამდე, "ნეშვილი" მთლიანად **ტომაშ ვოკოუნსა** და მის სუპერთამაშზე იყო დამოკიდებული, დღეს ჩეხი მეკარის გვერდით სრულიად სამართლიანად ფორსბერგს აყენებენ. ცხადია, ფლეი ოფში ოთხი სერიის მოგება ძლიერი, სტაბილური მეკარის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია, მაგრამ ისეთ შემთხვევასაც ვერ ვიხსენებთ, როდესაც მომავალ ტრიუმფატორს თავდასხმაში მინიმუმ ერთი სუპერვარსკვლავი არ ჰყოლოდა.

33 წლის ფორსბერგი ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე უიღბლო ვარსკვლავია. ძალიან ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ფორსბერგი "ნეშვილში" მხოლოდ ამ სეზონის ბოლომდე დარჩება, რის შემდეგაც, კონკრეტულად კი 1 ივლისს, იგი "ფილადელფიასთან" ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს და კარიერას "ფლაიერზსში" დაასრულებს.

შარშან, დაახლოებით იგივე ნაბიჯი გადადგა "კაროლინამ", როდესაც ფლეი ოფამდე გუნდი ორი ძალიან ძლიერი ვეტერანით - ფორვარდებით **დაგ უეიტითა** და **მარკ რეკით** გაძლიერდა, ხოლო როგორც კი გუნდმა სტენლის თასი მოიგო, ძვირადღირებულ ვეტერანებს ხელშეკრულებები აღარ გაუხანგრძლივეს და უეიტი "სენტ ლუისში", რეკი კი "პიტსბურგში" ამოჩნდა.

ფორსბერგამდე კი პოილმა დაცვაც გააძლიერა და **ვიტალი ვიშნევსკის** აყვანით, "ნეშვილის" სპეცბრიგადები უფრო მობილურად და სახიფათოდ იმოქმედებენ.

უმრავლესობაში ყოფნისას ფორსბერგი თითქმის ყოველთვის ყინულზე იქნება, მეწყვილედ კი ძლიერი და გამოცდილი **ჯეისონ არნოტი** ეყოლება, რომელიც "ნეშვილმა" ამ რეგულარულის დაწყებამდე აიყვანა.

შვედის დამატება თავიდან "დეტროიტს" სურდა, მერე საქმეში "ანაჰაიმიც" ჩაერთო, ბოლოს კი, "ფილადელფიას" ფორსბერგთან დაკავშირებით "დალასიც" დაუკავშირდა. არცერთი ტრანსფერი არ შედგა, ფორსბერგი კი საბოლოოდ ვოკოუნისა და **პოლ კარიას** თანაგუნდელი გახდა.

"ნეშვილის" მიერ გადადგმული ნაბიჯით, 27 თებერვლამდე სხვა გუნდებიც უნდა გააქტიურდნენ და არ არის გამორიცხული, რომ ამ დღეებში დასავლურმა გრანდებმა **ბილ გერინი, იოჟეფ შტუმპელი, გარი რობერტსი, ოუენ ნოლანი,** ან **კიტ ტკაჩუკი** დაიმატონ.

თავად ფორსბერგი სტენლის თასზე საუბარს ერიდება და მხოლოდ იმას ამბობს, ისედაც ძლიერი "პრედატორზი" კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდაო.

*"ყველანაირად ვეცდები, გუნდს სეზონის ბოლომდე მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო, რადგან ვიცი, რომ ჩემზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. "კოლორადოში" თითქმის ყველა სუპერვარსკვლავი იყო და ძალიანაც რომ მომენდომებინა, ინდივიდუალურად სხვების ფონზე აშკარად გამორჩევას ვერ შევძლებდი. "ნეშვილში" სულ სხვა სიტუაციაა. აქ თითქმის ყველა იმ ერთი დიდი მიზნისთვის იბრძვის, რასაც სტენლის თასის მოგება ჰქვია"*, - ამბობს ფორსბერგი.

"მტაცებლებმა" ისეთი მხეცი დაიმატეს, რომელიც წითელ წიგნში დაბრუნების პერმანენტული კანდიდატი კი არის, მაგრამ იქამდე, სანამ პიტერ ფორსბერგი ჯანმრთელობას შეინარჩუნებს, "ნეშვილი" მინიმუმ სუპერფინალში უნდა გავიდეს.

**ზურაბ თალაკვაძე**

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**დალასი-სან ხოსე 5:2**

1:0, 2:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ბარნსი-11 (ზუბოვი-28, სიდორი-10), 2:0 რიბეირო-9 (მოდრი-8), 3:0 ი. ლეჰტინენი-18 (მოდანო-12, სიდორი-11), 3:1 ბელი-8 (ვლასიჩი-17, მ. მიხალეკი-26), 4:1 რიბეირო-10 (ზუბოვი-29, სიდორი-12), 4:2 გრირი-13 (ჯ. ტორნტონი-60, რისმილერი-12), 5:2 ი. ლეჰტინენი-19.

**რეინჯერსი-ჩიკაგო 2:1**

2:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 სტრაკა-27 (იაგრი-51, პრუხა-13), 2:0 მარსელ ჰოსა-7 (კულენი-17), 2:1 ჰავლატი-23 (სენტ პიერი-3, კეიტი-23).

**პიტსბურგი-ვაშინგტონი 3:2**

1:1, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 რეკი-20 (გონჩარი-39, კროსბი-65), 1:1 ზედნიკი-6 (შულცი-2, ბრაშირი-6), 2:1 მალკინი-29 (გონჩარი-40, ულეტი-23), 3:1 ტელბოტი-9 (კ. არმსტრონგი-16, კრისტენსენი-9), 3:2 სიომინი-31 (პეტინგერი-14, ფერი-1).

**სენტ ლუისი-მინესოტა 5:3**

2:2, 3:0, 0:1

**გოლები:** 1:0 მეიერსი-7 (მაკლემანი-16), 2:0 ბეკსი-5 (ჩაიანეკი-24, ბეკმენი-9), 2:1 ჰოლი-5 (უაიტი-23, პერიში-15), 2:2 გაბორიკი-19 (როლსტონი-24, კ. იონსონი-14), 3:2 მაკლემანი-6 (სტემპნიაკი-17), 4:2 ბეკსი-6 (სტემპნიაკი-18, ბრიუერი-14), 5:2 ტკაჩუკი-20 (რ. ჯონსონი-2, ჯეკმენი-15), 5:3 დემიტრა-18 (პერიში-16, გაბორიკი-12).

**ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი 3:4 (ბ)**

0:1, 1:1, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ვიშნოვსკი-15 (კამალერი-33, კოპიტარი-36), 1:1 კუნიტცი-20 (სელიანე-34, ე. მაკდონალდი-39), 1:2 კამალერი-24 (კოპიტარი-37, ვიშნოვსკი-32), 2:2 სელიანე-36 (ს. ნიდერმაიერი-38, პენერი-13), 2:3 დ. არმსტრონგი-10 (კამალერი-34, სოპელი-19), 3:3 გეტცლაფი-21 (სელიანე-35, ს. ნიდერმაიერი-39).

**ბულიტები გაიტანეს:** გეტცლაფი (ანაჰაიმი), კოპიტარი (ლოს ანჯელესი), კუნიტცი (ანაჰაიმი), ლუნდმარკი (ლოს ანჯელესი), ვიშნოვსკი (ლოს ანჯელესი).

**კოლამბუსი-მონრეალი 2:3**

0:0, 0:3, 2:0

**გოლები:** 0:1 რაიდერი-17 (ს. კოივუ-30, სურეი-29), 0:2 ს. კოივუ-17 (რაიდერი-21, ჰიგინსი-10), 0:3 ბუიონი-3, 1:3 ჟერდიოვი-8 (სვიტოვი-9, ჰეინსი-19), 2:3 ბრული-6 (ფიოდოროვი-20, ფრიტშე-15).

**ვანკუვერი-კოლორადო 5:4**

2:2, 1:1, 2:1

**გოლები:** 0:1 ბრუნეტი-22 (სკრასტინსი-10, საკიკი-44), 1:1 დ. სედინი-25 (ჰ. სედინი-48, მიტჩელი-5), 1:2 რიჩარდსონი-7 (გიტი-2), 2:2 კუკი-6 (ბ. მორისონი-21, ფიტცპატრიკი-4), 3:2 ბ. მორისონი-15 (კუკი-10, მიტჩელი-6), 3:3 ბრუნეტი-23 (პ. შჩასტნი-31, ლაილსი-22), 4:3 ჰ. სედინი-8, 5:3 ბ. მორისონი-16 (ნესლუნდი-28, კუკი-11), 5:4 ლაპერიერი-4 (არნასონი-24, მაკლინი-14).

## TV სპორტი

### 20 თებერვალი. სამშაბათი

**რუსთავი 2**

**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. რეალი-ბაიერნი (LIVE).
**02:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**02:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. სელტიკი-მილანი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:05** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-შტუტგარტი.
**09:50** სპორტკლუბი.
**10:40** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ატლეტიკო.
**12:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
**14:20** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**15:15** სპორტკლუბი.
**16:05** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-კიევო.
**17:55** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. კოშტა დე სოუპე. ბრაზილია.
**19:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:30** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**21:00** მინი-ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
**21:10** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:10** ფეხბურთი. ინგლისის თასი. მიმოხილვა.
**22:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის წინ.
**23:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. სელტიკი-მილანი (LIVE).
**01:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ლილი-მანჩესტერ იუნ.
**03:35** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. კოშტა დე სოუპე. ბრაზილია.
**05:05** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**06:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ატლეტიკო.
**07:45** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

**EUROSPORT**

**11:30** მულტისპორტი.
**11:45** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**12:30** ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. ინდივიდუალური. ბანსკო. ბულგარეთი (LIVE).
**14:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
**16:15** ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ინდივიდუალური. ბანსკო. ბულგარეთი (LIVE).
**17:30** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS142. ნოიშტადტი. გერმანია.
**19:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
**22:30** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**23:15** კრივი. ევროპის ჩემპიონატი. მ. პიჩირილო (იტალია)-მ. ჯონსი (აშშ). მილანი. იტალია.
**01:00** მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
**02:00** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ნორვეგია.
**04:00** ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. უნიკახა-რეალი.
**14:30** ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**15:00** ახალი ამბები.
**17:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლიუბლიანა (სლოვენია)-ოლბორგი (დანია).
**18:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ლისაბონი. პორტუგალია.
**19:00** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. უნიკახა-რეალი.
**20:30** ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**22:00** კალათბურთი. ევროლიგა.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ლისაბონი. პორტუგალია.
**00:00** პული. ევროტური. მალაგა. ესპანეთი.
**01:00** ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ფინალი. ვენა. ავსტრია.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** რესტლინგი.
**03:15** ახალი ამბები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩოგბურთი**

### აპელმანსმა მწვრთნელობა დაიწყო

ფედერაციის თასზე ბელგიის ქალთა ნაკრების ახალი კაპიტანი, წარსულში ცნობილი ჩოგბურთელი **საბინ აპელმანსი** გახდა. ეს უკანასკნელი, თავის დროზე ქალთა რეიტინგის 16 საუკეთესო მოთამაშეს შორის შედიოდა, 1987-2001 წლებში WTA-ს შვიდი ტურნირი მოიგო და 1997 წელს, ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხედფინალამდე მიაღწია.

საბინ აპელმანსმა ბელგიის ნაკრების კაპიტნის პოსტზე **კარლ მაიესი** შეცვალა, რომელმაც შარშან, ბელგიელები ფედერაციის თასის ფინალში გაიყვანა. დღეიდან, მაესი კონტრაქტის მიხედვით დიდი ბრიტანეთის ნაკრებში იმუშავებს.

### კლაისტერსმა როლან გაროსი უიმბლდონს შესწირა

ბელგიელმა ჩოგბურთელმა **კიმ კლაისტერსმა** დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უიმბლდონის ტურნირისთვის უკეთ მოსამზადებლად საფრანგეთის ღია პირველობის გამოტოვებას აპირებს.

*"ჩემთვის თიხნარი მოუხერხებელი საფარია. გარდა ამისა, "როლან გაროსი" საშუალებას არ მომცემს უკეთ მოვემზადო უიმბლდონისთვის. წლევანდელ სეზონში ამ ტურნირზე გამარჯვება ჩემი უმთავრესი მიზანია"*, - განაცხადა კლაისტერსმა.

**ჰოკეი**

### ჩელიოსი წასვლას არ აპირებს

ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველაზე ასაკოვანი კალათბურთელი - "დეტროიტ რედ უინგზის" 45 წლის მცველი **კრის ჩელიოსი** კარიერის დასრულებას არ აპირებს. ამის შესახებ მან გაზეთ "ნიუ იორკ თაიმსს" განუცხადა.

*"ათი წლის ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ აქამდე შევძლებდი თამაშს. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ ლიგაში ხანდაზმულობის მხრივ, მეორე ჰოკეისტი ვარ გორდი ჰოუს შემდეგ, რომელმაც 52 წლის ასაკში დაანება თავი სპორტს. მისი რეკორდის გამეორებაზე არ ვფიქრობ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ზუსტად ისეთ ფიზიკურ ფორმაში ვარ, როგორც ათი წლის წინათ ვიყავი"*, - ამბობს ვეტერანი ამერიკელი მცველი.

### შენეჰანი საავადმყოფოდან გაწერეს

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, "ნიუ იორკ რეინჯერსის" ფორვარდმა **ბრენდან შენეჰანმა** "ფილადელფიასთან" მატჩში ტრავმა მიიღო - მან ყინულზე თავი დაარტყა და გარკვეული ხანი უგონოდ იყო.

გუშინ, "რეინჯერსის" მთავარმა მწვრთნელმა **ტომ რენიმ** ვეტერანი ფორვარდის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ბრენდანი ნევროლოგმა შეამოწმა, რომელიც გაოცებული დარჩა მისი მდგომარეობით. სავარაუდოდ, შენეჰანი უახლოეს ხანში თამაშს ვერ შეძლებს, მაგრამ ექიმები იმითაც კმაყოფილები არიან, რომ ჰოკეისტი კლინიკიდან გამოეწერა და თავს კარგად გრძნობს"*.

**სამთო თხილამურები**

### როკამ სეზონი დაასრულა

გასულ სეზონში, სლალომში ბროლის მცირე გლობუსის მფლობელმა - იტალიელმა **ჯორჯო როკამ** განაცხადა, რომ წყვეტს ამ სეზონში მსოფლიო თასზე გამოსვლას.

როკა ოპერაციის გაკეთებას აპირებს. იტალიელი, რომელიც ამ სეზონში ძალიან წარუმატებლად ასპარეზობდა, მარჯვენა მუხლის მკურნალობას იწყებს. მოთხილამურის სიტყვებით, მას ტრავმა იმდენად აწუხებს, რომ ტრასაზე მკვეთრი მოხვევა უჭირს.

**ფორმულა 1**

### ჰაკინენს მაკლარენში უნდა

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **მიკა ჰაკინენი** არ გამორიცხავს, კვლავ მიუჯდეს "მაკლარენის" ბოლიდის საჭეს. შეგახსენებთ, რომ ფინელმა პილოტმა ამ მანქანით გასული წლის ნოემბერში ჩაატარა ტესტები. მიკა სიამოვნებით იხსენებს იმ დღეს და ჟურნალისტის შეკითხვას - სურს თუ არა, კვლავ გამოსცადოს "მაკლარენის" ბოლიდი, პასუხობს: *"რა შეკითხვაა?! რა თქმა უნდა, მსურს. მაგრამ ახლა მთლიანად DTM-ს ჩემპიონატზე ვარ გადართული. მინდა ამ სერიის ჩემპიონი გავხდე"*.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ბრენტფორდი-ნორთჰემპტონი | 0:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფიურტი-ფრაიბურგი | 0:0 |
| *ხიზანეიშვილმა და იაშვილმა სრულად ითამაშეს* | |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მეცი-კაენი | 2:0 |
| **პორტუგალია** | |
| ბელენენსეში-აკადემიკა | 1:2 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **რუსეთი** | |
| სიბირი-ავანგარდი | 2:3 |
| ს. იულაევი-აკ ბარსი | 4:4 |
| ლადა-დინამო | 4:2 |
| ლოკომოტივი-ვიტიაზი | 2:2 |
| სევერსტალი-ტრაქტორი | 0:1 |
| ნეფტეხიმიკი-ამური | 1:1 |
| ხიმიკი-მეტალურგი (მ) | 1:3 |
| მვდ-მეტალურგი (ნ) | 0:2 |
| ცსკა-კრილია | 8:3 |
| **შვედეთი** | |
| ბრინასი-მალმიო | 2:2 |
| ლინჩოპინგსი-აიკ | 6:2 |
| ლულეა-ტიმრა | 3:5 |
| იურგორდენი-მორა | 5:3 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. ბუენოს აირესი** | |
| დევილდერი-ბრჟეჟიცკი | 6:3, 5:7, 6:3 |
| გალვანი-ჟანკუერა | 6:4, 4:6, 7:5 |
| ჰარტფილდი-გრიმელმაიერი | 7:6, 6:1 |
| ბერლოკი-დი მაურო | 1:6, 3:6 |
| **ATP. მემფისი** | |
| კუბეკი-გრეული | 6:3, 7:6 |
| ვიტენი-მელცერი | 6:1, 3:6, 6:7 |
| **ATP. როტერდამი** | |
| ბრაჩიალი-პაველი | 1:6, 1:6 |
| ჯოკოვიჩი-სერა | 7:6, 6:4 |
| ო. როხუსი-ტიპსარევიჩი | 4:6, 6:2, 6:4 |
| კარანუშიჩი-ჰაასე | 3:6, 6:7 |
| დავიდენკო-ბერერი | 6:3, 6:4 |
| **WTA. დუბაი** | |
| კირილენკო-ნიკულესკუ | 6:3, 6:0 |
| ნა ლი-დანილიდუ | 7:6, 6:7, 3:6 |
| მოლიკი-გრონეფელდი | 6:3, 6:4 |
| შნიდერი-სკიავონი | 6:7, 6:3, 6:3 |
| სუგიამა-სფარი | 6:4, 5:7, 6:3 |
| **WTA. ბოგოტა** | |
| ზაპვალოვა-მარტინესი | 6:3, 5:7, 4:6 |
| ლუა-პარა | 6:2, 6:1 |
| იაკიმოვა-ვიერინი | 2:6, 4:6 |
| **WTA. მემფისი** | |
| მატეკი-რეიმონდი | 6:2, 7:5 |
| პრატი-ოსტერლო | 6:3, 6:0 |
| ვოზნიაკი-ფორეცი | 2:6, 7:6, 6:3 |
| პერი-ფედოსოვა | 6:7, 6:3, 7:5 |
| კრეიბასი-ლიგენი | 6:4, 6:4 |

ლიტერატურული საქართველო

# ჩაკეტილი ჭიშკრები და სამარცხვინო ბაირამ დუდუკში

პატივცემულო რედაქცია!

ეს წერილი ერთ-ერთ გაზეთს შევთავაზეთ, მაგრამ მის გამოქვეყნებაზე უარი გვითხრეს. "ლიტერატურული საქართველო" ეროვნული ინტერესების თავგამოდებული დამცველია, ჩვენ კი მისი ერთგული მკითხველები და ფეხბურთის გულშემატკივრები გახლავართ. რასაც ქვემოთ მოგითხრობთ, სულაც არ არის წვრილმანი. ამიტომ, მოგმართავთ თხოვნით, იქნებ თქვენ მაინც გამოგვიქვეყნოთ.

7 თებერვალს საქართველო-თურქეთის ნაკრები გუნდების ამხანაგური თამაშის საყურებლად მივედით ეროვნულ სტადიონზე. რკინის ღობეზე ვიძრომიალეთ, თამაში ვნახეთ და სპორტულ პრესასაც გავეცანით. მოვლენებს წინ გავუსწრებთ და მოვიყვანთ ციტატას, რომელიც 9 თებერვლის "ლელოს" პირველ გვერდზე გამოქვეყნდა.

- მთავარია ხალხს დავანახოთ, რომ ვიბრძვით! უნდა იბრძოლოთ თქვენი სამშობლოსათვის, თქვენი ხალხისთვის, ამ პატარა ქვეყნისთვის. სტადიონი სავსეა. 60 ათასი გულშემატკივარი იმისთვის მოვიდა, რომ დარწმუნდეს - ის 2:5 დიდი შეცდომა იყო. ეს არ არის ამხანაგური თამაში, ეს ომია, რომლის მოგებაც შეგვიძლია - ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რომელიც ბიჭებს მოედანზე გასვლამდე ვუთხარი...

ხედავთ, როგორი შემართება და მოწოდებაა?! ამას გერმანელი, საქართველოს ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი ამბობს. მისი საინტერესო მონოლოგი ამავე ნომრის მე-16 გვერდზეა დაბეჭდილი (ჩაიწერა გოტფრიდ ლენცმა). დაგვეთანხმებით, ძალიან გულშიჩამწვდომი სიტყვებია, მღელვარებისა და თანაგანცდის გარეშე ვერ მოისმენ და ვერც წაიკითხავ.

ტოპმიოლერის მონოლოგამდე, წინა დღით, ამავე გაზეთში გამოქვეყნდა პაატა თოთაძის ნაჩქარევი მიმოხილვა (ის შუაღამისას დაიწერა, დაბეჭდვა ნომერში უნდა მოსწრებულიყო!) "ბრძოლა და მოგება ვისწავლეთ".

სამწუხაროდ, არცერთ ავტორს ენა და კალამი არ დაუსველებია იმ უმსგავსობის შესახებ, რაც იმ საღამოს ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე თამაშის დაწყებამდე მოხდა.

**20 საათზე ვიყავით სტადიონის შესასვლელთან, ბილეთები ხელში გვეჭირა, მაგრამ რად გინდა! ვიღაც თავგასულმა და უსულგულო ჩინოვნიკმა გასცა ბრძანება, რომ თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე ყველა ჭიშკარი ჩაეკეტათ და ჩაკეტეს კიდეც.**

**ნუთუ ამას ჰქვია უსაფრთხოების დაცვა (თამაშს საქართველოს პრეზიდენტი და თურქეთის პრემიერ-მინისტრი ესწრებოდნენ)?! ეს ხომ ხალხის აბუჩად აგდება და უპატივცემულობაა. რა დააშავა ბილეთიანმა გულშემატკივარმა, რომელიც თავისი გუნდის მხარდასაჭერად მივიდა სტადიონზე.**

**ჩვენ როგორ მოვიქეცით?! ისე, როგორც ათიათასობით გარეთდარჩენილი, განბილებული მაყურებელი. სხვებთან ერთად, სტადიონის გარშემოვლებულ რკინის ღობეზე გადავედით. ზოგს ხელი დაუზიანდა, ზოგმა ფეხი იტკინა, ზოგს შარვალი ჩამოეფხრიწა. ეს იყო ქაოსი, ყვირილი, დაძახილ-გადმოძახილი და გინება კარგად ნაცნობი მისამართებით. ისეთი განცდა დაგვეუფლა, თითქოს, მართლაც, ოსმალოს ჯარი შემოგვესია და სამშობლო უნდა დაგვეცვა.**

**როგორც იქნა, გადავედით სამმეტრიან რკინის ღობეზე, რადგან, ძალიან გვინდოდა, იმ დღეს, ჩვენი გუნდის გამარჯვება გვენახა.**

**დასავლეთ ტრიბუნების პირველი იარუსის ექვსივე სექტორი თითქმის ცარიელი იყო, მერელა შეივსო, თამაშის დაწყებისას, იმდენი მაყურებელი მოვიდა, ხალხი ფეხზე იდგა.**

**პატივცემულო რედაქცია! ნუთუ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც შეიძლება ყველაფერი მოხდეს?!**

"ლიტერატურული საქართველო" გაჭირვებული, ადამიანური ღირსებების უფლებააყრილი ხალხისა და ქართული ენის დამცველი გაზეთია. ამიტომ, ერთ ციტატას კიდევ მოვიშველიებთ იმ წერილიდან, რომელსაც სამარცხვინო სათაური აქვს: "ბაირამ დუდუკში" ("ლელო", 10 თებერვალი, 2007).

"მაშასადამე, დიდი არაფერი თამაში, თუ კონტექსტიდან ამოგლეჯილად განვიხილავთ. მარტო ფეხბურთს, თერთმეტი თერთმეტზე (სტილი არ გხიბლავთ?!). მაგრამ მთელი მულამი თუ მარილი თუ... (იფ! იფ! თუ-თუ-თუ... სად გაქრა მესამე თუ?) ეშხი სწორედ ამ კონტექსტშია. სავსე სტადიონი, ანთებული თვალები, მოედანზე შევარდნები, ჩხუბი 22X22, ბრძოლა ყველა ბურთზე... როდის გვინახავს ეგეთები, რაგბის თუ არ ჩავთვლით? ურუგვაისთანაც დიდი არაფერი თამაში იყო, მაგრამ კი მოიგო მეორე თუ მესამე შემადგენლობით ორივე და რას ერჩი? ოლვიზ რომემბერ კოკა კოლა, ბლიად ფლიზ"

მამუკა ჩიხლაძის წერილში "ბლიად"-ისნაირი "მარგალიტები" საკმაოდაა:

"როგორ შეიძლებოდა ეგრე თქმა, იბიომათ!"

"შიგ ბაირამ დუდუკში არ გაუდო?!"

და სხვა მრავალი.

ჰეჰ! ეგრე სად არი, ძმაო! ქუჩური კილო, არა თუ პრესაში, ქუჩაშიც კი ძნელი ასატანია.

**ჯონი კაპანაძე, ირაკლი ნარიმანიძე**

"ლიტერატურული საქართველო", 16 თებერვალი, 2007



# Wuthering Heights

მამუკა ჩიხლაძე

პარასკევ დილით შეგვატყობინეს, "ლიტერატურული საქართველო" იყიდეთ და ბოლო გვერდი ნახეთო. ვნახეთ. თუ დაგაინტერესებთ, თქვენც ნახეთ და მერე განვაგრძოთ საუბარი (იხ. მარცხენა სვეტი).

მეც წავიკითხე. ვერ ვიტყვი, რომ მესიამოვნა, მაგრამ გაზეთი გადავფურცლე და გადავათვალიერე. ჯემალ მონიავას ნოველა. ბატონი ჯემალი ჩვენი უსტაბაშის, ელგუჯა ბერიშვილის ახლო მეგობარია. ადრე რამდენჯერმე სცენაზე მინახავს, კინოში, ტელევიზიით, ერთხელ თუ ორჯერ პირადად შევხვედრივარ - კარგი მსახიობი და ძალიან სასიამოვნო კაცია საურთიერთოდ. რომ წერდა, ესეც ვიცოდი. მესიამოვნა. შუა ორ გვერდზე - ჯემალ აჯიაშვილის სონეტები. ახლა არ მოვყვები შთაბეჭდილებას, როცა პირველად წავიკითხე მისი თარგმანები. მოკლედ, უკვე ძალიან კმაყოფილი ვარ. ის რომ არ დამეწერა, ხომ არ...

ერთ ნახევარ საათში პაატა მეკითხება:

- პასუხის გაცემას ხომ არ აპირებ?

- არააა. რას ვერჩი? შენს ნაწერს ვინმე რომ წაიკითხავს და თან გამოეხმაურება, კმაყოფილი უნდა დარჩე. არ მოეწონათ და რა ვუყო. დაწერის მერე რომ გადავიკითხე, არც მე მომეწონა, მაგრამ თავიდან ხომ არ დავწერდი? გაზეთია, ბოლოსდაბოლოს...

განვაგრძე ფურცვლა, ბოლოდან პირველი გვერდისკენ და ბოლოს...

თამაზ წივწივაძე

## „ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ!..“

დიდი გალაკტიონისგან განსხვავებით, ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, არც შუაღამე იწვის და მით უმეტეს, არც სარკმლიდან მონაბერი სიო მეუბნება ველთა ზღაპარს - უბრალოდ, სატელეფონო ხაზზე მყავს ჩვენი რედაქციის თანამშრომელი ... და "ლიტერატურული საქართველოს" ოფისში ქართველ ლტოლვილთა რიგით მეორე შემოჭრაზე მესაუბრება!

*(ეს ლტოლვილები თურმე ხელისუფლებამ შეუსია გაზეთს. თურმე, თავადაც მშვენივრად მოახერხებდნენ მათთვის საძულველი გაზეთის გასახლებას, მაგრამ არც ის უნდათ, რომ მთავრობის ეს ცუდი საქციელი ხალხის სალაპარაკო გახდეს! მ.ჩ.)*

მით უმეტეს, ჩემნაირი რედაქტორის ხელში, ვისაც ენაზე არაფერი ამაგრდება და ამ ხელისუფლების გატრიზავებასა და გაქილიკებას ისედაც არ ერიდება!

და ახლა კიდევ! ვიღაც ხევსურ ბათარეკა გაბიდაურს წერილობით შემოუთვლია, რედაქტორისთვის:

„იქ დაიკიდე მთავრობა, ვითომც სულაც არ გყოლიაო!"..

მე კიდევ წაქეზება მინდოდა, ძვირფასო მკითხველო?

ეს მთავრობა, განა, ისედაც იქ არ მეკიდა, სადაც ახლა ეს ბათარეკა გაბიდაური კონკრეტულად და უფრო დაზუსტებით მიმითითებს?!

თუმცა, რასაკვირველია, მთიელი კაცის ეს შეგულიანება არც მე მაწყენს და არც ჩემი ქვეყნის გვარიანად შეშინებულ მოსახლეობას!

*რამ დაგადედლათ ბარელნო,*
*რატომ არ იღებთ ენასა,*
*რატომ შაარჩენთ მაგ ღლაპებს*
*ამდენ ავსა და წყენასა!..*

უკაცრავად, ბატონო ბათარეკა, მაგრამ ჩვენს დადედლებაზე ლაპარაკი, აქ ზედმეტია!

პირიქით, რაკი ტახის წელიწადია, შეიძლება, ისიც კი ითქვას, რომ მე, პირადად, ატეხილი ვარ! მაგრამ ისე კი არა, პირდაპირ ნეზვზე გავიწიო, არამედ ისე, „ვეფხისტყაოსანში" რომ წერია:

ამას თურმე ყველა და ყველაფერი არ დაუკიდია?! ბლიად არ მოგეწონათ?! რახან ბარბარიზმია, ხომ? მაშინ მამაპაპურად ვიკითხავ: ამის დედაც -------, ამ გაზეთს პატრონი არა ჰყავს, პირველი და ბოლო გვერდი რომ შეუდაროს ერთმანეთს? მომეცით ჩემი წერილი აქ!

ახლა განვიხილოთ ჩემი ნაწერი და ამათი აბდაუბდა. სათაური? რაის სათაური, თუ ძმა ხარ. Wuthering Heights! აბა რაის - ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ? ეს არის ჩემი საყვარელი მომღერლის ყველაზე მაგარი სიმღერა! დადგნენ და თავი იმტვრიონ, რა წერია...

ახლა გთხოვთ, განსახილველ რეპლიკაში წაიკითხოთ მხოლოდ **მუქი შრიფტით** გამოყოფილი ნაწილი.

რა პრეტენზია შეიძლება მქონდეს ამასთან? არაფერი - ბილეთიანი ხალხი არ შეუშვიათ სტადიონზე და ძალიანაც მიუქარავთ! ერთადერთი შეკითხვა მაქვს - **ეს წერილი ერთ-ერთ გაზეთში მივიტანეთ და არ დაგვიბეჭდესო,** რომ ჩივიან.

აშკარა მინიშნებაა, რომ ჩვენთან მოიტანეს და უარი ვუთხარით, რაც სიცრუეა! და სხვა გაზეთში თუ მიიტანეს, ძალიან სწორადაც მოქცეულან რომ არ დაუბეჭდავთ - ეტყოდნენ, რომ ჯერ წაიღეთ იმ გაზეთში, რომელთანაც პრეტენზია გაქვთ და თუ უარი გითხრეს, მერე - დიდი სიამოვნებითო! ასე მოითხოვს კოლეგიალობის ეთიკა, რომელიც "ლიტერატურულმა საქართველომ" სამარცხვინოდ დაარღვია!

ახლა დავიწყოთ რეპლიკის გაუმუქებელი ნაწილის განხილვა, როგორც გითხარით, **მუქ** ნაწილთან მეტი პრეტენზია არ მაქვს. სამაგიეროდ მაქვს ეჭვი, რომ ეს ორი პატიოსანი მოქალაქე მხოლოდ ღობეზე გადაფოფხების გამო შეწუხდა და დანარჩენი ვიღაცამ მიაწერა. ეს რეპლიკა, არსებითად, ორი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი "ნაწარმოების" კომპილაციაა.

"თეთრი" ნაწილის პირველივე წინადადება სისულელეა! **"რკინის ღობეზე ვიძრომიალეთ, თამაში ვნახეთ და სპორტულ პრესასაც გავეცანით".** რახან დროის წყვეტა აქ არსადაა, ამიტომაც უნდა ვიგულისხმოთ, რომ ავტორი 7 თებერვლის საღამოს სტადიონის ღობეზე გადაძვრა, სკამამდე მიაღწია, ფეხბურთს უყურა და თან წაიკითხა 8, 9 და 10 თებერვლის "ლელო", რომლებსაც განიხილავს კიდეც შემდგომ. აბა, სხვაგვარად როგორ უნდა ვიფიქროთ?

8 თებერვლის "ლელოში" დაბეჭდილია **პაატა თოთაძის**, რა თქმა უნდა, ნაჩქარევად, ნაშუაღამევს დაწერილი რეცენზია, 9 თებერვალს კი კლაუს ტოპმიოლერის მონოლოგი, რომელიც ჩაიწერა **გოტფრიდ ლენცმა**. მადლობა ღმერთს, ტოპმიოლერის მონოლოგი და მისი წინასამატჩო სიტყვა მაინც მოეწონათ, თორემ ამ კატეგორიის ხალხს უცხოელი მწვრთნელი საერთოდ არ ეპიტნავება!

ამიტომაც, ბრავო ნაციონალტრაინერ და ბრავო ლენც, სათქმელი რომ არაფერი დაუტოვეთ! ამის გარდა: **"სამწუხაროდ, არცერთ ავტორს ენა და კალამი არ დაუსველებია იმ უმსგავსობის შესახებ, რაც იმ საღამოს ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე თამაშის დაწყებამდე მოხდა".** მაგრამ ეგ არაფერია, მაგას ახლავე უკან დავუბრუნებ: ამხანაგებო, პ. თოთაძემ დაწერა თამაშის რეცენზია და ტოპმიოლერმა წარმოთქვა მონოლოგი, ჩაიწერა ლენცმა - რა გინდოდათ, ტოპმიოლერს ეთქვა, ხალხი ღობეზე რატომ აძრომიალეთო? თოთაძე თამაშს არჩევდა და სხვა ჟურნალისტები? მამულაშვილი, ცაბაძე და ჯანეზაშვილი! იქნებ არ შესწრებიან, ბატონო, ამ მართლაცდა აღმაშფოთებელ ამბავს და არც არაფერი გაუგიათ? მოგეტანათ და დაგიბეჭდავდით, ბატონო ჯონ-ირაკლი!

რაღა დარჩა? 10 თებერვალი და ჩემი ნაწერი - ბაირამ დუდუკში! რატომ დაერქვა ეს სათაური, იმ წერილშივეა ახსნილი და აქ აღარ გავიმეორებ. და რატომაა სამარცხვინო? არ ვიცი, ამას არ ხსნიან. ალბათ ვიღაცას სექსუალური ფანტაზიები აღეძრა, როგორც 10 თებერვალსვე ვივარაუდე. "ლიტერატურულის" რედაქტორიც იმავეს შიშობს - რახან ტახის წელიწადია, ატეხილი ვარო, მაგრამ, თქვენ კი არ გეგონოთ, მამალი ღორი ვარ და ნეზვზე უნდა გავიწიო, არამედ, "ვეფხისტყაოსანში" რომ წერია, ისე ავტყდიო. საომრადო!

**"ლიტერატურული საქართველო" გაჭირვებული, ადამიანური ღირსებების უფლებააყრილი ხალხისა და ქართული ენის დამცველი გაზეთია. ამიტომ, ერთ ციტატას კიდევ მოვიშველიებთ იმ წერილიდან, რომელსაც სამარცხვინო სათაური აქვს: "ბაირამ დუდუკში."**

მოიცა! აკი თავიდან სხვა გაზეთში მივიტანეთ დასაბეჭდათო? მერე ჩაასწორეთ ესა? თუ თვითონ ჩაუმატეს? და მეორე წინადადებას პირველთან რა კავშირი აქვს? ადამიანური ღირსება "ლელომ" გაგითელათ თუ ჩვენ ბურჟუების გაზეთი ვართ? აჰ, ქართულ ენას იცავთ? მაშ, **ადამიანური ღირსებების უფლებააყრილი ხალხი** რაღაა? და რომელ კიდევ ერთ ციტატას მოიყვანთ სამარცხვინო წერილიდან? აქამდე არცერთი არ მოგიყვანიათ, ახლა იწყება. შეგიმცირეს წერილი? არ ჩაეტია მთლიანად?

**"მაშასადამე, დიდი არაფერი თამაში, თუ კონტექსტიდან ამოგლეჯილად განვიხილავთ. მარტო ფეხბურთს, თერთმეტი თერთმეტზე (სტილი არ გხიბლავთ?!).**

ვაღიარებ, რომ ჩემი ის ნაწერი, განსაკუთრებით ბოლოსკენ, სტილიზებულია - მთლიანად აგებულია ჟარგონული გამოთქმებისა და უცხო სიტყვების თამაშზე. საზოგადოდ, სტილი ჟურნალისტისთვის ღირსება არ არის და ნაკლია, მაგრამ ამ **ერთ,** ზემოთმოყვანილ წინადადებაში **სტილი** სად ნახეთ?

უკვე გითხარით, რომ ეჭვები მქონდა ამ რეპლიკის წარმომავლობის გამო - ორი ერთმანეთთან დაუკავშირებელი სხვადასხვა ამბავია მექანიკურად გაერთიანებული - ჩაკეტილი ჭიშკრის და ბაირამ დუდუკის! სათაურიც ხომ ზუსტად ასეთი აქვს! ამიტომაც, ბატონ ჯონი კაპანაძესა და ბატონ ირაკლი ნარიმანიძეს ვთხოვთ გამოხმაურებას. დაადასტურონ, ბატონო, რომ მართლა არსებობენ და ეს ყველაფერი თავად დაწერეს. შეიძლება, დღევანდელი გვერდის ჰონორარიც გამოვუწეროთ.

ან ეს ვარიანტია და ან მეორე: "ლიტერატურულის" რომელიღაც თანამშრომელს მოუწია ღობეზე გადაძრომა, ეს ამბავიც დაწერა და თან "ლელოც" გასალანძღადაც წაუცდა კალამი. დაელაგებინა მაინც დალოცვილს და უშნოდ არ აერია ერთმანეთში! ჯერ ჭიშკრის ამბავი მოეყოლა და "ლელოში" დაბეჭდილი მერე განეხილა.

**"ჰეჰ! ეგრე სად არი, ძმაო! ქუჩური კილო, არა თუ პრესაში, ქუჩაშიც კი ძნელი ასატანია".** ჭეშმარიტად, ბატონო ჩემო, მაგრამ რაღას უშველი. ისღა დაგვრჩენია, ერთხელაც გადავიკითხოთ თქვენი გაზეთის პირველი გვერდი და დავიკიდოთ!


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ზაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დიღომი, აჩ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა


ეროვნული ბიბლიოთეკა